DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Lomouri,T. / ლომური,თ. /
- Title: On The history of money circulation in the medieval Georgia / ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში
- Publication Date: 2005
- Publisher: Georgian National Museum, The Janashia Museum Of Georgia
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_7cdd1be175

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.

თამარ ლომოური

ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში



არტანუჯი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი
ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი

GEORGIAN NATIONAL MUSEUM
THE JANASHIA MUSEUM OF GEORGIA

თამარ ლომოური

ფულის მიმოქცევის ისტორიისათვის შუა საუკუნეების საქართველოში

რედაქტორი
თინათინ ქუთელია

TAMAR LOMOURI

ON THE HISTORY OF MONETARY CIRCULATION IN MEDIEVAL GEORGIA

Editet by
TINATIN KUTELIA

გამომცემლობა არტანუჯი
თბილისი

ARTANUJI PUBLISHERS
TBILISI

პირველად ქვეყნდება ცნობილი ქართველი ისტორიკოსისა და ნუმიზმატის თამარ ლომოურის რვა სტატია, რომლებშიც ნუმიზმატიკური მონაცემების ანალიზის საფუძველზე განხილულია VI-IX და XIII-XIV საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხები.

სტატიებში დეტალურად არის აღწერილი ნუმიზმატიკური მასალა — სასანური, სასანურ-არაბული, არაბული, მონღოლური (ჯუჩიდებისა და ილხანების), ტრაპიზონული და ქართული მონეტები, რომლებიც განძების სახით არის აღმოჩენილი საქართველოს ცხრა პუნქტში.

This is the first publication of eight works of a famous Georgian historian and numismatist Tamar Lomouri which discuss problems of Georgian history in the 6th -9th and the 13th -14th centuries on the basis of numismatic data.

The articles give detailed description of Georgian, Sassanian, Arabic-Sassanian, Arabic, Mongolian (those of Juchids' and Il-Khans') silver coins that were in circulation in Georgia and have been excavated as hoards at nine sites in Georgia.

ISBN 99940-11-93-6

© გამომცემლობა „არტანუჯი", 2005



თამარ ლომოური



წინასიტყვაობა

თამარ ლომოურის წინამდებარე კრებულში თავმოყრილი სამეცნიერო ნაშრომები დაწერილია 1934-1946 წლებში, თითქმის 60-70 წლის წინ, და ახლა პირველად ქვეყნდება. თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი აქამდე უქმად ეწყო და სრულიად უცნობი იყო სამეცნიერო წრეებისათვის: თ. ლომოურის გამოუქვეყნებელი ხელნაწერები ინახება ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში და მეცნიერ-ნუმიზმატებს მათზე ხელი მიუწვდებოდათ ისევე, როგორც მისივე შედგენილ "მოძრავ კატალოგზე"- ათასობით ხელნაწერ ბარათზე, რომლებზეც წარმოდგენილია ნუმიზმატიკის განყოფილებაში დაცული აღმოსავლური მონეტების განსაზღვრა და დეტალური აღწერილობა და რომელიც აგრეთვე ელის გამოქვეყნებას. დიდად გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ქართველ ნუმიზმატთა სულ ცოტა ორი თაობა მაინც აღიზარდა თ. ლომოურის ამ ნაშრომებზე, რომლებიც მათთვის ხშირად გეზის მიმცემიც იყო სამეცნიერო მუშაობისას.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თ. ლომოურის სიცოცხლეშიც და მისი გარდაცვალების შემდეგაც საქართველოს მუზეუმი არა ერთხელ ეცადა გამოექვეყნებინა მისი ნუმიზმატიკური ნაშრომები კრებულის სახით, მაგრამ ამ მცდელობებს ყოველთვის რაღაც ფატალური წინააღმდეგობა ხვდებოდა და ეს ნაშრომები აქამდე გამოუქვეყნებელი დარჩა. ნუმიზმატიკის განყოფილებაში დაცულია თ. ლომოურის ყველა ხელნაწერის საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი პირებიც, მაგრამ იქ არაბული ტექსტები არ არის შეტანილი. როგორც ჩანს, ხელნაწერების სრული პირველი პირები დაიკარგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში, სადაც ისინი ჩაბარებული იყო 1978 წელს, როდესაც ქ-ნი თ. აბრამიშვილი ბოლოჯერ ეცადა გამოექვეყნებინა თ. ლომოურის ნუმიზმატიკურ ნაშრომთა სრული კრებული.

მხოლოდ ახლა მოხერხდა თამარ ლომოურის რვა აქამდე გამოუქვეყნებელი ნაშრომის გამოცემა და მკითხველი დარწმუნდება, რომ ამ ნაშრომებს, მიუხედავად მათი ხანდაზმულობისა, დღემდე არ დაუკარგავთ არც აზრის სიახლე და არც სამეცნიერო ღირებულება. თ. ლომოური, ღრმად განსწავლული ისტორიკოსი და წყაროთმცოდნე, მონეტას და სამონეტო განძს განიხილავს როგორც საისტორიო წყაროს და მათი სკრუპულოზური ანალიზის საფუძველზე ღრმა ისტორიულ დასკვნებს იღებს. ეს კრებული ძვირფასი საჩუქარი იქნება ქართული და აღმოსავლური ნუმიზმატიკით დაინტერესებულ პირთათვის, ხოლო დამწყები მეცნიერი-ნუმიზმატები ისწავლიან, თუ როგორ უნდა იწერებოდეს ისტორიული გამოკვლევა ფულის შესახებ.

თამარ ლომოური დაიბადა 1883 წლის 28 სექტემბერს ქალაქ გორში, ქართველი ხალხოსანი-მწერლის, ნიკო ლომოურის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო გორის ქალთა ოთხკლასიან პროგიმნაზიაში, შემდეგ კი სწავლა გააგრძელა ოლღა თევდორეს ასულის სახელობის თბილისის ქალთა I გიმნაზიაში, რომლის კურსი დაასრულა 1904 წელს. 1904-1906 წლებში იმუშავა მასწავლებლად თბილისსა და გორში. 1906 წელს კი ახალგაზრდა მასწავლებელი გაემგზავრა პეტერბურგში და ჩაირიცხა ბესტუჟევის ქალთა უმაღლეს კურსებზე, ისტორიულ-ფილოლოგიურ განყოფილებაში, მსოფლიო ისტორიის განხრით, სადაც მან საფუძვლიანი აკადემიური განათლება მიიღო ცნობილი რუსი მეცნიერების ხელმძღვანელობით. ასე, მაგალითად, 1910 წლის 9 (22) ოქტომბერს გაცემულ

ცნობას თ. ლომოურის მიერ კურსის დამთავრების შესახებ სხვა მეცნიერთა შორის ხელს აწერს დიდი რუსი არქეოლოგი და ისტორიკოსი მ. როსტოვცევი.

სამშობლოში დაბრუნებული თ. ლომოური განაგრძობს პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სხვადასხვა საშუალო სასწავლებელში, მაგრამ ცოდნის შეძენის დაუოკებელმა ჟინმა, რაც მას სიბერემდე გაჰყვა, უმაღლესი განათლების მქონე სკოლის მასწავლებელი 35 წლის ასაკში აიძულა შესულიყო თბილისის ახლად გახსნილ უნივერსიტეტში, საისტორიო განყოფილებაზე, სადაც იგი სწავლობდა საქართველოს და მახლობელი აღმოსავლეთის (სომხეთის, სპარსეთის, არაბეთის) ისტორიას და აღმოსავლურ ენებს: სომხურს, სპარსულს, არაბულს. მაგრამ სკოლის მასწავლებლობისათვის თ: ლომოურს 1924 წლამდე თავი არ დაუნებებია.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1922 წლის ივნისში თ. ლომოური დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში საპროფესოროდ მოსამზადებლად, 1926 წლიდან კი მას დაევალა ლექციების კითხვა ისტორიის დამხმარე დისციპლინებში – პალეოგრაფიაში, ნუმიზმატიკასა და დიპლომატიკაში. მანამდე, უკვე 1924 წელს ივანე ჯავახიშვილმა თ. ლომოური დანიშნა უნივერსიტეტის საისტორიო განყოფილებასთან დაარსებული ნუმიზმატიკური განყოფილების გამგედ. უნივერსიტეტის რექტორის ეს არჩევანი, როგორც ჩანს, წინასწარ იყო გათვლილ-გააზრებული: იმ დროს თ. ლომოური უკვე სავსებით ჩამოყალიბებული ღრმად განათლებული მეცნიერი იყო, აღჭურვილი ისეთი ცოდნით, რაც მას განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებდა ნუმიზმატიკაში სამუშაოდ: კლასიკური და ევროპული ენების გარდა იგი ფლობდა სომხურს, სპარსულს და არაბულს, და ამავე დროს გაწაფული იყო წყაროთმცოდნეობაში.

1931 წელს უნივერსიტეტის ნუმიზმატიკურ კაბინეტში დაცული მონეტები გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, ხოლო თ. ლომოური მუზეუმის დირექტორის მოადგილის, გიორგი ჩუბინაშვილის რეკომენდაციით მიწვეულ იქნა მუზეუმში ასისტენტის თანამდებობაზე. მუზეუმის დირექტორის სახელზე 1931 წლის 29 ივნისს დაწერილ სარეკომენდაციო წერილში გ.ჩუბინაშვილი აღნიშნავს, რომ მიუხედავად მუზეუმში არსებული უმდიდრესი ნუმიზმატიკური კოლექციებისა, მუზეუმს შტატში არასოდეს ჰყოლია სპეციალისტი-ნუმიზმატი, და ეხლა მუზეუმმა ხელიდან არ უნდა გაუშვას ისეთი ყოველმხრივ მომზადებული სპეციალისტის მიღების შესაძლებლობა, როგორიცაა თ. ლომოური.

ასე ჩაეყარა საფუძველი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ნუმიზმატიკის კაბინეტს, რომელიც შემდგომში განყოფილებად გადაკეთდა და რომელიც დღემდე საქართველოში ერთადერთი საგანგებოდ ნუმიზმატიკური პროფილის სამეცნიერო-კვლევითი უჯრედია.

დაუფასებელია თ. ლომოურის ღვაწლი ამ განყოფილების შექმნასა და, საერთოდ, საქართველოში ნუმიზმატიკის, როგორც მეცნიერების დარგის ჩამოყალიბების საქმეში. არა ნაკლებ დასაფასებელია ქალბატონ თამარის დამსახურება როგორც სამუზეუმო მუშაკისა: 1934 წელსვე მან პირველმა შექმნა ქართულენოვანი ნუმიზმატიკური ტერმინოლოგია, შეიმუშავა მონეტების სამუზეუმო კატალოგიზაციის სისტემა, საკატალოგო დავთრისა და სამონეტო კოლოფების ფორმა და მოახდინა მუზეუმში დაცული ნუმიზმატიკური მასალის სისტემატიზაცია; განსაზღვრა, აღწერა და საინვენტარო წიგნებში შეიტანა მუზეუმში დაცული ათასობით ქართული, რუსული, პართული, სასანური, არაბული, სომხური და სხვ. მონეტები, ხოლო არაბულზედწერილიანი მონეტებისათვის დამატებით შეადგინა ზემოთ უკვე ნახსენები მოძრავი საბარათო კატალოგი, რომელიც ასევე ელის გამოქვეყნებას. თ. ლომოური იყო საქართველოში პირველი ისტორიკოსი, რომელმაც სამონეტო განძი გამოიყენა, როგორც მაღალინფორმატული საისტორიო წყარო. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში დღემდე ტრადიციულად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ცალკეული მონეტისა თუ სამონეტო განძის აღმოჩენათა ვითარების ფიქსაციას და განძები დაუშლელად ინახება საგანგებო "განძების ფონდში".

1952 წლის 1 ივლისს თ. ლომოური საკუთარი განცხადებით წავიდა მუზეუმიდან. იგი გარდაიცვალა 82 წლის ასაკში, 1965 წელს.

თამარ ლომოურის სამეცნიერო მემკვიდრეობა მხოლოდ ნუმიზმატიკური შინაარსის ნაშრომებით არ შემოიფარგლება. ნუმიზმატიკის განყოფილებაში დაცული მისი არქივის გაცნობა ააშკარავებს, რომ ქ-ნი თამარი ნუმიზმატიკის სფეროში მოღვაწეობის პარალელურად აგრძელებდა ჯერ კიდევ 20-იან წლებში დაწყებულ მუშაობას ძველ ქართულ წერილობით წყაროებზეც. ასე, მაგალითად, 1942 წელს მას დაუწერია ნაშრომი "ქართლის ციხე-სიმაგრეები (წერილობითი წყაროების მიხედვით)". სამწუხაროდ, ამ ნაშრომს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ, ისევე, როგორც მის ნაშრომს მნას განძის შესახებ, რომელსაც, როგორც აწ გარდაცვლილი ნუმიზმატი, თამარ აბრამიშვილი ამბობდა, თამარ ლომოური თავის საუკეთესო ნუმიზმატიკურ გამოკვლევად მიიჩნევდა. ქ-ნი თამარის არქივიდან ჩანს, რომ მნას განძზე მუშაობა მას დაუწყია 1934 წელს: ამ წლის ანგარიშში იგი წერს, რომ გამოჰყო მნას განძის ქართულწარწერიანი 602 მონეტა, ხოლო დანარჩენი მონეტები შტამპების მიხედვით დააჯგუფა. მაგრამ 1950 წელს მის მიერვე შედგენილ შრომების სიაში ეს ნაშრომი არ არის შეტანილი. უნდა ვიფიქროთ, რომ თ. ლომოური სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა მუშაობას ამ ურთულეს განძზე, რომელიც, თ. ლომოურის მიერ სისტემატიზირებული, ინახება მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში.

თ. ლომოურის არქივში აღმოჩნდა მისი გამოუქვეყნებელი ნაშრომების ხუთი ხელნაწერი, ხოლო სტატია "პატარა გომარეთის განძი" საბეჭდ მანქანაზეა გადაბეჭდილი, მაგრამ მასში არაბული ტექსტი თვით თ. ლომოურს ჩაუწერია და ამდენად ისიც ხელნაწერის ტოლფასია.

ვერ მივაკვლიე მხოლოდ ერთი სტატიის – "სასანური ფულების მცხეთის განძის" ხელნაწერს და ამიტომ იძულებული ვიყავი მესარგებლა მისი 1978 წელს გადაბეჭდილი პირით.

თ. ლომოურის მერვე, აქამდე გამოუქვეყნებელი ნაშრომის – "ხეობის განძის" ხელნაწერი ინახება გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში და მისი ქსეროასლი გამოსაქვეყნებლად გადმომცა მუზეუმის დირექტორმა ქ-ნმა თინათინ სოსანიძემ. მისივე ხელშეწყობით მოხერხდა ხეობის განძის მონეტების ფოტოგრაფირება.

სტატიები კომპიუტერზე ავკრიფეთ უშუალოდ თ. ლომოურის ხელნაწერებიდან. 1978 წელს მანქნაზე გადაბეჭდილი პირით ვისარგებლე მხოლოდ ერთი სტატიის – "სასანური ფულების მცხეთის განძის" მომზადებისას, რადგანაც მისი ხელნაწერი არქივში არ აღმოჩნდა. არაბული ტექსტი კომპიუტერზე აიწყო გამომცემლობა "არტანუჯში".

წინამდებარე კრებულისათვის არ გამომიყენებია ძველი ფოტოები, რომლებიც ქ-ნ თ. ლომოურის არქივში ინახება: მის მიერ საილუსტრაციოდ შერჩეული და აღწერილი მონეტების ციფრული ფოტოები დაამზადა მუზეუმის ფოტოგრაფმა გურამ ბუმბიაშვილმა.

ავტორის სტილი უცვლელად არის დატოვებული, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი რამ ამ ტექსტში დღეს, შეიძლება, უჩვეულოდ ჟღერდეს, და ეს შეგნებულად გავაკეთე, რათა შემენარჩუნებინა XIX საუკუნის ქართულის სურნელი, რომელიც თამარ ლომოურის – XX საუკუნის მეცნიერისა და მოღვაწის ჭეშმარიტად "მეორე მე" გახლდათ.

თავს არც იმის უფლება მივეცი, რომ რაიმე რედაქციული ხასიათის ცვლილება შემეტანა ტექსტში, თუმცა უახლესი ლიტერატურის გათვალისწინებით შეიძლებოდა ზოგიერთი მონეტის განსაზღვრების დაზუსტება. ეს განსაკუთრებით ეხება სასანურ და ტაბარისტანის მმართველების სასანურ-არაბულ ფულებს, რომლებიც განხილულია სტატიებში "მცხეთის განძი" და "სასანურ-არაბული ფულების სამი კახური განძი". თავის დროზეც ქ-ნი თამარი უჩიოდა სპეციალური ლიტერატურის სიმცირეს, ხოლო რაც შეეხება სასანურ და სასანურ-არაბულ ნუმიზმატიკას, ამ სფეროში დიდმნიშვნელოვანი ძვრები მოხდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, განსაკუთრებით კი გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს, როცა თ. ლომოური მუზეუმში აღარ მუშაობდა. უახ-

ლესი მონაცემების საფუძველზე დაზუსტდა ზოგიერთი ზარაფხანის სახელის წაკითხვა, დაზუსტდა მმართველთა ქრონოლოგია და ა. შ. მაგრამ ლომოურის სტატიებში შესწორებათა შეტანას ვარჩიე, დამატების სახით მომეცა ამ მონეტების ახლებური განსაზღვრებანი.

სხვა სტატიებშიც არის ცალკეული შემთხვევები, როცა გამოტოვებულია ამა თუ იმ მმართველის ზეობის წლები. ასეთ შემთხვევებში წლების მითითებას ვიძლევი სქოლიოში, მაგრამ როცა საქმე ეხებოდა ჰიჯრის თარიღების ქრისტიანულ წელთაღრიცხვაზე გადაყვანის დროს არსებულ ცდომილებას, რაც ერთი წლის ფარგლებში მერყეობს, ვარჩიე, უცვლელად დამეტოვებინა თ. ლომოურის თარიღები.

"ხეობის განძის" პუბლიკაციისას თავისუფლად შეიძლებოდა მასალის წარმოდგენა ცხრილის საშუალებით, რასაც თვით ქ-ნი თამარი ხშირად მიმართავდა ხოლმე, მაგრამ გადავწყვიტე ეს ტექსტიც უცვლელად გამომექვეყნებინა იმის გამო, რომ მონეტების დეტალური საკატალოგო აღწერილობები, დამყარებული ერთი ტიპის სხვადასხვა მონეტაზე შერჩენილი ფრაგმენტული ზედწერილების ინტერპრეტაციაზე, ჩემის აზრით, კარგი სახელმძღვანელო იქნება დამწყები ნუმიზმატებისათვის.

"ხეობის განძის" ხელნაწერში არაბული ტექსტის ქართულ თარგმანში ქ-ნი თამარი, როგორც ჩანს, დროისა და ადგილის ეკონომიის მიზნით თარიღებს ციფრებით იძლევა, მაგრამ ვარჩიე, რომ პუბლიკაციაში თარიღები სიტყვიერად გადმომეცა.

არაბულწარწერიანი მონეტების აღწერისას და განძების შემადგენელ მონეტათა სიებში ქ-ნი თამარი, როგორც წესი, იძლევა მონეტაზე აღნიშნულ თარიღს ჰიჯრით. მკითხველისათვის ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად ჰიჯრის თარიღებს მივუწერე შესატყვისი თარიღი ქრისტანული წელთაღრიცხვით.

კრებულის მომზადებისას დამეხმარნენ ჩემი კოლეგები, ნუმიზმატიკის განყოფილების თანამშრომლები: მედეა წონელია, მედეა შეროზია, ციალა ღვაბერიძე, მერი ანთაძე და მაია პატარიძე. ასი მონეტის ფოტოების დამზადების ხარჯი გაიღო კოტ დ'ივუარის საპატიო გენერალურმა კონსულმა ბატონმა ერმილე თორთლაძემ. ყველას მათ უღრმეს მადლობას მოვახსენებ ისევე, როგორც გორის სახელმწიფო ისტორიულ-არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორს, ქალბატონ თინათინ სოსანიძეს და ჩვენი მუზეუმის ფოტოგრაფს ბატონ გურამ ბუმბიაშვილს. წიგნზე მუშაობის ყველა ეტაპზე მხარში მედგა ჩემი მეუღლე იულონ გაგოშიძე.

. დაბოლოს განსაკუთრებული მადლობა საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორს დავით ლორთქიფანიძეს, ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის დირექტორს ზურაბ თვალჭრელიძეს და გრაფიკისა და დიზაინის სამსახურის უფროსს ალექსანდრე ყანჩელს, რომელთა ძალისხმევამ შესაძლებელი გახადა კრებულის გამოქვეყნება.

თინათინ ქუთელია

თ. ლომოურის გამოქვეყნებული ნაშრომების სია:

1. გიორგი მერჩულისა და სუმბატ დავითის ძის ცნობები X საუკუნის ბაგრატონიანთა შესახებ. – კრებული "არილი", 1926.
2. თამარ მეფის ფულების განძი. – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 1936
3. ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში. – კრებული "შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, 1938.
4. XIII ს-ის ქართული ფულის საკითხის გამო. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, X-B, 1940.
5. დავით ბატონიშვილი. "ახალი ისტორია" და ბაგრატ ბატონიშვილი. "ახალი მოთხრობა", 1941 (ტექსტის გამოცემა).
6. ვახუშტი. "საქართველოს გეოგრაფია", 1941 (ტექსტის გამოცემა ნ. ბერძენიშვილთან ერთად).
7. პ. ი. ბაგრატიონი, 1943.
8. ახალციხის ზარაფხანა. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII-B, 1944.
9. ქოდალას განძი. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XIV-B, 1947.
10. დავით VII და ვახტანგ III-ის ფულები. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XV-B, 1948.
11. XVI ს-ის პატარა ჯიხაიშის განძი. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVII-B, 1953.

სასანური ფულების მცხეთის განძი

საქართველოში სასანური ფულების აღმოჩენის მთავარ ასპარეზად მცხეთა და მისი მიდამოები უნდა ჩაითვალოს. ცნობები ამ აღმოჩენათა შესახებ უკვე 1827 წლიდან გვაქვს. ამ წელს სვეტიცხოვლის მახლობლად უპოვნიათ პატარა კოჭობი ვერცხლის ფულით. მპოვნელს ეს ფული, 2 ცალის გარდა, გადაუდვნია. გადარჩენილი ცალები სასანური გამომდგარა.[1] ერთი წლის შემდეგ მცხეთაში კვლავ აღმოჩენილა 30-34 ცალამდე სასანური ფული.[2] 1871-72 წლებში ბაიერნის მიერ წარმოებული გათხრების დროს სამთავროს სამარხებში რამდენიმე ცალი სასანური ფული უპოვნიათ.[3] 1936-37 წლებში მცხეთის ნავთსადენის ტერიტორიაზე V-VI საუკუნის სასანური ფულების ნამტვრევების პოვნაა დადასტურებული.[4] 1938 წ. მცხეთაში წყალსადენის გაყვანის დროს აღმოჩნდა კავადის ერთი მონეტა.[5] 1939 წ. მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ერთ-ერთ სამარხში იპოვნა სასანიდი შაბურ II-ის მონეტა.[6] გარდა ასეთი წვრილ-წვრილი ნაპოვნებისა მცხეთაში მოზრდილი განძიც აღმოჩენილა. 1930 წ. ნავთსადენთან მიწის სამუშაოების დროს ერთი მეტრის სიღრმეზე წასწყდომიან ფულით სავსე პატარა ქილას. ქილა მუშებს დაუმსხვრევიათ. შიგ მოთავსებული ყოფილა 80 ცალამდე მონეტა, რომლებიდანაც 41 ცალი 1933 წ. საქართველოს სახ. მუზეუმში შემოვიდა. განძის ეს ნაწილი მთლიანად სასანური ფულებისაგან შესდგება.[7]

სასანური ფულის პოვნის ფაქტები მცხეთის მიდამოებშიაც არის დადასტურებული. 1930 წ. წინამურში კავადის 2 მონეტა უპოვნიათ.[8] ერწოში, სიმონიანთ-ხევში, აგრეთვე კავადის მონეტაა ნაპოვნი.[9] ამავე ერწოში 1929 წ. სოფ. თოლენჯში რუს გაყვანის დროს წასწყდომიან დერგს, რომელშიაც 100 ცალამდე ვერცხლის ფული ყოფილა მოთავსებული. მუშებს დაუტაცნიათ, მაგრამ ადგილობრივი რაი-აღმასკომის თავმჯდომარეს და მილიციის უფროსს ჩამოურთმევიათ ეს ფულები რიცხვით 71 ცალი, რომლებიც შემდეგ შემოვიდა თბილისის უნივერსიტეტის ნუმიზმატ. კაბინეტში.[10] განძი თარიღდება 457-579 წლებით. ამ განძთან უნდა იყოს დაკავშირებული შემდეგი ცნობა, რომელიც დ. კაპანაძემ გადმომცა: „1924 წ. თიანეთის რ-ის სოფ. სიმონიანთ-ხევში სოფლიდან 15 კილომ. მანძილზე, სოფლისათვის წყაროს მილების გაყვანის დროს აღმოჩენილი იყო თიხის ჭურჭელი, რომელშიაც 100 ცალზე მეტი ვერცხლის მონეტა იყო მოთავსებული. ჭურჭელი დაულეწიათ, ფული მპოვნელებმა დაიტაცეს და საქართველოს სახ. მუზეუმში მხოლოდ 10 ცალამდე მოჰყვა. 1938 წ. ამავე განძიდან ამ სოფლის ყოფ. მასწავლებელმა კორძხიამ კიდევ 4 ცალი მაჩვენა, რომლებიც კავად სასანელის სახელითაა მოჭრილი."

ჩემს მიერ ზევით მოყვანილი ცნობა თიანეთის რ-ის სოფ. თოლენჯში სასანური ფულის განძის აღმოჩენის შესახებ და დ.კაპანაძის მიერ გადმოცემული ამავე რ-ის სოფ. სიმონიანთ-ხევში ნაპოვნი ასეთივე განძის შესახებ ერთსა და იმავე განძს უნდა ეხებოდეს. ამას გვაფიქრებინებს ორივე ცნობის მთელი რიგი შეხვედრებისა: 1) ტერიტორია ორივე განძისა – სიმონიანთ-ხევი და თოლენჯი – ორი სოფელია ერთი მეორის მეზობლად მდებარე. მოხსენებული რუ თუ წყალსადენი

---

[1] В. А. Пахомов, Клады Азербайджана и других республик и краёв Кавказа, вып. II, № 377, Б., 1938 .

[2] В. А. Пахомов, Монетные клады Азербайджана и Закавказья, вып. I, № 55, Б., 1926.

[3] В. А. Пахомов, Монетные клады Азербайджана, вып. II, № 53.

[4] ცნობა მომაწოდა საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკური კაბინეტის გამგემ დ. კაპანაძემ.

[5] ცნობა მომაწოდა დ. კაპანაძემ.

[6] ცნობა მომაწოდა დ. კაპანაძემ.

[7] ეს განძი ქვემოდ დაწვრილებით იქნება განხილული.

[8] საქართველოს სახ. მუზეუმის საინვენტარო დავთარი "განძები", №№ 3060-61.

[9] აქვე, № 3062.

[10] ამჟამად დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმში ნუმიზმატიკურ კაბინეტში, იხ. საინვენტარო დავთარი "განძები" №№ 656-726.

ორივე სოფელთან იყო დაკავშირებული, ამიტომ სულ ბუნებრივი იქნება ამ ტერიტორიისათვის ან სიმონიანთ-ხევი და ან თოლენჯი ეწოდებინათ; 2) ორივე ცნობის მიხედვით განძი ქილაში ყოფილა, ქილა მუშებს დაუმტვრევიათ, ხოლო ფული დაუტაცნიათ; 3) ორივე ცნობა თანხმობით განძის რაოდენობას ასიოდ ცალით განსაზღვრავს. მასწავლებელ კორძახიას, რომელსაც მეორე ცნობა დ.კაპანაძისათვის გადაუცია, არა სცოდნია იმის შესახებ, რომ მოზრდილი ნაწილი ამ განძისა, სახელდობრ 71 ცალი, ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადარჩა და უნივერსიტეტის კაბინეტში შევიდა. კორძახიას ამ განძთან დაკავშირებული არც მეორე ფაქტი სცოდნია ზუსტად. მისი სიტყვით 10 ცალი მოხსენებული განძისა ვითომცდა საქართველოს მუზეუმში მოხვდა. სინამდვილეში საქართველოს მუზეუმში ამ წლებში სიმონიანთ-ხევიდან მხოლოდ 1 სასანური მონეტაა, სახელდობრ ზევით აღნიშნული № 3062, შემოსული. როგორც ჩანს ეს უკანასკნელი მონეტაც ამავე ანძს უნდა მივაკუთვნოთ. ამგვარად: ჩვენი ერწოული განძის 71 ცალი, სიმონიანთ-ხევში ნაპოვნი (№3062) 1 ცალი და მასწავლებელ კორძხიას მიერ დ.კაპანაძისათვის ნაჩვენები 4 ც., სულ 76 ცალი, ერთი და იმავე განძის ნაწილებს უნდა წარმოადგენდნენ. ამ განძის დანარჩენი ცალები ჯერჯერობით დაკარგულია.

მცხეთასა და მის მიდამოებში აღმოჩენილი სასანური ფულების მოყვანილი მიმოხილვიდან ჩანს, რომ აღნიშნული რაიონი საქართველოს სხვა რაიონებთან შედარებით, სასანური ფულის მიმობრუნვის ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უნდა ყოფილიყო. ნაპოვნი ფულის ანალიზი ადასტურებს, რომ იბერიაში უკვე პირველი სასანიანთა მეფეების ფული შემოდიოდა, მაგრამ მეტად მცირე რაოდენობით. V ს-ის პირველი ნახევრისათვის ფულის შემოსვლის ნაკადი გაძლიერებულა, ხოლო კავადიდან მოყოლებული (487 -497 წწ. და 499-531 წწ.) სასანიანთა დინასტიის უკანასკნელ მძლავრ წარმომადგენელ ხოსრო II-ის (590-628 წ.) მთელი მეფობის განმავლობაში სასანური ფული დაუბრკოლებლივ და მრავლად შემოდიოდა ჩვენში.

ქართული საისტორიო წერილობითი წყაროებიდან ჩვენ უტყუარი ცნობები მოგვეპოვება იმის შესახებ, რომ V–VII ს-ში სპარსეთი მნიშვნელოვან ფაქტორად გადაიქცა ჩვენი ქვეყნის არამარტო პოლიტიკურ, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებშიაც. მისი ბატონობის მთავარ ასპარეზად სწორედ ქართლი და, კერძოდ, თბილის-მცხეთის სანახები იყო. 527 წ. იბერიაში მეფობის მოსპობის შემდეგ სპარსეთის მძლავრება უაღრესად გაიზარდა (ევსტატი მცხეთელის მარტვილობა). ჩრდილოეთის მთიულების თავდასხმებისაგან უზრუნველსაყოფად მათ „ქართლი უმეტესად დაიპყრეს და კავკასიანთა შევიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგნეს და ერთი დიდი კარი ოვსეთისავე და ორნი დვალეთს და ერთი პარჭუანს დორძოკეთისას, და იგი მთიულნი გომარდად დაადგინეს.“[11] სპარსელებს, ამ ცნობის მიხედვით, ქართლის უკიდურეს ჩრდილო საზღვრამდე მიუღწევიათ და სათანადოდ გაუმაგრებიათ სამხრეთისაკენ შემოსასვლელი ყველა კარები. ერთი ამ კართაგანი – დარიალანი თერგზე – სწორედ იმ გზას ჰკეტავდა, რომელიც მცხეთიდან არაგვის ხეობით მიიმართებოდა. ორი კარი, რომლებსაც მემატიანე დვალეთის კარებს უწოდებს, დარიალანის დასავლეთით დვალეთში უნდა ვივარაუდოთ. ერთი ამ კართაგანი, სახელდობრ, კასრისკარი, თერგის მარცხენა შენაკად კასრის–ხევზე (ეხლანდ. არდონი ?) მდებარეობდა. ვახუშტი ბატონიშვილი კარგად ითვალისწინებს ამ კართა, ე. ი. დარიალანის და კასრის-კარის მნიშვნელობასა და დანიშნულებას: „...არიელა არაგვის აღმოსავლეთით, კიდესა ზედა, მესამე მეფის შირვანის მიერ–შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოვსთათვის, რათა უმისოთ ვერღარა ვიდოდნენ“. „კასრის კარი არს ქვემო-ზარმაგას. ქვეით მდინარესა ზედა, მეფეთაგან ქმნული, რათა არა ვიდოდნენ თვინიერ მათსა ოვსნი“ (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გამოც. ნ. ბერძენიშვილისა და თ. ლომოურისა, თბ. 1941, გვ. 67-68 და 113-114).

[11] „მოქცევა ქართლისა“, ციტირებულია აკ. ივ. ჯავახიშვილის “ქართველი ერის ისტორია“-დან. წ. 1, 227. ტფ. 1928.

მატიანეში მოხსენებული დვალეთის მეორე კარის შესახებ ვახუშტი არას ამბობს, მაგრამ ცხადია, ისიც აქვე დვალეთში, სადმე ლიახვის ან ქსნის სათავეების ჩრდილოეთით, უნდა ვიგულოთ.

მემატიანის ზემოთმოყვანილ ცნობას თუ დავემყარებით, სპარსელების პოლიტიკური ბატონობის ჩრდილო საზღვრად VI ს-ში მოხსენებული სიმაგრეები უნდა ვიგულისხმოთ. მართლაც, სპარსელების ყოფნა-ბატონობა არაგვის ხეობაში კარგად მტკიცდება როგორც წერილობითი ცნობებით, ისე მრავალრიცხოვანი ნუმიზმატიკური ფაქტებითაც. ლიახვის შესახებ კი აქნობამდე არავითარი ფაქტები, გარდა მემატიანის მოყვანილი ცნობისა, არა გაგვაჩნდა რა. დვალეთის ორი კარის დასაჭერად და გასამაგრებლად სპარსელები, უეჭველია, ლიახვის ხეობას აჰყვებოდნენ და მთელ ამ ხეობასაც, აშკარაა, ხელში დაიჭერდნენ. ეს გარემოება, თქმა არ უნდა, საგრძნობ კვალს დასტოვებდა ადგილობრივ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არავითარი ფაქტები ამ მიმართულებით ხელთ არა გვაქვს, რაც ნაწილობრივ, აიხსნება იმით, რომ ამ მხარეში არქეოლოგიური დაზვერვა და გათხრები არავის უწარმოებია. მაგრამ რომ აქ ამ მხრივ უსათუოდ პერსპექტივები არის, ამას მოწმობს შემდეგი: დაახლოებით 7-8 წლის წინათ ქ. სტალინირის (ახლანდ. ცხინვალი, თ. ქ.) მცხოვრებ ძუწოვისაგან შევიტყე, რომ სოფ. აჩაბეთში (სტალინირიდან ჩრდილოეთით, 6-7 კილომეტრის მანძილზე, დიდ ლიახვზე) ერთ-ერთ იქაურ მოსახლეს უპოვნია ვერცხლის ფულების დიდი განძი, „აი, ამნაირები იყო“-ო, მითხრა ძუწოვმა და მაჩვენა ერთი ცალი, რომელიც კავად სასანიანის დრამა აღმოჩნდა. განძი, ძუწოვის სიტყვით, ისეთი დიდი ყოფილა, რომ მპოვნელს გაუკეთებია ქამარ-ხანჯალი და მასრები. ზეპირად გადმოცემული ეს ცნობა, ცხადია, დასკვნის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ მემატიანის ცნობასთან და არაგვის ხეობის მაგალითთან დაკავშირებით ერთგვარ პერსპექტივას გვიხატავს ამ მიმართულებით.

აღსანიშნავია ერთი გარემოება: მიუხედავად გამაგრებული საზღვრებისა, რომლებიც საიმედო კედლად უნდა აღმართულიყვნენ სპარსელების მიერ დაკავებულ ტერიტორიასა და მის ჩრდილოეთით მდებარე მტრულად განწყობილ მეზობლებს შორის, სპარსეთის ერთგვარ გავლენას ეს უკანასკნელნი მაინც ვერ ასცდენიან – ჩრდ. ოსეთის ტერიტორიაზე არაერთი და ორი ფაქტია დადასტურებული სასანური ფულების აღმოჩენისა. საყურადღებოა ამასთან ისიც, რომ ყველა ეს ფულები VI-VII ს-ანი ყოფილან[12], ე. ი. სწორედ იმ ხანისა, რომელსაც მიეკუთვნება არაგვის ხეობაში ნაპოვნი სასანური ფულების დიდი უმრავლესობა.

ამ მიმოხილვის შემდეგ გადავდივარ მცხეთის განძის ანალიზზე.

ეს განძი, როგორც ზევით იყო ნათქვამი, 1930 წ. აღმოჩნდა მცხეთის ნავთსადენის მახლობლად 50 ცალის რაოდენობით. აქედან 1933 წ. საქართველოს სახ. მუზეუმში შემოვიდა მხოლოდ 41 ცალი. ესენი განეკუთვნებიან სხვადასხვა რაოდენობით სასანიანთა დინასტიის სამ წარმომადგენელს. ესენი არიან:

№ რიგ.	№ საინვ.	ხელისუფალი	თარიღი ინდიქტიონით და შესატყვისი წელი ქრისტ. წელთაღრ.	ზარაფხანა
1	2	3	4	5
1	1612	ვოლოგეზი (483–487)	–	მაზანდერანი
2	1613	კავადი	11 = 497	ქირმანი
3	1614	„	„	ასპაანი
4	1648	„	„	„
5	1643	„	11? = 497?	რუდბარი
6	1616	„	14 = 501	წარხოცილია

[12] Пахомов, Клады ..., II, №№ 366, 379, 372, 373; III, № 817.

1	2	3	4	5
7	1617	კავადი	14 = 501	აბივერდი
8	1618	„	„	ასპაანი
9	1619	„	15=502	„
10	1615	„	16=503	„
11	1620	„	17 = 504	„
12	1621	„	18 = 505	რუდბარი
13	1622	„	25 = 512	ასპაანი
14	1644	„	26 ან 36 = 519ან523	მეიბუდი
15	1623	„	27 = 514	ასპაანი
16	1624	„	28 = 515	დარაბჯირდი
17	1625	„	30 = 517	კაზერუნი
18	1628	„	33 = 520	დეინავერი?
19	1629	„	34 = 521	კაზერუნი
20	1630	„	„	დეინავერი
21	1631	„	„	სტახრი
22	1632	„	„	ბაბა...
23	1626	„	35 = 522	სტახრი
24	1627	„	„	ბავჯ-ბიჰისტუნი
25	1633	„	„	–
26	1634	„	„	დეინავერი
27	1635	„	36 = 523	ასპაანი
28	1636	„	„	„
29	1637	„	„	დეინავერი
30	1638	„	„	ბაბა...
31	1639	„	„	ქირმანი
32	1647	„	(– ?)	ასპაანი
33	1640	„	37 = 524	სისტანი
34	1641	„	„	რუდბარი
35	1645	„	„	ჰერათი
36	1642	„	38 = 525	მერვი
37	1646	„	„	–
38	1649	ხოსრო I	11 = 542	ირანი თუ არანი
39	1650	„	12 = 543	მეიბუდი
40	1651	„	25 = 556	–
41	1652	„	36 = 567	დარაბჯერდი

მოცემული ანალიზის საფუძველზე უნდა დავასკვნათ: 1) მცხეთის განძი თავისი შემადგენლობით ტიპიურია ამ დროისა და რაიონისათვის, მისი ქრონოლოგიური საზღვრებია V საუკუნის მეორე ნახევრიდან VI ს-ის მეორე ნახევრამდე. 2) 41 მონეტიდან დიდი უმრავლესობა, სახელდობრ, 36 ცალი კავადისაა. აქედან 4 ც. მის პირველ მეფობას ეკუთვნის (487-497 წწ.), დანარჩენი 32 კი მეორეს (499-531 წწ.); 1 ც. ვოლოგეზისაა (483-487 წწ.), ხოლო დანარჩენი 4 ხოსრო 1-ისა (531-579 წწ.).

განძში შემავალი მონეტები ჩვეულებრივია და უკვე დიდი ხანია ცნობილნი და გამოქვეყნებულნი არიან. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ 1 ცალი, რომლის კიდეზე უჩვეულო დამღაა მოთავსებული (ჩვენი სიით № 7, საინვ. დავთრის № 1617). დამღა მოთავსებულია ავერსის მარცხენა ზედა ნაწილში და ასეთი სახე აქვს:

ეს ნიშანი კარგად ცნობილია სასანურ ნუმიზმატიკაში. პირველად იგი გვხვდება შაბურ I-ის (241-272 წწ.) ვერცხლის ფულის რევერსზე, საგზებლის მარცხნივ, ბაჰრამ I-ის (273-279 წ.) დროს

იგი მოქცეულია საგზებლის მარჯვენა მხარეზე, მარცხენა მხარე ცარიელია. ერთს მონეტაზე ეს ნიშანი ჩანს ავერსზე, გვირგვინს ზევით, ბურთზე, ხოლო რევერსზე მისი ადგილი დაუჭერია მეორე ნიშანს. ბაჰრამ II-ის (279-296 წწ.) და ნერსეს (297-309 წწ.) ფულებზე ის კვლავ რევერსზეა, საგზებლის მარცხნივ, ხან მარტო, ხან მარჯვენა მხარეზე ზემოდმოცემული მეორე ნიშნის თანხლებით. შაბურ II-ის (310-379 წწ.) ერთ მონეტაზე ეს ორი ნიშანი კვლავ რევერსზეა, მაგრამ გადასმულ-გადმოსმული. ამავე შაბურის სხვა მონეტებზე იგი უკვე საგზებლის სვეტზე ჩნდება. შემდეგ იგი სავსებით ჰქრება სასანურ ნუმიზმატიკაში, მხოლოდ შაბურ III-ის (383-388 წწ.) ერთ მცირე ზომის ვერცხლის ფულზე მას საკმაოდ უჩვეულო მდგომარეობა აქვს. იგი შეადგენს ამ მონეტის რევერსის ერთადერთ გამოსახულებას. მაშასადამე, თუ ამ უკნასკნელ მონეტასაც მივიღებთ მხედველობაში, ეს ნიშანი აღარ ჩანს მეოთხე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან. ზემოდმოხსენებული ორივე ნიშანი, როგორც ამაზე ნუმიზმატიკური ფაქტები მიგვითითებენ, ერთსა და იმავე ხანას ეკუთვნიან. ძირითადად ეს ხანა 241-379 წლებით განისაზღვრება. ორივე ამ ნიშანს სიმბოლური მნიშვნელობა აქვთ. პირველი მათგანი მეფის ხელისუფლების სიმბოლოა, მეორე – ღვთაებისა.[13]

მცხეთის განძის ის მონეტა, რომლის კიდეზედაც მოთავსებულია ეს ნიშანი, კავადის მეფობის მეთოთხმეტე წელს, ე. ი. 501 წ. ეკუთვნის. ნიშანი მონეტის სიქაზედ არ არის ამოჭრილი, არამედ, როგორც ზევით აღვნიშნეთ, დამღა უნდა იყოს და მონეტის მოჭრის შემდეგ უნდა იყოს დარტყმული. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ მის გარშემო კარგად ირკვევა ნაკრავის კვალი. მოპირდაპირე მხარეზედაც დამღის ბეჭდის კვალი ცხადად ჩანს.

1945 წ. 29/X.

რედაქტორის შენიშვნა:

ქ-ნი თამარის ამ სტატიის ხელნაწერს ვერ მივაკვლიეთ და ვისარგებლეთ მანქანაზე გადაბეჭდილი პირით, რომელიც ნაკლულია. ვერ გაირკვა სქოლიოები იქ, სადაც სტატიის ბოლოში მსჯელობაა შაბურ I, ბაჰრამ I, ბაჰრამ II, შაბურ II და შაბურ III მონეტებზე.

ავტორს აქ მითითებული ჰქონდა 2 თუ 3 ნაშრომი, რომელთა გარკვევა ვერ მოხერხდა. გარდა ამისა, ქ-ნი თამარი ცხრილში ყოველ მონეტასთან უთითებდა ანალოგიას ლიტერატურიდან – რომელიღაც კატალოგიდან, რომლის სათაური ჩვენს ხელთ არსებულ პირში არ ირკვევა. მიუხედავად ამისა, მაინც მიზანშეწონილად მიმაჩნია ამ სტატიის თუნდაც ასეთი, ნაკლული სახით გამოქვეყნება, არა მარტო იმიტომ, რომ სტატიაში უხვი ინფორმაციაა მოცემული, არამედ იმიტომაც, რომ ავტორის მიერ განძის ანალიზის საფუძველზე მიღებული საისტორიო ხასიათის დასკვნები დღესაც ღირებულია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ზარაფხანის სახელწოდება უახლეს ლიტერატურაში სხვანაირად იშიფრება.

აქვე ვიძლევი ამ განძის მონეტების ზოგიერთი თარიღისა და ზარაფხანის ახლებურ წაკითხვას მ. წოწელიას 2003 წელს გამოცემული ნაშრომის მიხედვით: M. Tsotselia, History and Coin Finds in Georgia. Sasanian Coin Finds and Hoards, Wetteren, 2003.

ვსარგებლობ თ. ლომოურის სიის ნომრებით:

№ 1 – მაჰი;

№ 5 – რეი, ინდიქტიონი 41 = 528;

№ 7 – აბარშაჰრი;

№ 9 – შირაჳვანი;

№ 12 – რეი;

[13] К. Тревер, Художественное значение сасанидских монет. Гос. Эрмитаж, Труды отдела Востока, т. I, 1939 წ. გვ. 259.

№ 14 – მეშანი;
№ 17 – დარაბჯერდი;
№ 19 – დარაბჯერდი, ინდიქტიონი 24 = 511;
№ 21 – ინდიქტიონი 24 = 511;
№ 22 – ბიშაპური;
№ 23 – ინდიქტიონი 31 = 518;
№ 24 – ვეჰ-ანტიოქ-შაპური, ინდიქტიონი 32 = 519;
№ 25 – არდაშირ-ჰვარა;
№ 26 – ვეჰ-ანტიოქ-შაპური, ინდიქტიონი 26 = 513;
№ 29 – ინდიქტიონი 33 = 520;
№ 30 – ბიშაპური, ინდიქტიონი 26 = 513;
№ 31 – ინდიქტიონი 33 = 520;
№ 32 – ვარდაშირი (?), ინდიქტიონი 30 = 517;
№ 33 – ერან-ჰვარა-შაპური;
№ 34 – რეი;
№ 35 – ინდიქტიონი 27 = 514;
№ 37 – ჰერათი, ინდიქტიონი 27 = 514;
№ 38 – ერან-ჰვარა-შაპური, ინდიქტიონი 16 = 547;
№ 39 – მერვი;
№ 40 – რევ-არდაშირი, ინდიქტიონი 15 = 546.



№ 1



№ 2



№ 7



№ 38

სასანურ-არაბული ფულების სამი კახური განძი

ის სამი კახური განძი, რომლებიც ამჟამად ჩემი შესწავლის საგანს წარმოადგენს, უკვე კარგა ხანია ჩვენს ხელში იმყოფება – ისინი 1924 წ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის ახლად ჩამოყალიბებულმა ნუმიზმატიკურმა კაბინეტმა შეიძინა. სამივე საერთო რიცხვით 603 მონეტისაგან შესდგება. პირველი განძი აღმოჩენილია ყოფ. სიღნაღის მაზრის სოფ. აფენში, ალაზან გაღმა (ამჟამად ლაგოდეხის რ.). ამ განძში შედის 354 არაბული (მათ შორის 13 ნატეხი) და 40 სასანური ან სასანური ტიპის (მათ შორის 4 ნატეხი) დრამა. მეორე განძი ამავე მხარის სოფ. ლელიანშია ნაპოვნი და შესდგება 163 არაბული (მათ შორის 1 ნატეხი) და 8 სასანური ან სასანური ტიპის დრამისაგან. მესამე განძი სოფ. კავშირიდან არის და შესდგება 36 არაბული და 2 სასანური დრამისაგან. რა გარემოებებში იქნა აღმოჩენილი ეს განძები, ცნობილი არ არის, მხოლოდ უკანასკნელი განძის შესახებ ვიცით, რომ მას ხვნის დროს წასწყდომიან.

უნივერსიტეტის ნუმიზმატიკური კოლექციები 1931 წ. გადაეცა საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკურ კაბინეტს. ამ კაბინეტში მუშაობისას მე შეძლება მომეცა მოხსენებული განძები შემესწავლა და გამოსაცემად დამემზადებინა. სამწუხაროდ, საქართველოს მუზეუმის გამომცემლობაში 1937 წ. გადაცემული ხელნაწერი დაიკარგა. გამოქვეყნება კი ამ განძებისა აუცილებლად საჭიროა: საქართველოს ეკონომიური ვითარების გასათვალისწინებლად VIII-IX ს-ის განმავლობაში უძვირფასეს მასალას წარმოადგენს იმდროინდელი ნუმიზმატიკური განძების შესწავლის შედეგად მილებული მონაცემები. ამ მოსაზრების გარდა არსებობს კიდევ ერთი გარემოება: ამ განძების შესახებ ზოგიერთი ცნობები უკვე გამოქვეყნდა სპეციალურ ლიტერატურაში, თვით განძები კი ჯერ ისევ გამოუცემელია. აღნიშნული მდგომარეობის გამო მე საჭიროდ დავინახე კვლავ ხელი მომეკიდა უკვე ერთხელ გაკეთებული სამუშაოსათვის, რათა ეხლა მაინც მივაწოდო დაინტერესებულ პირებს ეს საყურადღებო მასალა.

ჩემი ეხლანდელი ნაშრომი, გადამუშავებული და ახალი მასალით შევსებული, მე ასე მაქვს დაგეგმილი: აღწერილ-აღნუსხული იქნება თვითეული განძი ცალ-ცალკე, ხოლო ზოგადი მოსაზრებანი და დასკვნები მოცემული იქნება ნაშრომის ბოლოში სამივე განძის შესახებ ერთად. ასეთ გეგმას მე დავადექი შემდეგი მოსაზრების გამო. სამივე განძში შემავალი მონეტების ანალიზმა დამანახვა, რომ მათი შემადგენლობა ერთგვარია რამდენიმე თვალსაზრისით. 1) სამივეში წარმოდგენილია ამათუ იმ რაოდენობით ორგვარი ფული–სასანური ტიპისა და არაბული; 2) ქრონოლოგიურად ეს ფული ერთმანეთს ემთხვევა – სამივე განძში შემავალ უადრეს და უგვიანეს მონეტებს შორის ასეთი მიმართებაა (მხედველობაში მიღებულია სასანური ტიპის ფულებიც):

	უადრესი	უგვიანესი
I განძში	590 წ.	833 წ.
II განძში	618 წ.	826 წ.
III განძში	599 წ.	819 წ.

დაბოლოს 3) ჩვენი განძები ტერიტორიულადაც უკავშირდებიან ერთმანეთს. ის სამი სოფელი, სადაც აღმოჩნდა მოხსენებული განძები, ერთი გარკვეული ცენტრისადმი მიდრეკილ რაიონს წარმოადგენენ. ცენტრია ქ.ლაგოდეხი, რომლისაგანაც სოფ. აფენი იმყოფება დაახლოებით 27 კმ, სოფ. ლელიანი 24 კმ, ხოლო სოფ. კავშირი 5 კმ მანძილზე. ამ გარემოებათა გამო მე შესაძლოდ დავინახე, სამივე განძის ფულები მიმეჩნია ისეთ შენაკრებად, რომელიც ჩამოყალიბდა ერთგვარ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში, რის გამო დასკვნებიც, ცხადია, ერთგვარი იქნება და თანაბრად შეესაბამება სამივე განძს.

ნაშრომის ბოლოში მოცემულია აქნობამდე გამოუქვეყნებელი ცალების აღწერილობა და მათი ფოტო-პირები.

ამ მოკლე შესავლის შემდეგ მე შევუდგები თვითეული განძის ანალიზს.

პირველი განძი (აფენი)[1]

ა) სასანური და სასანური ტიპის ფულები.

№ რიგითი	№ ინვენტარისა	ხელისუფალი	დინასტია	თარიღი	დიამეტრი მმ-ში	წონა გ-ში
1	2	3	4	5	6	7
1	364	ურმიზდ IV	სასანიდი	ინდიქტ. 11=590	28	2,95
2	12	ხოსრო II	„	„ 3=593	30/29	3,89
3	13	„	„	„ „	28	3,68
4	368	„	„	„ 14=604	28	3,13
5	15	„	„	„ 25=615	29/28	3,30
6	369	„	„	„ „	26/25	2,56
7	370	„	„	„ „	27/26	2,75
8	367	„	„	„ „	27/26	3,35
9	16	„	„	„ 26=616	28	3,33
10	371	„	„	„ 36=625	26/15	1,75
11	366	„	„	„ 4=595	25/24	2,23
12	17	„	„	–	31/29	3,41
13	372	„	„	–	20/19	1,57
14	14	„	„	–	30/29	3,61
15	365	„	„	–	26/25	2,85
16	18	„	„	–	28/27	2,81
17	394	ხოსრო II-ის სახელით მოჭრილი.	–	–	29	3,85
18	373	ომარ ბენ ობეიდა[2], ხალიფას მოადგილე.	–	70 წ. ჰიჯრით = 689/690	26/27	3,30
19	20	მოჰალებ ბენ აბუსოფრა[3]	–	76 წ. ჰიჯრით = 695/696	30/29	3,56
20	19	„	„	„	30	3,60
21	374	ფერჰანი	ტაბარისტანის ისპეჰბედი	75 წ. ტაბარისტანის ერათი.	23	2,05
22	375	დატბურ მატანი	„	87 „	23	2,27
23	376	ხურშიდ II	„	108[4] „	24	1,85
24	377	ჰალიდ ბენ ბარმე	ტაბარისტანის მმართველი	118 „	24	2
25	382	სეიდ ბენ დალიჯი	„	125 „	24	1,81

[1] შეტანილია საქართველოს სახ. მუზეუმის ინვენტარში „განძები“ №№ 1-394.

[2] В. Тизенгаузен. Монеты Восточного халифата, СПб., 1873, № 143.

[3] აქვე, № 239.

[4] Mordtmann. Erklärung der Münzen mit Pehlevi Legenden. Zeitschrift deutsch. morgenland... Geschichte, 1865, Bd. XIX, 494-495.

1	2	3	4	5	6	7
26	383	სეიდ ბენ დალივჯი	ტაბარისტანის მმართველი	125 წ. ტაბარის-ტანის ერათი.	23/17	1,50
27	381	ომარ ბენ ალ-ალა	„	„	23/13	1,09
28	378	„	ტაბარისტანის აბასიანი მმართველი.	„	23	1,80
29	379	„	ტაბარისტანის მმართველი.	129 წ. ტაბარისტანის ერათი	24	1,85
30	380	„	„	„ „	24	1,91
31	384	ანონიმი	„	130 „	23/22	1,88
32	391	„	„	132 „	26/24	1,94
33	388	„	„	„ „	23/22	1,73
34	389	„	„	„ „	23	1,89
35	385	„	„	„ „	24/23	1,89
36	390	„	„	133 „	24/23	1,79
37	387	„	„	136 წ. ტაბარისტანის ერათი	24/22	1,85
38	386	„	„	–	23/27	1,97
39	392	სულეიმანი	„	137 წ. ტაბარისტანის ერათი	23	2,26
40	393	ჰანი ბენ ჰანი	„	„ „	23/21	1,87

ბ) არაბული ფულები.

№ რიგ.	№ ინვენტ.	ხალიფა	ზარაფხანა	თარიღი	დიამეტ. მმ-ში	წონა გ-ში	ჰიჯრის შესატყვისი წელი ქრისტ. წელთაღრ.
1	2	3	4	5	6	7	8
41	21	აბდ-ალ-მალექ ომაიდი[5]	დამასკო	80	22	1,95	699/700
42	351	„	„	84	26/25	2,40	703
43	22	„	ვასიტი	86	27/26	2,77	705
44	23	ვალიდ I[6] ომაიდი	„	95	26/25	2,69	713/714
45	24	„ ან სულეიმან[7] ომაიდი	მაჰი	96	25	2,47	714/715
46	25	იეზიდ II[8] ომაიდი	ვასიტი	105	26/25	2,75	723/724

[5] ხალიფობის წლები 65-86 წ. ჰიჯრით =685-705 წ.
[6] ხალიფობის წლები 86-96 წ. ჰიჯრით =705-715 წ.
[7] ხალიფობის წლები 96-99 წ. ჰიჯრით =715-718 წ.
[8] ხალიფობის წლები 101-105 წ. ჰიჯრით =720-724 წ.
[9] ხალიფობის წლები 105-125 წ. ჰიჯრით =724-743 წ.

1	2	3	4	5	6	7	8
47	26	ჰიშამ[9] ომაიდი	დამასკო	110	28/27	2,85	728/729
48	1	„ „	ვასიტი	115	27	2,90	733/734
49	27	„ „	„	121	25/24	2,67	738/739
50	28	„ „	„	122	24	2,79	739/740
51	29	„ „	„	123	24	2,82	740/741
52	30	„ „	„	125	25	2,85	742/743
53	31	მერვან II[10] ომაიდი	„	131	25/24	2,87	748/749
54	33	ას-საფახ[11] აბასიდი	ბასრა	134	25/24	2,90	751/752
55	32	„ „	„	134	24	2,75	751/752
56	2	„ „	„	136	25	2,85	753/754
57	34	ალ-მანსურ[12] აბასიდი	ქუფა	137	25	2,92	754/755
58	35	„	„	139	26	2,87	756/757
59	36	„	ბასრა	140	25	1,78	757/758
60	37	„	ქუფა	141	26/25	2,91	758/759
61	38	„	„	„	26/25	2,85	„
62	39	„	„	„	25	2,86	„
63	40	„	„	142	26/25	2,72	759/760
64	41	„	„	„	24	2,89	„
65	42	„	„	„	25	2,85	„
66	3	„	ბასრა	144	27/26	2,84	761/762
67	44	„	„	„	26/25	2,79	„
68	45	„	„	„	26/25	2,79	„
69	43	„	ქუფა	„	24	2,91	„
70	46	„	„	145	24/23	2,85	762/763
71	47	„	ბასრა	146	23	2,60	763/764
72	4	„	„	„	27/26	2,82	„
73	48	„	„	147	25/24	2,89	764/765
74	49	„	რეი	„	26	2,86	„
75	51	„	მუჰამადია	148	25/24	2,85	765/766
76	50	„	რეი	„	25/22	2,81	„
77	52	„ „	მუჰამადია	149	26/25	2,85	766/767
78	53	„ „	აბასია	„	25/24	2,74	„
79	55	„ „	„	150	24	2,66	767
80	54	„ „	„	„	24/23	2,85	„
81	56	აბდარ-რაჰმან ესპანიის ომაი-დი[13]	ანდალუზი	„	27/26	2,70	„
82	57	ალ-მანსურ აბასიდი	ბაღდადი	151	25	2,88	768
83	58	„ „	მუჰამადია	„	25	2,85	„

[10] ხალიფობის წლები 127-132 წ. ჰიჯრით =744-750 წ.

[11] ხალიფობის წლები 132-136 წ. ჰიჯრით =750-754 წ.

[12] ხალიფობის წლები 136-159 წ. ჰიჯრით =754-776 წ.

[13] ხალიფობის წლები 138-172 წ. ჰიჯრით =756-788 წ.

1	2	3	4	5	6	7	8
84	59	ალ-მანსურ აბასიდი	ბაღდადი	152	25/24	2,88	769
85	60	„ „	„	„	24	2,75	„
86	61	„ „	„	152	25/24	2,85	769
87	62	„ „	„	„	24/23	2,92	„
88	63	„ „	„	„	24	2,90	„
89	64	„ „	არმინია	„	27/26	2,82	„
90	65	„ „	აბასია	152	25	2,86	769
91	66	„ „	ბაღდადი	153	24/23	2,79	770
92	67	„ „	„	„	25	2,79	„
93	68	„ „	მუჰამადია	„	27/26	3,12	„
94	69	„ „	„	„	26/25	2,92	„
95	70	„ „	ბაღდადი	154	24/23	2,71	770/771
96	71	„ „	„	„	26/25	2,90	„
97	72	„ „	მუჰამადია	„	25	2,66	„
98	73	„ „	ბაღდადი	155	24	2,89	771/772
99	74	„ „	„	„	25/24	2,93	„
100	5	„ „	მუჰამადია	„	25/24	2,44	„
101	75	„ „	„	„	26/25	2,85	„
102	76	„ „	არმინია	„	26	2,86	„
103	77	„ „	ბაღდადი	156	24	2,86	772/773
104	78	„ „	აბასია	„	26/25	2,71	„
105	79	„ „	„	„	23	2,34	„
106	80	„ „	„	„	27/25	2,59	„
107	81	„ „	ბაღდადი	157	25/23	2,85	773/774
108	82	„ „	„	„	25	2,91	„
109	83	„ „	„	158	24/22	2,52	774/775
110	84	„ „	აბასია	„	26	2,54	„
111	85	„ „	„	„	25	2,78	„
112	86	მაჰდი [14] აბასიდი	ბაღდადი	159	27/26	2,75	775/776
113	87	„ „	„	160	27/25	2,90	776/777
114	88	„ „	„	„	25/24	2,92	„
115	89	„ „	„	„	26/25	2,79	„
116	90	„ „	„	„	26/25	2,80	„
117	91	„ „	„	„	27/26	2,90	„
118	92	„ „	აბასია	„	23	2,55	„
119	93	„ „	„	„	24	2,68	„
120	94	„ „	ბასრა	„	25	2,85	„
121	95	„ „	ბაღდადი	161	25	2,92	777/778
122	96	„ „	„	„	26/25	2,52	„
123	97	„ „	„	„	25/24	2,89	„
124	98	„ „	„	„	26/25	2,94	„
125	99	„ „	„	„	24	2,84	„
126	100	„ „	„	„	23	2,92	„
127	101	„ „	„	„	25	2,93	„
128	102	„ „	მუჰამადია	161	25/24	2,89	„

[14] ხალიფობის წლები 159-169 წ. ჰიჯრით =776-786.

1	2	3	4	5	6	7	8
129	103	მაჰდი აბასიდი	აბასია	161	26/23	2,64	777/778
130	104	„ „	ბაღდადი	162	22	2,85	778/779
131	105	„ „	„	„	25/23	2,94	„
132	106	„ „	„	„	23	2,90	„
133	107	„ „	„	„	23/22	2,90	„
134	108	„ „	„	„	23	3,05	„
135	109	„ „	„	„	24/23	2,90	„
136	110	„ „	„	„	23	2,90	„
137	111	„ „	„	„	22	2,74	„
138	112	„ „	„	„	24/23	2,92	„
139	113	„ „	„	„	23	2,90	„
140	6	„ „	აბასია	„	24	2,77	„
141	7	„ „	„	„	25	2,75	„
142	122	„ „	„	„	24	2,79	„
143	123	„ „	„	„	25/23	2,75	„
144	114	„ „	ჯეი	„	27	3,10	„
145	115	„ „	„	„	25	2,89	„
146	116	„ „	„	„	27/25	2,85	„
147	117	„ „	„	„	27	2,87	„
148	118	„ „	„	„	26	2,89	„
149	119	„ „	„	„	27	2,87	„
150	120	„ „	„	„	27/26	2,88	„
151	121	„ „	„	„	26/25	2,89	„
152	124	„ „	ბაღდადი	163	25/23	2,92	779/780
153	125	„ „	„	„	24/23	2,89	„
154	126	„ „	„	„	23	2,89	„
155	127	„ „	„	„	23/22	2,67	„
156	128	„ „	„	„	25/24	2,92	„
157	129	„ „	„	„	24	2,89	„
158	130	„ „	აბასია	„	25	2,92	„
159	131	„ „	ბაღდადი	164	23	2,92	780/781
160	132	„ „	„	„	22	2,92	„
161	133	„ „	„	„	23	2,82	„
162	134	„ „	„	„	24	2,35	„
163	135	„ „	აბასია	„	25/24	2,64	„
164	136	„ „	მუჰამადია	165	25/24	2,85	781/782
165	137	„ „	„	„	24	2,77	„
166	138	„ „	აბასია	„	25/22	2,55	„
167	139	„ „	ბაღდადი	166	23	2,85	782/783
168	140	„ „	„	„	25	2,67	„
169	356	„ „	„	„	24/22	1,65	„
170	141	„ „	„	„	25/24	2,79	„
171	142	„ „	„	„	25/24	2,79	„
172	143	„ „	„	„	25/24	2,93	„
173	144	„ „	„	„	24/23	2,85	„
174	145	„ „	აბასია	„	26	2,67	„
175	146	„ „	„	„	25/23	2,65	„
176	147	„ „	„	„	24	2,57	„
177	148	„ „	„	„	24	2,47	„
178	149	„ „	„	„	24/23	2,99	„

1	2	3	4	5	6	7	8
179	150	მაჰდი აბასიდი	აბასია	166	25/24	2,65	782/783
180	151	„ „	„	„	24/23	2,62	„
181	152	„ „	„	„	26/24	2,64	„
182	153	„ „	„	„	25	2,55	„
183	154	„ „	„	„	26/25	2,45	„
184	155	„ „	„	„	25	2,67	„
185	156	„ „	„	167	26/24	2,74	783/784
186	157	„ „	„	„	25	2,59	„
187	158	„ „	„	„	25	2,89	„
188	159	„ „	„	„	24/22	2,89	„
189	160	„ „	ქირმანი	„	25/24	2,81	„
190	161	„ „	აბასია	168	26/25	2,65	784/785
191	162	„ „	„	169	26/25	2,72	785/786
192	163	ჰადი [15] აბასიდი	ქირმანი	„	23/21	2,82	„
193	164	„ „	„	„	24/23	2,94	„
194	165	„ „	ბაღდადი	170	24	2,85	786/787
195	166	„ „	აბასია	„	24/23	2,42	„
196	167	„ „	„	„	24/20	1,87	„
197	168	რაშიდ [16] აბასიდი	ბაღდადი	171	25/24	2,90	787/788
198	169	„ „	მუჰამადია	„	24/23	2,49	„
199	172	„ „	აბასია	„	26/25	3,06	„
200	173	„ „	„	„	24	2,48	„
201	174	„ „	„	„	26/25	2,69	„
202	175	„ „	„	„	23	2,89	„
203	171	„ „	იფრიკია	„	27/25	2,98	„
204	170	„ „	ჰარუნია	„	25/24	2,85	„
205	176	„ „	ბაღდადი	172	24	2,75	788/789
206	177	„ „	მუჰამადია	„	25	2,89	„
207	179	„ „	აბასია	172	24/23	2,70	„
208	180	„ „	„	„	26/25	2,79	„
209	181	„ „	„	„	24	2,69	„
210	182	„ „	„	„	26/25	2,72	„
211	183	„ „	„	„	23/22	2,55	„
212	184	„ „	„	„	24	2,85	„
213	178	„ „	იფრიკია	„	24/23	2,57	„
214	185	„ „	მუჰამადია	173	25/24	2,89	789/790
215	187	„ „	აბასია	„	24	2,69	„
216	188	„ „	„	„	24/23	2,58	„
217	189	„ „	„	„	25/24	2,45	„
218	186	„ „	სეჯესტანი	173	25/24	2,85	789-790
219	190	„ „	აბასია	174	25	2,72	790/791
220	197	„ „	„	„	26	2,70	„
221	191	„ „	ბაღდადი	175	24	2,90	791/792
222	192	„ „	„	„	24	2,85	„
223	8	„ „	მუჰამადია	176	25/24	2,95	792/793
224	193	„ „	აბასია	„	26/25	2,72	„

[15] ხალიფობის წლები 169-170 წ. ჰიჯრის =785-786 წ.

[16] ხალიფობის წლები 170-193 წ. ჰიჯრის =786-809 წ.

1	2	3	4	5	6	7	8
225	194	რაშიდ აბასიდი	აბასია	176	26/25	2,80	792/793
226	195	„ „	„	„	25	2,77	„
227	196	„ „	„	„	25	2,04	„
228	340	„ „	„	„	26	2,69	„
229	199	იდრის I[17] იდრისიდი	თუდლა	„	24	2,65	„
230	198	„ „	ვალილა	„	25/24	2,64	„
231	200	რაშიდ აბასიდი	ბაღდადი	177	26	2,85	793/794
232	201	„ „	მუჰამადია	„	24	2,80	„
233	202	„ „	იფრიკია	„	24	2,61	„
234	203	„ „	ბაღდადი		25/23	2,25	„
235	204	„ „	„	„	23/22	2,65	„
236	205	„ „	„	„	24	3,43	„
237	206	„ „	მუბარაქი	177 ან 179	25	3,27	793/794 ან 795/796
238	9	„ „	ზარანჯი	178	25/24	2,94	794/795
239	207	„ „	„	„	24	2,92	„
240	208	„ „	„	„	23/22	2,22	„
241	209	„ „	ბაღდადი	179	25/24	2,93	795/796
242	210	„ „	„	„	26	2,92	„
243	211	„ „	„	„	25/24	2,93	„
244	212	„ „	„	„	25/26	2,94	„
245	213	„ „	„	„	25/24	2,94	„
246	214	„ „	„	„	25/24	2,91	„
247	10	„ „	ზარნაჯი	„	25	2,92	„
248	215	იდრის II[18] იდრისიდი	ვალილა	„	26/25	2,62	„
249	339	რაშიდ აბასიდი	აბასია	17...	26/25	2,55	786/796
250	216	„ „	ბაღდადი	180	26/25	2,97	796/797
251	217	„ „	„	„	25	2,90	„
252	218	„ „	„	„	25/23	2,95	„
253	219	„ „	„	„	25	2,95	„
254	220	„ „	„	„	25	2,90	„
255	221	„ „	„	„	25	2,95	„
256	222	„ „	მუჰამადია	„	25	2,94	„
257	225	„ „	იფრიკია	„	23/22	2,95	„
258	223	„ „	ზარანჯი	„	26/25	2,88	„
259	224	„ „	მისრი	„	22	2,93	„
260	226	„ „	ბაღდადი	181	26/25	2,90	797/798
261	227	„ „	„	„	25/24	2,95	„
262	228	„ „	მუჰამადია	„	25/24	2,94	„
263	11	„ „	ზარანჯი	„	24	2,75	„
264	229	„ „	„	„	26/25	3,09	„
265	230	„ „	მუჰამადია	182	25/24	3,14	798/799
266	231	„ „	„	„	26/25	2,79	„
267	232	„ „	ბალხი	„	25	2,80	„
268	233	„ „	აბასია	„	25/24	3,05	„

[17] მმართველობის წლები 172-177 ჰიჯრით = 789-793.

[18] მმართველობის წლები 177-213. ჰიჯრით=793-828.

1	2	3	4	5	6	7	8
269	234	რაშიდ აბასიდი	მუჰამადია	183	26/25	3,01	799/800
270	235	„ „	„	„	26	2,95	„
271	236	„ „	იფრიკია	„	25/24	2,90	„
272	237	„ „	„ ?	„	27/25	2,37	„
273	238	„ „	„ ?	„	25/24	2/53	„
274	239	„ „	ბაღდადი	184	25	2,94	800
275	240	„ „	მუჰამადია	„	26	2,90	„
276	241	„ „	„	„	25/24	2,84	„
277	242	„ „	„	„	25	2,85	„
278	243	„ „	„	„	26/24	2,89	„
279	244	„ „	ბაღდადი	185	26	2,41	801
280	245	„ „	„	„	25/24	2,85	„
281	246	„ „	მუჰამადია	„	25/24	2,86	„
282	247	„ „	„	„	25	2,88	„
283	248	„ „	ზარანჯი	„	25/24	2,88	„
284	249	„ „	ბალხი	„	24	2,92	„
285	250	„ „	ბალხი	„	25/83	2,93	„
286	251	„ „	მარავი	„	26/25	2,85	„
287	252	„ „	ბაღდადი	186	25/24	2,92	802
ამისდა მიხედვით განძი, უეჭველია, ერთი თაობის სიცოცხლის ხანგრძლივობაში უნდა დავროვილიყო. მისი შემადგენლობა იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ იგი მინიატურაში ასახავს აღმოსავლეთ საქართველოში იმ პერიოდში მომქმედი ვერცხლის ფულის თითქმის მთლიან სურათს – სისრულისათვის მას აკლია მხოლოდ რუსუდანის 1230 წ. და დავით VI-ის 1247 წ. მოჭრილი დრამები. უნდა კი

ითქვას, რომ მოხსენებული ფულები, როგორც ჩანს, მცირე რაოდენობით იჭრებოდა და, საზოგადოდ, იშვიათად გვხვდება განძებში.

მეორე გარემოება, რომელიც იქცევს ყურადღებას ამ განძის განხილვისას, არის ის ფაქტი, რომ განძში შემავალ 265 მონეტიდან 242 მონეტა (მანგუ ყაანისა 94 ც., ყაანურები 147 ც. და დავით VII-ისა 1 ც.) აქვე, საქართველოს ტერიტორიაზეა მოჭრილი; 22 ცალი მომდინარეობს საქართველოს ახლო მეზობელ და თანაც მონათესავე დინასტიებისაგან, სახელდობრ, რუმის სელჯუკების და ტრაპიზონის კომნენის ფულები, და მხოლოდ 1 ცალი – სალაჰ ედ-დინ ეიუბიდის მონეტაა შედარებით შორიდან მოსული და უცხო.

ზემოთქმულის შემდეგ ძნელი არ არის განძის ჩაფლვის დროს გამორკვევა. ცხადია, განძის უგვიანეს მონეტაზე აღნიშნულ თარიღს ე. ი. 1267 წელზე ადრე ეს ამბავი ვერ მოხდებოდა. მეორე საზღვრად, რომლის უგვიანეს არ უნდა მომხდარიყო ამ ფულების განძად გადაქცევა, 1280 წელი, ან მისი ახლო ხანა უნდა მივიჩნიოთ. ამ წლიდან თბილისში დიდის რაოდენობით იჭრება ე. წ. ქრისტიანულ-ჰულაგუიდური დრამები, რომლებიც, საფიქრებელია, მოჰყვებოდნენ განძში, უკეთუ მისი დაგროვების პროცესი ამ წელს გადასცილდებოდა.

განძი მიწაში ჩაფლვის შემდეგ, როგორც ჩანს, კარგ ბუნებრივ პირობებში მოხვედრილა, საერთოდ მშვენივრად არის დაცული, საჭირო გახდა მხოლოდ რამდენიმე ცალის ქიმიურად გაწმენდა. თვით მონეტებსაც გაცვეთა არ ეტყობათ.

ახლა, ვიდრე განძში შემავალი მონეტების აღწერილობაზე გადავიდოდე, მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა განძის მეცნიერული ღირებულების და მნიშვნელობის შესახებ. XIII ს-ის ოცდაათიანი წლებიდან მონღოლებმა, როგორც ცნობილია, მტკიცედ მოიკიდეს ფეხი საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში. ყველასათვის ცხადი გახდა, რომ შემოსეული მტრის უკუგდებისათვის ბრძოლა, იმ ხანობით, უნაყოფო გამოდგებოდა. ქუთაისს გახიზნული მეფე რუსუდანიც ბოლოსდაბოლოს დაადგა იმავე გზას, რომელიც აერჩიათ მის დიდ მოხელეებს: იგი შეუთანხმდა მონღოლებს, დასდო მათთან ზავი გარკვეული პირობებით და 1242/3 წლებში ძით დავითითურთ თბილისს გადმოვიდა. დადებული შეთანხმების მიხედვით საქართველოს მთავრობამ სცნო საყაანოს უზენაესობა. საქართველოში საქართველოს ხელისუფლების გარდა საყაანოს უმაღლესი მოხელეებიც უნდა ყოფილიყვნენ.[1] ხელისუფლების უზენაესობასთან, სხვა ფუნქციებსა და პრეროგატივებთან ერთად დაკავშირებულია, როგორც ვიცით, ფულის მოჭრის პრეროგატივაც. შექმნილი მდგომარეობის გამო საქართველოში ორივე ხელისუფლებას – ქართულსაც და მონღოლურსაც – შეეძლოთ ფულის გამოშვება. მიუხედავად ამისა მონღოლური პირველი ფული საქართველოში, სახელდობრ, თბილისში მხოლოდ 1252 წელს მოიჭრა. ქართულმა ხელისუფლებამ რამდენიმე წლით უსწრო და უკვე 1245 წელს – რუსუდანის დრამის გამოშვებიდან 15 წლის შემდეგ – დავით ნარინის სახელით სპილენძის ფული მოსჭრა. ფულის ზედწერილები ორივე მხარეზე სპარსულარაბულადაა შესრულებული. ქართულია მხოლოდ მონოგრამა ე.ი. დავით და ზოგჯერ ქორონიკონის აღმნიშვნელი ოთხი ასო ϯϥϽϠ ე. ი. ქორონიკონი 465. ამ ქორონიკონით აღნიშნული ფულები უჭრიათ დმანისში. აქ ორი გარემოება იპყრობს ყურადღებას: 1) ეს ფული იმ დროს არის მოჭრილი, როდესაც დავით ნარინი ყარაყორუმში იმყოფებოდა და ჯერ მეფედ დამტკიცებული არც იყო. 2) ეს ფული დმანისის ზარაფხანაშია მოჭრილი და არა თბილისისაში, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა. რას უნდა გამოეწვია ამ პირობებში ამ ფულის მოჭრა? აქ საჭიროა გავიხსენოთ აღმოსავლეთ საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების რამდენიმე მომენტი.

1245 წ. რუსუდანი გარდაიცვალა. ამ დროს დავით ნარინი ჯერ ისევ ყარაყორუმში იმყოფებოდა. უმეფოდ დარჩენილ ქვეყანაში ხელისუფლება დიდ მოხელეებსა და ფეოდალებს ჩაუვარდათ ხელში. მათ შორის უდიდესი გავლენა ეგარსლან ბაკურციხელმა მოიპოვა. მისი ასეთი განდიდების მოწინააღმდეგეებმა განსაკუთრებულ ღონისძიებას მიმართეს: მრავალი წლით ადრე იკონიის სასულტნოში გადაკარგული ქართველი უფლისწული ლაშას ძე დავითი მოიძიეს და მონღოლების წინაშე მისი კანდი-

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. წ. III, თბ., 1941, გვ. 24.

დატურა სამეფო ტახტზე წამოაყენეს. ეს ყველაფერი მოხდა 1245/6 წლებში.[2] ამგვარად დავით ლაშას ძის ძიებისა და მისი კანდიდატურის სამეფოდ წამოყენების დრო ზედმიწევნით ხვდება დავით ნარინის სახელით ფულის მოჭრის თარიღს. ეს შეხვედრა, ვგონებ, შემთხვევითი არ უნდა იყოს, არამედ ნაკარნახევი დავით ნარინის მომხრე ჯგუფის განზრახვით, წინასწარ უზრუნველეყოთ თავისი კანდიდატის უფლება საქართველოს სამეფო ტახტზე, ვინაიდან საყოველთაოდ გაზიარებული შეხედულებით ფულის მოჭრა მეფის ძალა-უფლების განხორციელების ერთ-ერთ მძლავრ საბუთს წარმოადგენდა. თანახმად მონღოლებთან დადებული ხელშეკრულებისა, ფულის ზედწერილში დავითი ყაანის უზენაეს უფლებას აღიარებს, თავისთავს კი მის მონას, მაგრამ მაინც მეფეს უწოდებს داود ملك هاشي بنده თუმცა ამ უკანასკნელ ტიტულზე, მონღოლთა თვალსაზრისით, მას ამ დროისათვის ჯერ სრული უფლება არც ჰქონდა. თუ ეს მოსაზრება შემცდარი არ არის, მაშინ გასაგები ხდება ისიც, თუ რატომ მოხდა ამ რეგალიის განხორციელება დმანისში და არა თბილისში: მონღოლების ხელისუფლება და, შესაძლებელია, დავით ლაშას ძის მომხრეთა ჯგუფიც, ცხადია, ამას წინააღუდგებოდნენ. ამასთან დაკავშირებით გასაგები და აუცილებელი ხდება მეორე ფაქტიც: ორი წლის შემდეგ 1247 წ. ამავე ტიპის ფული უკვე თბილისში იჭრება, ე.ი. იმ დროს, როდესაც დავით ნარინი მონღოლთა უზენაესი ყაანის გუიუქის მიერ დამტკიცებული იყო მეფედ. შესაძლებელია, ამავე დროს ეკუთვნოდეს ის ფულიც, რომელიც დავით გიორგის ძის სახელით არის მოჭრილი და რომელსაც, სამწუხაროდ, ზარაფხანის ადგილმდებარეობის ცნობა არ ახლავს, თარიღის არსებობაც ამ ფულზე საეჭვოა. ამ დროიდანვე მომდინარეობს დავით ნარინის თეთრი, ხოლო 1252-1255 წლებში ამას ემატება დავით ულუსიც. ორივე გამოდის თბილისის ზარაფხანიდან, მაგრამ, როგორც იმდროინდელი განძები ცხადჰყოფენ, ორივე მეფის როგორც სპილენძი, ისე მეტადრე ვერცხლი მეტად მცირე რაოდენობით იჭრება. ეს რაოდენობა იმდენად უმნიშვნელოა, რომ, აშკარაა, იგი ვერ დააკმაყოფილებდა ქვეყნის მოთხოვნილებას და იმდენად ეკონომიური მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა, რამდენადაც წმინდა პოლიტიკური. ქვეყნის ეკონომიური მოთხოვნილებები კი სხვაფრივ კმაყოფილდებოდნენ. ამავე ხანაში თბილისის ზარაფხანა, როგორც ჩანს, ძალიან ინტენსიურად მუშაობს და უხვად უშვებს როგორც ვერცხლის, ისე სპილენძის ფულსაც, მხოლოდ არა ქართველი მეფეების, არამედ უზენაესი ყაანის მანგუს სახელით. ეს ფული მრავლადაა ცნობილი. ჩვენ ხელთ მყოფი სპეციალური ლიტერატურა ამის მჭევრმეტყველ საბუთს იძლევა.[3]

ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ხეობის განძის შემადგენლობის ანალიზი. ამ განძში, რომელიც, როგორც დავინახეთ, მთლად XIII ს-ეს განეკუთვნება და სულ რამდენიმე ათეული წლით იფარგლება, 265 მონეტიდან 94 ც. მანგუს თბილური დრამებია. ამავე დროს ნარინ დავითისა არც ერთი, ულუსი კი მხოლოდ ერთი ცალია. ამგვარად XIII ს-ის ორმოცდაათიან წლებში მანგუს ფული რიცხობრივად საესებით სძლევს და აქარწყლებს ქართველი მეფეების ფულს. იგი ეკონომიურად გაბატონებულია ბაზარზე და მოსახლეობის ფართო ფენებში დაზოგვის და დაგროვების ობიექტადაც გადაქცეულა.

ასეთივე მდგომარეობაა XIII ს-ის შემდეგი ათეულისთვისაც, სახელდობრ სამოციანი წლებისთვისაც. ამ პერიოდში მანგუს ფულს სცვლის ეგრედ წოდებული ყაანური თეთრი I და II სახისა, რომლებიც იმავე თბილისის ზარაფხანაში იჭრება და დიდი რაოდენობით ვრცელდება ქვეყანაში. ნარინ დავითი 1259 წლიდან შორდება აღმოსავლეთ საქართველოს და დასავლეთ საქართველოში გადადის, სადაც მას სხვა პოლიტიკურ-ეკონომიურ გარემოში უხდება მოღვაწეობა. ულუ კი სიკვდილამდე (1269 წ.) განაგრძობს აღმოსავლეთში მტერ-მოყვარულ ურთიერთობას მონღოლებთან, მაგრამ ამ ურთიერთობიდან ფულის საკითხი განდევნილია: 1254/5 წლიდან, ე. ი. ჯერ ისევ მანგუ ყაანის გამგებლობის დროსვე, ულუს ფული აღარ ჩანს. ქვეყნის მოთხოვნილებებს მთლიანად აკმაყოფილებს ჯერ მანგუსი, ხოლო შემდეგ მოხსენებული ყაანური თეთრი I და II სახისა.

---

[2] ივ. ჯავახიშვილი, op. cit. გვ. 46-47.

[3] იხ. Марков, Инвент. каталог мусульм. монет Эрмитажа, 1896, გვ. 439, 440; ამავე კატალოგის მესამე დამატება. გვ. 935 და მეოთხე დამატება, გვ. 989. აგრეთვე Е. Пахомов, Монетные клады Азербайджана..., წიგნი II, №№ 441, 442; წიგნი III, №№ 850, 852, 854, 858.

ეს გარემოებაც საუცხოოდ არის აღბეჭდილი ხეობის განძში. სულ რაღაც ექვსიოდე წლის (1261 წლიდან 1267 წლამდე) მანძილზე ამ, შედარებით, მცირერიცხოვან განძში თავი მოუყრია 147 ც. ორივე სახის ყაანურს. ამ მხრივ ხეობის განძის შემადგენლობა მეტად დამახასიათებელია ქართლის ეკონომიური ვითარების საილუსტრაციოდ და ამდენად ფასდაუდებელია მისი მეცნიერული ღირებულებაც.

ასეთი შერეული ხასიათის განძების მონაცემები შესაძლებლობას მოგვცემდნენ უფრო მტკიცე და საფუძვლიანი, მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნებისათვის. სამწუხაროდ, ასეთი განძები არც ისე ხშირად გვხვდება. კერძოდ ქართლის მიწა-წყალზე, იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც ჩვენს ხელთ არის, არც ერთი ამისთანა ხასიათის განძი აქნობამდე აღმოჩენილი არ ყოფილა. მით უფრო მნიშვნელოვანია, ამის გამო, ხეობის განძის მიერ შემონახული ნუმიზმატიკური ძეგლების ღირებულება.

ამ საერთო ანალიზის შემდეგ გადავდივარ განძის თვითეული მონეტის აღწერაზე.

I. რუმის სელჯუკების დირჰემები[4]

№ 1 ქეიკუბად I D. 24 P. 3[5]

Av. السلطان المعظم „სულტანი უმაღლესი
كيقباد بن كيخسرو ქეიკუბად ძე ქეიხოსროსი“

ირგვლივ: ضرب هذا الدرهم بسيواس „იჭედა ესე დირჰემი სივასს“

არეზე გაფანტულია ვარსკვლავები და წერტილები. გარშემო წერტილოვანი რკალი.

Rv. الامام الناصر „იმამი ალ-ნასირ
لدين الله امير ლიდინ ალლაჰი მბრძანებელი
المومنين მორწმუნეთა“

ირგვლივ: سنه ثمان عشر وستمايه წელსა ექვსას თვრამეტსა (=1221/1222 წ.)

არეზე აქა-იქ ვარსკვლავები, წერტილები და ნახევარწრეები. გარშემო წერტილოვანი რკალი.

№ 2 ამავე პირისა D. 23 P. 2,58

Av. ٦٢٤ 624 (=1226/1227 წ.)
السلطان المعظم „სულტანი უმაღლესი
علا الدنيا والدين ალა ედ-დუნია ვე ედ-დინ
ابوالفتح كيقباد بن აბუ ლ ფათაჰ ქეიკუბად ძე
كيخسرو ქეიხოსროსი

Rv. الامام المستنصر იმამი მუსთანსირ
بالله امير ბილლაჰი მბრძანებელი
المومنين მორწმუნეთა“

ირგვლივ: سنه خمس عشرين وستمايه წელსა ექვსას ოცდა ხუთსა (= 1227/1228 წ.)

გარშემო წერტილოვანი რკალი. აღსანიშნავია თარიღი – ავერსზე 624 წ., ხოლო რევერსზე 625.[6]

№ 3 ამავე პირისა D. 23 P. 2,49

Av. السلطان المعظم „სულტანი უმაღლესი
علا الدنيا و الدين ალა ედ-დუნია ვე ედ-დინ
كيقباد بن كيخسرو ქეიკუბად ძე ქეიხოსროსი“

ირგვლივ: „იჭედა ესე დირჰემი სივასს“

გარშემო წერტილოვანი რკალი.

---

[4] გორის მუზეუმის ინვერტარის ნომრები ამ ჯგუფისა ზოგადად ასეთია $\frac{6-40}{250-270}$

[5] D. = დიამეტრი; P. = წონა. დიამეტრი მოცემულია მილიმეტრებში, წონა გრამებში.

[6] ასეთივეა W. Marsden, The oriental coins, P. I., London, 1823, გვ. 92, № LXXXVI.

Rv. الا مام „იმამი
المستنصر მუსთენსირ
بالله امير ბილლაჰ მბრძანებელი
المومنين მორწმუნეთა“

ირგვლივ: ستمايه سمخ عشرين سنه წელსა ექვსას ოცდა ხუთსა (=1227/1228 წ.)
გარშემო წერტილოვანი რკალი.

№ 4 ამავე პირისა D. 24; P. 2,90

Av. იგივე, რაც № 3
Rv. იგივე, რაც № 3

№ 5 ამავე პირისა D. 23; P. 2,93

Av. السلطان „სულტანი
اعظم كيقباد უმაღლესი ქეიკუბად
بن كيخسرو ძე ქეიხოსროსი“

ირგვლივ: ضرب هذاالدرهم بسيواس იჭედა ესე დირჰემი სივასს
არეზე გაბნეულია რამდენიმე ვარსკვლავი და წერტილი. გარშემო წერტილოვანი რკალი.

Rv. الا مام „იმამი
المستنصر მუსთანსირ
بالله ا ბილლაჰ
مير المومنين მბრძანებელი მორწმუნეთა“

ირგვლივ: ستمايه و ثنتين و ستة წელსა ექვსას ოცდა ათსა (1232/1233 წ.)
არეზე გაბნეულია წერტილები და ორი ვარსკვლავი. ცენტრში მცენარეული ორნამენტი. გარშემო წერტილოვანი რკალი.

№ 6 ამავე პირისა D. 23; P. 3,04

Av. იგივე, რაც № 1
ირგვლივ: ضرب بهذا الدرهم بقونيه იჭედა ესე დირჰემი კონიას
არეზე გაბნეულია წერტილები. გარშემო წერტილოვანი რკალი.
Rv. იგივე, რაც № 2
მეორე და მესამე სტრიქონებს შუა არეზე ორნამენტი.
ირგვლივ: ستمايه و ثنين و ثلثين سنه احدو წელსა ექვსას ოცდათერთმეტსა (= 1233/1234 წ.).
გარშემო წერტილოვანი რკალი.

№ 7 ქეიხოსრო II D. 23; P. 2,94

Av. السلطان „სულტანი
الا عظم უმაღლესი
كيخسرو ქეიხოსრო
بن كيقباد ძე ქეიკუბადისა“

ირგვლივ: ضرب هذا الدرهم بسيواس იჭედა ესე დირჰემი სივასს
გარშემო წერტილოვანი რკალი
Rv. الا مام „იმამი
المستنصر მუსთანსირ
بالله ا ბილლაჰი
مير المومنين მბრძანებელი მორწმუნეთა“

ირგვლივ: ستمايه خمس و ثلثين سنه წელსა ექვსას ოცდათხუთმეტსა (1237/1238 წ.)
არეზე მეორე და მესამე სტრიქონებს შუა ორნამენტი. გარშემო წერტილოვანი რკალი.

№ 8 ამავე პირისა D. 23; P. 2,56

Av.

السلطان الا عظم	„სულტანი უმაღლესი
غياث الدنيا و الدين	ღიას ედ-დუნია ვე ედ-დინ
كيخسرو بن كيقباد	ქეიხოსრო ძე ქეიკუბადისა“

ირგვლივ: ضرب هذه سنه تسع بقونيه იჭედა კონიას წელსა ... ცხრას ([63]9 ჰიჯრით = 1241/1242 წ.)
გარშემო ხაზოვანი რკალი.

Rv. მარჯვნივ მიმავალი ლომი. ლომის ზურგს ზევით მზე ადამიანის სახის მსგავსად და ერთი ვარსკვლავი. ლომის ქვეშ ორი ვარსკვლავი. ყველა ამის ზევით მშვილდისებურად: ناصر بالله امير المومنين المستعصم الا مام „იმამი მუსთანსირ ბილლაჰი მბრძანებელი მორწმუნეთა“. გარშემო ხაზოვანი რკალი.

№ 9 ამავე პირისა D. 23; P. 2,87

Av. კუთხოვანი დამწერლობით:

السطان	სულტანი
اعظم	უმაღლესი
كيخسرو	ქეიხოსრო
بن كيقباد	ძე ქეიკუბადისა

ირგვლივ: هذه سنه ضرب في . . . იჭედა წელსა. . .
გარშემო წერტილოვანი რკალი.

Rv. იგივე, რაც № 8, მხოლოდ ვარსკვლავების ნაცვლად წერტილები. გარშემო წერტილოვანი რკალი.

№ 10 ამავე პირისა D. 23; P. 2,54

Av. კვადრატულ წერტილოვან ჩარჩოში:

السلطان الا عظم	„სულტანი უმაღლესი
ظل الله في العالم	ჩრდილი ალლაჰისა ქვეყნად
غياث الدنيا و الدين	ღიას ედ-დუნია ვე ედ-დინ
كيخسر بن كيقباد	ქეიხოსრო ძე ქეიკუბადისა
قسم امير المومنين	მორწმუნეთა მბრძანებლის მოდგმისა“

ჩარჩოს გარეთ სეგმენტებში: ضرب هذا الدرهم بقونيه „იჭედა ესე დირჰემი კონიას“.
გარშემო წერტილოვანი რკალი.

Rv. კვადრატულ წერტილოვან ჩარჩოში:

بسم الله الرحمن الرحيم	„სახელითა ღვთისათა მოწყალისა სათნოსი
لا اله الا الله	არა არს ღმერთი გარდა ალლაჰისა
محمد رسول الله	მუჰამედი წინასწარმეტყველი ალლაჰისა
الا مام المستعصر	იმამი მუსთასიმ
بالله امير المومنين	ბილლაჰი მბრძანებელი მორწმუნეთა“

ჩარჩოს გარეთ სეგმენტებში: سنه اثنين وابعين وستمايه في წელსა ექვსას ორმოცდა ორსა (= 1244/1245 წ.)

№ 11 ქეიქავუს II D. 23; P. 2,95

Av. კვადრატულ წერტილოვან ჩარჩოში:

السلطان الا عظم	„სულტანი უმაღლესი
ظل الله في العالم	ჩრდილი ალლაჰისა ქვეყნად
غزالدنيا و الدين	ღაზ ედ-დუნია ვე ედ-დინ
كيكاوس بن كيخسرو	ქეიქავუს ძე ქაიხოსროსი“

ჩარჩოს გარეთ სეგმენტებში: ضرب هذا الدرهم بقونية იჭედა ესე დირჰემი კონიას. გარშემო წერტილოვანი რკალი.

Rv. კვადრატულ წერტილოვან ჩარჩოში:

لا اله الا الله	„არა არს ღმერთი გარდა ალლაჰისა
محمد رسول الله	მუჰამადი მისი წინასწარმეტყველი
المستعصم امام الا	იმამი მუსთასიმ
بالله امير المومنين	ბილლაჰი მბრძანებელი მორწმუნეთა“

ჩარჩოს გარეთ სეგმენტებში: اربعين و ستمايه اربع سنه წელსა ექვსას ორმოცდა [ოთხსა?] (=1246/1247 წ.)

გარშემო წერტილოვანი რკალი.

№ 12 ამავე პირისა D. 22; P. 2,11

Av. იგივე, რაც № 11

Rv. იგივე, რაც № 11, მხოლოდ თარიღის ერთეული სრულიად გაურკვეველია.

№ 13 ამავე პირისა. D. 23; P. 2,51

Av. იგივე, რაც № 11

Rv. იგივე, რაც № 11, მხოლოდ თარიღის ერთეულის დამწერლობა: ا

№ 14 ამავე პირისა D. 23; P. 2,93

Av. იგივე, რაც № 11

Rv. იგივე, რაც № 11. თარიღი გამოხატულია ასე: سوا

№ 15 ამავე პირისა D. 23; P. 2,87

Av. ცენტრში წარწერა, რაც № 11. არეზე ორი ვარსკვლავი. ჩარჩოს გარეთ სეგმენტებში: بسيواس ضرب هذاالدرهم „იჭედა ესე დირჰემი სივასს“

Rv. ცენტრალური წარწერა იგივე, რაც № 11. ჩარჩოს გარეთ ზევითა სეგმენტში სამი ვარსკვლავი – შუალა მოზრდილი, აქეთ-იქით მომცრო. დანარჩენი სეგმენტებში: سوا سرا سنه თარიღი თითქოს 646 წლად (=1248/1249 წ.)

უნდა მივიჩნიოთ.

№ 16 ქეიქავუს II, ყილიჯ-არსლან IV და ქეიკუბად II

D 21; P 2,97

Av.	السلطين الاعظم	„სულტნები უმაღლესნი
	عزالدنيا و الدين كيكاوس	ღაზ ედ-დუნია ვე ედ-დინ ქეიქავუს
	وركن الدنيا و الدين قلج ارسلان	და რუქნ ედ-დუნია ვე-ედ-დინ ყილიჯ-არსლან
	و علا الدنيا و الدين كيقباد	და ალა ედ-დუნია ვე ედ-დინ ქეიკუბად
	بنو كيخسرو براهين امير المومنين	ძენი ქეიხოსროსი მოადგილენი მორწმუნეთა მბრძანებლისა“

ზევით ჩანს ორნამენტის ნაწილი.

Rv.	لا اله الا الله	„არა არს ღმერთი გარდა ალლაჰისა
	محمد رسول الله الا مام	მუჰამედი წინასწარმეტყველი ალლაჰისა იმამ
	المستعصم بالله امير المو	მუსთასიმ ბილლაჰი მბრძანებელი
	منين	მორწმუნეთა“
	ضرب بقونيه سنه .... ستمايه	იჭედა კონიას წელსა ექვსას...

ზევით ხაზი და ვარსკვლავი ორ წერტილს შუა.

№ 17 ამავე პირებისა. D. 21; P. 2,62

Av. იგივე, რაც № 16

Rv. იგივე, რაც № 16, მხოლოდ ბოლოში:

ضرب بقونیه سنه ... اربعین و ستمایه იჭედა კონიას წელსა ექვსას ორმოცდა. . .

№ 18 ამავე პირებისა. D. 22; P. 2,65

Av. იგივე, რაც № 16

Rv. იგივე, რაც № 16, მხოლოდ ბოლოში:

ضرب بسیواس سبع و اربعین و ستمایه იჭედა სივასს წელსა ექვსას ორმოცდა შვიდს (ან ცხრას). წარწერის ზევით ორნამენტი.

№ 19 ამავე პირებისა. D. 23; P. 2,70

Av. იგივე, რაც № 16

Rv. იგივე, რაც № 16

№ 20 ამავე პირებისა. D. 20; P. 2,45

Av. იგივე, რაც № 16

Rv. იგივე, რაც № 16, მხოლოდ ბოლოში ზარაფხანის ადგილი ვერ ირკვევა. თარიღიდან გარკვევით ჩანს ასეულები ستمایه ექვსასი, ათეულები არ ჩანს, ხოლო ერთეული გამოსახულია არა სიტყვით, არამედ ციფრით V ე. ი. 7. ამის მიხედვით თარიღი 647 წ. (=1249/1250 წ.) უნდა იყოს.

№ 21 ყილიჯ-არსლან IV. D. 23; P. 2,79

Av. ფიგუროვან ჩარჩოში: მარჯვნივ მიმავალი მხედარი, რომელიც ორივე ხელით იზიდავს მშვილდს. მარცხნივ მცირე ნახევარწრე. ცხენის ფეხებს შუა ექვსქიმიანი როზეტი, ხოლო წინ წერტილი. ჩარჩოს გარეთ ირგვლივ:

السلطان الاعظم رکن الدنیا و الدین قلج ارسلان بن کیخسرو قسیم امیر المومنین

სულტანი უმაღლესი რუქნ ედ-დუნია ვე-ედ-დინ, ყილიჯ-არსლან ძე ქეიხოსროსი მორწმუნეთა მბრძანებლის მოდგმისა“.

გარშემო წერტილოვანი რკალი.

Rv. ორმაგ წერტილოვან ჩარჩოში, რომელთაგან გარეთა ხაზოვანია, ხოლო შიგნითა წერტილოვანი:

الامام	„იმამი
المستعصم بالله	მუსთასიმ ბილლაჰი
امیر المومنین	მბრძანებელი მორწმუნეთა“

ჩარჩოს გარეთ ირგვლივ: ضرب هذاالدرهم بسیواس فی سنه ست و اربعین و ستمایه

იჭედა ესე დირჰემი სივასს წელსა ექვსას ორმოცდაექვსსა. (=1248/1249 წ.)[7] არეზე გაბნეულია რამდენიმე წერტილი და ნიშნები:

[7] მარსდენი (op. cit. გვ. 105) ამგვარ მონეტას 656 წლით ათარიღებს, მაგრამ ჩვენს ცალზე გარკვეულად ჩანს 646 წელი. მარკოვის კატალოგითაც ამ ტიპის მონეტები ყილიჯ-არსლან IV-ეს თავის პირველ მეფობაში, სახელდობრ 646 წ. უჭრია. იხ. Инвентарный каталог мусульманск. монет Эрмитажа. გვ. 385.

II მონღოლთა ბატონობის დროინდელი ფულები.

ა). ჩინგიზიდი მანგუ ყაანი ჰ. 649-658 = 1251-1260

ხეობის განძში მანგუს სახელით მოჭრილი ფული, როგორც აღნიშნული იყო, 94 ცალია, ყველა ერთიდაიმავე ტიპისა, სახელდობრ იმ ტიპისა, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში იჭრებოდა თბილისის ზარაფხანაში. თბილისის სახელის ამოკითხვა მოხერხდა მხოლოდ 48 ცალზე. დანარჩენებზე, მათი გაცვეთის ან სხვა მიზეზის გამო ზარაფხანის ადგილი ვერ ირკვევა. მთლიანი თარიღი შერჩენილია მხოლოდ 21 ცალზე. ამათ შორის უადრესი დათარიღებულია 650 წლით, უგვიანესი 659 წლით. საკმაოდ დიდ რაოდენობაზედ, სახელდობრ 31 ცალზე თარიღი სულ არა ჩანს, 11 ცალზე იგი ნაწილობრივ ჩანს. 30 ცალზე მოხერხდა მხოლოდ თვის გამორკვევა. 1 ცალი გაუწმენდავადაა დატოვებული, ამიტომ მის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება. ქვემოდ მოყვანილ აღწერილობაში მონეტები განლაგებულია თარიღის მიხედვით, ხოლო თუ თარიღს თვეც ახლავს, დაცული იქნება თვეების თანმიმდევრობაც.[8]

№ 22 D. 24; P. 2,61

Av. კვადრატულ წერტილოვან ჩარჩოში:

قا اكككا مونكا „მანგუ ყა

ان الا عظم ანი უმაღლესი

العادل სამართლიანი“

ცენტრში თამღა[9]. ჩარჩოს გარეთ სეგმენტებში: هذا الدرهم „...ესე დირჰემი...“

გარშემო წერტილოვანი რკალი.

Rv. კვადრატულ წერტილოვან ჩარჩოში:

١ لا اله الا „არა არს ღმერთი გარდა

الله و حده ალლაჰისა მხოლოისა

له شريك لا არ ჰყავს მას თანაგამზრახი“

ცენტრში იგივე თამღა. ჩარჩოს გარეთ სეგმენტებში:

ستة و خمسين سنه წელსა ექვსას ორმოცდა ათსა...

№ 23 D. 23; P. 2,80

Av. იგივე, რაც № 22. ცენტრში თამღის ნაცვლად თხზული ორნამენტი, ასეთივე მარცხენა ქვედა კუთხეში ჩარჩოს გარეთ სეგმენტებში:

ضرب ... هم بتفليس იჭედა. . . . . [დირ] ჰემი თბილისს.

Rv. იგივე. რაც № 22. ცენტრში თამღის ნაცვლად ორნამენტი.

№ 24 D. 24; P. 2,82

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი. ჩარჩოს გარეთ:

ضرب تفليس هذاالدرهم იჭედა თბილისს ესე დირჰემი.

Rv. იგივე. არეზე ვარსკვლავი. ჩარჩოს გარეთ:

في رجب سنه ثلث خمسين وستمايه რეჯებს (მეშვიდე თვეა) წელსა ექვსას ორმოცდაცამეტს (=1255/1256 წ.).

---

[8] ეს ფულები გორის მუზეუმის კატალოგში აღრიცხულია № $\frac{6-40}{1-103}$.

[9] მანგუ ყაანის ამ მონეტებზე აღნიშნული თამღა იმთავიდანვე სიქაზეა ამოჭრილი.

№ 25 D. 23; P. 2,38

Av. იგივე. ცენტრში თამღა

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. ჩარჩოს გარეთ:

شوال سنه ثلاث خمسين و ستمايه — შეววალს (მეათე თვეა) წელსა ექვსას ორმოცდაცამეტს.

№ 26 D. 22; P. 2,06

Av. იგივე. ცენტრში თამღა.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. ჩარჩოს გარეთ:

صفر سنه ست خمسين — სეფერს (მეორე თვეა) [ექვსას] ორმოცდათექვსმეტს (=1258 წ.)

№ 27 D. 23; P. 2,64

Av. იგივე: ცენტრში თამღა. ჩარჩოს გარეთ სეგმენტებში:

بتفليس ... هذا الدرهم — თბილისს ესე დირჰემი.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. ჩარჩოს გარეთ:

ربيع الا خر سنه ست خمسين ستمايه — რები ულ-ახირს (მეოთხე თვეა) წელსა ექვსას ორმოცდათექვსმეტს.

№ 28 D. 23; P. 2,50

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში:

الدرهم تفليس — ...დირჰემი თბილისს.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

شعبان سنه ست خمسـ مايه — შააბანს (მერვე თვეა) წელსა ექვსას ორმოცდათექვსმეტს.

№ 29 D. 23; P. 2,74

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში:

ضرب ... الدرهم بتفليس — იჭედა...დირჰემი თბილისს.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

رمضان سنهست خمسين و ستمايه — რამაზანს (მეცხრე თვეა) წელსა ექვსას ორმოცდათექვსმეტს.

№ 30 D. 24; P. 2,73

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში:

ضرب هذاالدرهم بتفليس — იჭედა ესე დირჰემი თბილისს.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა, გაცვეთილი. სეგმენტებში:

سنه ست خمسين وستمايه — წელსა ექვსას ორმოცდათექვსმეტს.

№ 31 D. 23; P. 2,65

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში:

ضرب هذا الدرهم بتفليس — „იჭედა ესე დირჰემი თბილისს“

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

سنه ست خمسين و ستمايه — იჭედა წელსა ექვსას ორმოცდათექვსმეტს.

№ 32 D. 22; P. 2,77

Av. იგივე. ცენტრში ყვავილოვანი ორნამენტი. ჩარჩოს გარეთ ერთ-ერთ სეგმენტში იკითხება:

ربيع الا ول „რები ულ-ეველ“ (მესამე თვეა).

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. ჩარჩოს გარეთ:

ربيع الا ول سنه سبع خمسين რები ულ-ეველს წელსა [ექვსას] ორმოცდაჩვიდმეტს (=1258/1259 წ.)

№ 33 D. 23; P. 2,74

Av. იგივე. ცენტრში და მარჯვენა ზედა კუთხეში თხზული ორნამენტები. სეგმენტებში:

هذا الدرهم بمدينه تفليس „...ესე დირჰემი ქალაქსა თბილისს“

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

جمدى الا خرسنه تسع خمسين ستمايه ჯუმადი ულ-ახირს (მეექვსე თვეა) წელსა ექვსას ორმოცდაცხრამეტსა (= 1260/1261)[10].

№ 34 D. 24; P. 2,77

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში:

ضرب هذا الدرهم بتفليس იჭედა ესე დირჰემი თბილისს

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

رمضان سنه سبع ... ستمايه რამაზანს (მეცხრე თვეა) წელსა ექვსას [ორმოცდა] ჩვიდმეტს

№ 35 D. 23; P. 2,81

Av. იგივე, რაც № 34

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

ذى القعده سنه سبع خمسين وستمايه ძულ-კაადეს (მეთერთმეტე თვეა) წელსა ექვსას ორმოცდაჩვიდმეტს.

№ 36 D. 23; P. 2,74

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში:

ضرب ... الدرهم بتفليس იჭედა...დირჰემი თბილისს

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

سنه سبع خمسـ و ... مـ ... ...წელსა [ექვსას ორმოცდა] ჩვიდმეტს.

№ 37 D. 24; P. 2,52

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში:

...الدرهم بتفليس ...დირჰემი თბილისს.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

... سنه سبع خمسين ستمايه ...წელსა ექვსას ორმოცდაჩვიდმეტს.

№ 38 D. 23; P. 2,76

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი. მარჯვენა ზედა კუთხეში ექვსქიმიანი როზეტი. სეგმენტებში:

ضرب هلا الدرهم ... تفليس იჭედა ესე დირჰემი...თბილისს.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

...سنه سبع خمسين و ستمايه ...წელსა ექვსას ორმოცდაჩვიდმეტს.

---

[10] ხელნაწერში აღნიშნულია 657 წელი, რაც მექანიკური შეცდომაა (რედ.).

№ 39 D. 22; P. 2,71

Av. იგივე. ცენტრში სოლ ომონის ბეჭედი. სეგმენტებში:

ضرب ... هم تفليس იჭედა... [დირ] ჰემი თბილისს.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

سنه سبع خمسين و ستماية ...წელსა ექვსას ორმოცდაჩვიდმეტს.

№ 40 D. 22; P. 2,80

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში:

هذا الدرهم تفليس ...ესე დირჰემი თბილისს

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

سنه سبع خمسين و ستماية... ...წელსა ექვსას ორმოცდაჩვიდმეტს.

№ 41 D. 23; P. 2,82

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში:

ضرب هذا... ...იჭედა ესე...

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

سبع خمسين و ست.... ...ექვსას ორმოცდაჩვიდმეტს.

№ 42 D. 32; P. 2,69

Av. იგივე. ცენტრში და მარჯვენა ზედა კუთხეში თხზული ორნამენტი. სეგმენტებში:

ضرب هذا ... تفليس იჭედა ესე ... თბილისს.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

سنه تسع خمسين... წელსა [ექვსას] ორმოცდაცხრამეტს (=1260/1261 წ.).

№ 43 D. 23; P. 2,81

Av. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში:

ضرب هذاالدرهم بتفليس იჭედა ესე დირჰემი თბილისს.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

شعبان .... خمسين و ستماية შააბანს (მერვე თვეა) [წელსა] ექვსას ორმოცდაათ.

№ 44 D. 22; P. 2,45

Av. იგივე. ცენტრში და მარჯვენა ზედა კუთხეში თხზული ორნამენტები. ერთ სეგმენტში ირკვევა:

لدرهم დირჰემი.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

شعبان ... خمسين و ستماية შააბანს ... ექვსას ორმოცდაათ.

№ 45 D. 23; P. 2,69

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი. მარჯვენა ზედა კუთხეში ექვსქიმიანი როზეტი. სეგმენტებში:

ضرب هذا الدرهم ... იჭედა ესე დირჰემი...

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

ذى القعده ... خمسين و ستماية ძ-ულ-კაადე ექვსას ორმოცდაათ.

№ 46 D. 22; P. 2,75 გაცვეთილია

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი. მარჯვენა ზედა კუთხეში ვარსკვლავი. სეგმენტებში:

ضرب هذا ... تفليس იჭედა ესე . . . . თბილისს.

Rv. იგივე. ცენტრში ოდნავ ჩანს თამღა. სეგმენტებში:

وخمسين و ستماية... ...ექვსას ორმოცდაათ...

№ 47 D. 23; P. 2,75

Av. იგივე. ცენტრში და მარჯვენა ზედა კუთხეში თხზული ორნამენტები. ერთ სეგმენტში ირკვევა:

الدرهم დირჰემი.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

... خمسين و مايتا ექვსას ორმოცდაათ...

№ 48 D. 23; P. 2,71

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში:

... ضرب هذا იჭედა ესე...

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

ضرب ... خمسين و مايتا იჭედა ექვსას ორმოცდაათ...

№ 49 D. 23; P. 2,90

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. კიდეები გაცვეთილი

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. კიდეები გაცვეთილი. ირკვევა ერთ სეგმენტში:

خمسين ორმოცდაათი.

№ 50 D. 22; P. 2,87

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში:

ضرب ... درهم ... „იჭედა... დირჰემი...“

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

جمدى الاول سنه سبع... ჯუმადი-ულ-ევველს (მეხუთე თვეა) წელსა... შვიდსა.

№ 51 D. 23; P. 2,77

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში:

درهم بتفليس ...დირჰემი თბილისს.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

رمضان سنه سبع რამაზანს წელსა ...შვიდსა.

№ 52 D. 22; P. 2,81

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი. მარჯვენა ზედა კუთხეში ექვსქიმიანი როზეტი. სეგმენტებში: გაურკვეველი სიტყვები.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

ربيع الاول سنه تسع ... مايتا რები-ულ-ევველს (მესამე თვეა) წელსა ექვსას...ცხრას.

№ 53 D. 22; P. 2,78

Av. იგივე. ცენტრში და მარცხენა ქვედა კუთხეში ორნამენტები. მარჯვენა ზედა კუთხეში ვარსკვლავი. სეგმენტებში:

ضرب هذا .... تفليس იჭედა ესე თბილისს.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

... ستين و مايتا ექვსას სამოც..“[11]

---

[11] თარიღის ასეთი წაკითხვა საეჭვოა. შეად. გვ. 17, სადაც წერია, რომ მანგუ ყაანის სახელით მოჭრილი უგვიანესი მონეტა განძში თარიღდება 659 წლით, თუმცა გამორიცხული არც ეს თარიღია: მანგუ ყანი გარდაიცვალა ჰიჯრის 658 წელს, მაგრამ თბილისში მისი სახელით მონეტები იჭრებოდა 658 წელსაც და სრულიად შესაძლებელია 660-შიც მოეჭრათ. (რედ.).

№ 54 D. 24; P. 2,78

Av. იგივე. ცენტრში მცირე ორნამენტი. სეგმენტებში:

ضرب ... تفليس იჭედა ... თბილისს.

Rv. იგივე. სეგმენტებში:

في صفر ... و ستماية სეფერს... ექვსას...

№ 55 D. 22; P. 2,79

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში:

ضرب هذا ... იჭედა ესე...

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

صفر ... ستماية სეფერს... ...ექვსას...

№ 56 D. 22; P. 2,70

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში:

ضرب ... الدرهم تفليس იჭედა... დირჰემი თბილისს.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

ربيع الاول რები-ულ-ეველს... დანარჩენი გაურკვეველი.

№ 57 D. 24; P. 2,72

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში:

ضرب ... الدرهم تفليس იჭედა... დირჰემი თბილისს.

Rv. იგივე. ცენტრში თამღ ა. სეგმენტებში:

ربيع الاول „რები-ულ-ეველ... დანარჩენი გაურკვეველი

№ 58 D. 23; P. 2,77

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში გადასული წარწერები, მხოლოდ ერთში ირკვევა الدرهم დირჰემი.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. ერთ სეგმენტში:

ربيع الاول რები-ულ-ეველ

მეორეში: ستماية ექვსას.

დანარჩენები წარხოცილი.

№ 59 D. 23; P. 2,79

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი. მარჯვენა ზედა კუთხეში ექვსქიმიანი როზეტი. სეგმენტებში:

ضرب هذا ... تفليس იჭედა ესე...თბილისს.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

ربيع الاول خرسنه ...ستماية რები-ულ-ახირს (მეოთხე თვეა) წელსა . . . . ექვსას. . . .

№ 60 D. 23; P. 2,75

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში:

تفليس... الدرهم თბილისს დირჰემი.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

ربيع الاخر ...ماي რები-ულ-ახირს... [ექვს]ს....

№ 61 D. 23; P. 2,80

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში:

تفليس الدرهم ... დირჰემი თბილისს.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

ربيع الاخرسنه რები-ულ-ახირს წელსა ...

№ 62 D. 22; P. 2,79

Av. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში გაურკვეველი წარწერები.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

ربيع الاخرسنه რები-ულ-ახირს წელსა...

№ 63 D. 23; P. 2,75

Av. იგივე. ცენტრში როზეტი და ყვავილი. სეგმენტში:

ربيع الا ... რები-ულ-ალა... დანარჩენები გაცვეთილი.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. ერთ სეგმენტში:

ربيع الا რები-ულ-ალა... დანარჩენები გაურკვეველი

№ 64 D. 24; P. 2,71

Av. იგივე. ცენრტში როზეტი და ყვავილი. სეგმენტებში გაურკვეველი წარწერები.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. ერთ სეგმენტში:

ربيع الا ... რები-ულ-ალა... დანარჩენები გაურკვეველი

№ 65 D. 22; P. 2,86

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში:

تفليس هذاالدرهم ...ესე დირჰემი თბილისს.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

ستماية ... الا جمادى ჯუმადი-ულ-ალა ... და ექვსას...

№ 66 D. 24; P. 2,74

Av. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

تفليس سيلفة თბილისი (წალმა დაუკულმა), დანარჩენი გაურკვეველი

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

رجب سنه რეჯებს წელსა..., დანარჩენი გაურკვეველი.

№ 67 D. 25/23; P. 2,67

Av. იგივე. გაცვეთილი. ერთ სეგმენტში ირკვევა:

تفليس თბილისი

Rv. იგივე. გაცვეთილი. ერთ სეგმენტში ჩანს

رجب რეჯებს

№ 68 D. 22; P. 2,73

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი, მარჯვენა ზედა კუთხეში როზეტი. ერთ ორნამენტში ირკვევა:

ضرب هذا .... იჭედა ესე... დანარჩენები გაურკვეველი.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. ერთ სეგმენტში ჩანს:

رجب რეჯებს. დანარჩენი გაურკვეველი.

№ 69 D. 22; P. 2,84

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში ჩანს:

ضرب هذا ... تفليس იჭედა ესე ... თბილისს.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში ირკვევა:

شعبان ... خمسين შააბანს ... ორმოცდაათ...

№ 70 D. 24; P. 2,81

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში:

هذا.... تفليس ...ესე ... თბილისს

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

شعبان سنه შააბანს წელსა...

№ 71 D. 23; P. 2,70

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი. სეგმენტებში:

ضرب تفليس هذا იჭედა თბილისს ესე...

Rv. იგივე. სეგმენტებში ირკვევა:

شوال سنه შევალს წელსა...

№ 72 D. 23; P. 2,70

Av. გამრუდებული სიქა. ცენტრი გაცვეთილი. სეგმენტებში გაურკვეველი წარწერები.

Rv. გამრუდებული სიქა. ცენტრში ჩანს თამღის ბოლო. სეგმენტებში გაურკვეველი წარწერები.

№ 73 D. 23; P. 2,70

Av. იგივე, რაც № 22. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში:

ضرب...تفليس იჭედა ... თბილისს.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

شعبان سنه შააბანი წელსა...

№ 74 D. 22; P. 2,71

Av. იგივე. ცენტრში როზეტი და ყვავილი. სეგმენტებში გაურკვეველი წარწერები.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. ერთ სეგმენტში:

شعبان შააბანი. დანარჩენები გაურკვეველი.

№ 75 D. 22; P. 2,76

Av. იგივე. ცენტრში და მარჯვენა ზედა კუთხეში თხზული ორნამენტები. ერთ-ერთ სეგმენტში ირკვევა: ... ضرب هذا იჭედა ესე...

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში ირკვევა:

شعبان خمسين ستمايه შააბანს ... ექვსასორმოცდაათ...

№ 76 D. 22; P. 2,72

Av. იგივე.ცენტრში და მარჯვენა ზედა კუთხეში თხზული ორნამენტები. სეგმენტებში:

بمدينه الدرهم ...დირჰემი ქალაქსა...

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში:

دهر (!) رمضان وستمايه ... რამაზანს ... ექვსას ...

№ 77 D. 23; P. 2,48

Av. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებშ ი გაურკვეველი წარწერები.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტების წარწერებიდან ასე თუ ისე ირკვევა მხოლოდ
رمضان რამაზან

№ 78 D. 24; P. 2,75

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი. ერთ-ერთ სეგმენტში ირკვევა: ضرب იჭედა

Rv. იგივე. უთამღო. ერთ-ერთ სეგმენტში: شوال შევალი

№ 79 D. 22; P. 2,71

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. ერთ-ერთ სეგმენტში: الدرهم დირჰემი.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. ერთ-ერთ სეგმენტში: شوال შევალი

№ 80 D. 23; P. 2,65

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი. მარჯვენა ზედა კუთხეში ექვსქიმიანი როზეტი. სეგმენტებში:
هذاالدرهم ... ესე დირჰემი...

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. ერთ-ერთ სეგმენტში: هدعالقى ძულ-კაადე.

№ 81 D. 23; P. 2,73

Av. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში გაურკვეველი წარწერები.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. ერთ-ერთ სეგმენტში: هدعالقى ძულ-კაადე.

№ 82 D. 23; P. 2,78

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი. მარჯვენა ზედა კუთხეში ექვსქიმიანი როზეტი. სეგმენტები გაცვეთილი.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. ერთ-ერთ სეგმენტში: هدعالقى ძულ-კაადე.

№ 83 D. 23; P. 2,71

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. ერთ-ერთ სეგმენტში: ضرب იჭედა.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. ერთ-ერთ სეგმენტში: هجالحى ძულ-ჰიჯე.

№ 84 D. 23; P. 2,670

Av. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში: ضرب ... بتفليس იჭედა ... თბილისს.

Rv. იგივე ცენტრში თამღა. სეგმენტებში: خمسين و ستمايه ... ექვსასორმოცდაათ ...

№ 85 D. 24; P. 2,78

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში: ضرب ... تفليس იჭედა ... თბილისს.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში: ستمايه سين(خ)... ...ექვსასორმოცდაათ...

№ 86 D. 23; P. 2,78

Av. იგივე ცენტრში ორნამენტი. მარჯვენა ზედა კუთხეში ექვსქიმიანი როზეტი. ერთ-ერთ სეგმენტ-
ში: بمدينه ქალაქსა.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში: خمسين و ستمايه ...ექვსასორმოცდაათ...

№ 87 D. 22/21; P. 2,74

Av. იგივე. ცენტრში და მარჯვენა ზედა კუთხეში თხზული ორნამენტები. სეგმენტებში:
ضرب هذا ... تفليس იჭედა ესე. . . თბილისს

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. ერთ-ერთ სეგმენტში: ستمايه و და ექვსას.

№ 88 D. 22; P. 2,77

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი. სეგმენტებში: تفليس ... هذا ... ...ესე თბილისს
Rv. იგივე. ცენტრში თამღა. უკანასკნელი სტრიქონის ქვეშ ვარსკვლავი. ერთ-ერთ სეგმენტში:
سنه წელსა.

№ 89 D. 23/22; P. 2,77

Av. იგივე, ცენტრში და მარჯვენა ზედა კუთხეში თხზული ორნამენტები. სეგმენტებში:
تفليس بمدينه ... ქალაქსა თბილისს.
Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში: جمادى ... وستماية ჯუმადი...და ექვსას...

№ 90 D. 24; P. 2,75

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი. ერთ-ერთ სეგმენტში: تفليس თბილისს
Rv. იგივე. ცენტრში მცირე ორნამენტი. ერთ-ერთ სეგმენტში: خمسين ორმოცდაათი.

№ 91 D. 24; P. 2,81

Av. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში: تفليس ... رهم ... ضرب იჭედა ... დირჰემი ... თბილისს.
Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში: ستماية ... سنه الحجه ذى ძულ-ჰიჯჯეს წელსა ... ექვსას ...

№ 92 D. 22; P. 2,71

Av. იგივე. ცენტრში და მარჯვენა ზედა კუთხეში თხზული ორნამენტები. სეგმენტებში:
تفليس بمدينه ... هذا ... ესე ... ქალაქსა თბილისს.
Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში: ستماية ... سبع سنه წელსა ექვსას ... შვიდი

№ 93 D. 23/22; P. 2,65

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი. მარჯვენა ზედა კუთხეში ექვსქიმიანი როზეტი. სეგმენტებში:
تفليس بمدينه الدرهم ... დირჰემი ქალაქსა თბილისს.
Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში გაცვეთილი წარწერები.

№ 94 D. 24/23; P. 2,79

Av. იგივე. ცენტრში მცირე ორნამენტი. სეგმენტებში გაცვეთილი წარწერები.
Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში გაურკვეველი წარწერები.

№ 95 D. 23; P. 2,81

Av. იგივე. ცენტრში როზეტი. ერთ-ერთ სეგმენტში: تفليس თბილისს
Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტები გაცვეთილი

№ 96 D. 22; P. 2,70

Av. იგივე. ცენტრი გაცვეთილი. სეგმენტებში გაურკვეველი წარწერები.
Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში გაურკვეველი წარწერები

№ 97 D. 24; P. 2,77

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი. ერთ სეგმენტში: لا إله
მეორეში: تفليس თბილისი?
მესამეში: ضرب იჭედა.
Rv. იგივე უთამღო. ერთ-ერთ სეგმენტში დამახინჯებული სიტყვა, ალბათ, თვის სახელი, დანარჩენები გაცვეთილი.

№ 98 D. 24/23; P. 2,65

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი. სეგმენტებში გაურკვეველი წარწერები.
Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში გაურკვეველი წარწერები.

№ 99 D. 23; P. 2,71

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი. მარჯვენა ზედა კუთხეში ექვსქიმიანი როზეტი. სეგმენტებში გაურკვეველი წარწერები.
Rv. იგივე. ცენტრში თამღა. ერთ-ერთ სეგმენტში: ستمایه ექვსას. დანარჩენი გაცვეთილი.

№ 100 D. 22; P. 2,85

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი. მარჯვენა ზედა კუთხეში ვარსკვლავი. სეგმენტები გაცვეთილი.
Rv. იგივე. ცენტრში თამღა და ვარსკვლავი. ერთი ვარსკვლავიც უკანასკნელი სტრიქონის ქვეშ.
ერთ სეგმენტში: مح , მეორეში: ستمایه ექვსასი.

№ 101 D. 22/21; P. 2,71

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი. მარჯვენა ზედა კუთხეში ექვსქიმიანი როზეტი.
ერთ სეგმენტში: الدرهم დირჰემი. დანარჩენები არ ჩანს.
Rv. იგივე. ცენტრში თამღა. ერთ სეგმენტში: وستمایه და ექვსას. დანარჩენები არ ჩანს.

№ 102 D. 22; P. 1,86, უხეშად შესრულებული

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში გაურკვეველი წარწერები.
Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში გაურკვეველი წარწერები.

№ 103 D. 23; P. 2,79

Av. იგივე. ცენტრში როზეტი და ყვავილი. ერთ სეგმენტში გაურკვეველი წარწერა. დანარჩენები არ ჩანს.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში გაურკვეველი წარწერები.

№ 104 D. 24; P. 2,64

Av. იგივე. ცენტრში როზეტი და ყვავილი. სეგმენტებში გაურკვეველი წარწერები.
Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტები გაცვეთილი.

№ 105 D. 23; P. 2,76

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში: ضرب هذا იჭედა ესე...
Rv. იგივე. ცენტრში თამღა. ერთ-ერთ სეგმენტში: وستمایه და ექვსას.
დანარჩენებში არა ჩანს რა.

№ 106 D. 24; P. 2,70

Av. იგივე. ცენტრში როზეტი და ყვავილი. ერთ-ერთ სეგმენტში: سبع შვიდი. დანარჩენები გაცვეთილი.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტები გაცვეთილი.

№ 107 D. 23; P. 2,50

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი, მარჯვენა ზედა კუთხეში ექვსქიმიანი როზეტი. ერთ-ერთ სეგმენტში: الدرهم დირჰემი. დანარჩენები გაცვეთილი.
Rv. იგივე. ცენტრში თამღა. ერთ-ერთ სეგმენტში هذه القدی ძულ-კაადე. დანარჩენები გაცვეთილი.

№ 108 D. 22; P. 2,67

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. სეგმენტებში: هذاالدرهم ... ესე დირჰემი.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. ერთ სეგმენტში: ست سنه წელსა ექვსსა. დანარჩენები არ ჩანს.

№ 109 D. 24; P. 2,69

Av. იგივე. ცენტრში თამღა. ერთ-ერთ სეგმენტში უკულმა: ضرب იჭედა. დანარჩენებში გაურკვეველი წარწერები.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. ერთ სეგმენტში თითქოს: شعبا შააბანი, მეორეში: خمسين ორმოცდაათ. დანარჩენები გაცვეთილი.

№ 110 D. 23; P. 2,77

Av. იგივე. ცენტრში თამღა. მარცხენა ქვედა კუთხეში ორნამენტი. ერთ სეგმენტში: ضرب იჭედა, მეორეში: سا . დანარჩენი გაცვეთილი.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. ერთ სეგმენტში: خمسين ორმოცდაათ. დანარჩენებში არ ჩანს.

№ 111 D. 23; P. 2,79

Av. იგივე. ცენტრში და მარჯვენა ზედა კუთხეში თხზული ორნამენტი. ერთ სეგმენტში: هذا ესე. დანარჩენები არ ჩანს.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. ერთ სეგმენტში: وستماية ... და ექვსას... . დანარჩენები არ ჩანს.

№ 112 D. 24; P. 2,67

Av. იგივე. ცენტრში თამღა. მარცხენა ქვედა კუთხეში ორნამენტი. სეგმენტებში გაურკვეველი წარწერები.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტებში: ست و خمسين ... ექვსასორმოცდაათი...

№ 113 D. 24; P. 2,59

Av. იგივე. ცენტრში თამღა. მარცხენა ქვედა კუთხეში ორნამენტი. ერთ სეგმენტში: سالدر .
მეორეში უკულმა: ضرب იჭედა. დანარჩენები გაცვეთილი.

Rv. იგივე. ცენტრში თამღა. სეგმენტები გაცვეთილი.

№ 114 D. 21; P. 2,73

Av. იგივე. ცენტრში სოლომონის ბეჭედი. მარჯვენა ზედა და მარცხენა ქვედა კუთხეებში ვარსკვლავი. სეგმენტებში: ضرب الدرهم იჭედა დირჰემი.

Rv. არა აქვს – აღბეჭდილია უკულმა ავერსის სიქა.

№ 115 D. 23/21; P. 2,73

დატოვებულია განზრახ გაუწმენდავად. ტიპი იგივე. ავერსზე ირკვევა „თბილისი“.

ბ. ყაანური დირჰემები

ასეთები ხეობის განძში მრავალრიცხოვანია.[12] სულ ყაანური დირჰემები რიცხვით 147 ცალია. ესენი ორი სახისანი არიან. განირჩევა ეს ორი სახე როგორც გარეგანი ნიშნებით, ისე ქრონოლოგიურადაც. ორივე იჭრებოდა თბილისში, პირველი სახისა ჰიჯრის 660-663 წ. (= 1261-1264 წ.), მეორე სახისა 663-678 წ. (=1264-1280 წ.). ჩვენს განძში პირველი სახისაა 139 ცალი, მეორესი 8 ცალი.

პირველი სახის ყაანურები:

№ 116 D. 21; P. 2,86

Av. ერთმანეთზე დადებული, ორი მოგრძო, მომრგვალებულ კუთხეებიანი ოთკუთხედი ორმაგი, ერთმანეთში გადაწნული გვერდებით, წარმოქმნის ორ სამკუთხედს. ოთკუთხედების ორმაგ გვერდებს შუა ჩამწკრივებულია წერტილები. ცენტრში შექმნილ ექვსკუთხედ არეზე მოთავსებულია:

قاان	ყაანი
العادل	სამართლიანი

პირველსა და მეორე სტრიქონს შუა მცირე ორნამენტი – ხვეული.

Rv. ოთხუბიან ფიგუროვან ორმაგ ჩარჩოში, რომელთაგან ერთი ხაზოვანია და მეორე წერტილოვანი, მოთავსებულია სიმბოლო:

لا اله ا	არა არს ღმერთი
لا الله و خدلا	გარდა ალლაჰისა მხოლოისა
شريك له	არა ჰყავს მას თანაგამზრახი.

პირველსა და მეორე სტრიქონს შუა ორნამენტი ორ ექვსქიმიან როზეტს შორის.

ჩარჩოს გარეთ ირგვლივ: [جم] دى الا ول سنه ستين و ستمايه

ჯუმადი-ულ-ეველს წელსა ექვსას სამოცსა (= 1261/1262 წ.).

გარშემო წერტილოვანი რკალი.

№ 117 D. 21; P. 2,76

Av. იგივე. სტრიქონებს შუა თხზული ორნამენტი.

Rv. იგივე. როზეტი მხოლოდ მარჯვნივ. ჩარჩოს გარეთ:

سنه ستين وسـ... წელსა ექვსას სამოცდა ექვსსა (=1267/1268 წ.).

№ 118 D. 22/21; P. 2,86

Av. იგივე. ცენტრში თხზული ორნამენტი.

Rv. იგივე. სტრიქონებს შორის მცენარეული ორნამენტი. ჩარჩოს გარეთ ირგვლივ:

شعبان سنه حد وستين و ستمايه შააბანი(?) წელსა ექვსას სამოცდა ერთსა (=1262/1263 წ.).

№ 119 D. 21; P. 2,81

Av. იგივე. ცენტრი გაცვეთილი

Rv. იგივე. როზეტი მხოლოდ მარჯვნივ. ჩარჩოს გარეთ:

شعبان سنه حد وستين შააბანს წელსა [ექვსას]სამოცდა ერთსა.

№ 120 D. 21; P. 2,84

Av. იგივე. ცენტრი გაცვეთილი

Rv. იგივე. როზეტი მხოლოდ მარჯვნივ. ჩარჩოს გარეთ:

شعبان سنه حد و ستين შააბანს წელსა [ექვსას]სამოცდა ერთსა.

---

[12] გორის მუზეუმის ინვენტარში ეს ფულები ზოგადად აღნიშნულია №№ 104-249, ერთი ცალი ყაანური ჩათვლილი იყო სხვა კატეგორიაში. გაწმენდამ გამოამჟღავნა ამ ცალის სახე.

№ 121 D. 21; P. 2,88

Av. იგივე. ცენტრში ყვავილი.
Rv. იგივე. როზეტი მხოლოდ მარჯვნივ. ჩარჩოს გარეთ:
نتين و احد هنه رمضان რამაზანს წელსა [ექვსას]სამოცდა ერთსა.

№ 122 D. 21; P. 2,80

Av. იგივე. ცენტრში ყვავილი.
Rv. იგივე. როზეტი მხოლოდ მარჯვნივ. ჩარჩოს გარეთ:
... نتين و احد رمضان سيلف ضرب იჭედა რამაზანს წელსა [ექვსას]სამოცდა ერთსა.

№ 123 D. 22/21; P. 2,80

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი.
Rv. იგივე. სტრიქონებს შორის მხოლოდ ორნამენტი. ჩარჩოს გარეთ:
نتين وحد هنه هذه القعدة ذى ძულ-კაადეს წელსა [ექვსას]სამოცდა ერთსა.

№ 124 D. 20; P. 2,80

Av. იგივე. ცენტრში თხზული ორნამენტი.
Rv. იგივე. როზეტი მხოლოდ მარჯვნივ. ჩარჩოს გარეთ:
س و احد هنه هجة الحجة ذى هيتماوس ძულ-ჰიჯეს წელსა [ექვსასსამოცდა] ერთსა.

№ 125 D. 21; P. 2,77

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი.
Rv. იგივე. როზეტი მხოლოდ მარჯვნივ. ჩარჩოს გარეთ:
هيتماس و نتين و احد ...ضرب ... იჭედა ... ... ექვსასსამოცდა ერთსა.

№ 126 D. 20; P. 2,87

Av. იგივე. ცენტრში ყვავილი.
Rv. იგივე. სტრიქონებს შუა მხოლოდ ორნამენტი. ჩარჩოს გარეთ:
هيتماوس نتين و حد ... ... ექვსასსამოცდა ერთსა.

№ 127 D. 21; P. 2,75

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი.
Rv. იგივე. სტრიქონებს შუა მხოლოდ ორნამენტი. ჩარჩოს გარეთ:
هيتماوس نتين و حد هنه წელსა ექვსასსამოცდა ერთსა.

№ 128 D. 21; P. 2,75

Av. იგივე. ცენტრში ორნამენტი.
Rv. იგივე. სტრიქონებს შუა მხოლოდ ორნამენტი. ჩარჩოს გარეთ:
هيتماس و نتين و حد هنه ...წელსა ექვსასსამოცდა ერთსა.

№ 129 D. 21; P. 2,75

Av. იგივე. ცენტრში ყვავილი.
Rv. იგივე. როზეტი მარჯვნივ. ჩარჩოს გარეთ:
هيتماس و نتين و احد ... ... წელსა ექვსასსამოცდა ერთსა.

№ 130 D. 21/20; P. 2,81

Av. იგივე. ცენტრში მოგრძო ორნამენტი

Rv. იგივე. სტრიქონებს შუა მხოლოდ ორნამენტი. ჩარჩოს გარეთ:

سنه حد و ستين... ... წელსა [ექვსას]სამოცდა ერთსა.

№ 131 D. 22/21; P. 2,83

Av. იგივე. ცენტრში თხზული ორნამენტი.

Rv. იგივე. როზეტი მხოლოდ ორნამენტის მარჯვნივ. ჩარჩოს გარეთ:

سنه حد و ستين ... წელსა [ექვსას]სამოცდა ერთსა.

№ 132 D. 20; P. 2,84

Av. იგივე. ცენტრში ყვავილი

Rv. იგივე. როზეტი მხოლოდ ორნამენტის მარჯვნივ. ჩარჩოს გარეთ:

سنه حد و ستين ... წელსა [ექვსას]სამოცდა ერთსა.

№ 133 D. 22/21; P. 2,96

Av. იგივე. ცენტრში ყვავილი

Rv. იგივე. როზეტი მხოლოდ ორნამენტის მარჯვნივ. ჩარჩოს გარეთ:

سنه احد و ستين و مئة წელსა ექვსასსამოცდა ერთსა.

№ 134 D. 20; P. 2,78

Av. იგივე. ცენტრში მცირე ორნამენტი–ხვეული

Rv. იგივე. როზეტი მხოლოდ ორნამენტის მარჯვნივ. ჩარჩოს გარეთ:

سنه احد و ... წელსა [ექვსასსამოცდა]ერთსა.

№ 135 D. 20; P. 2,62

Av. იგივე. ცენტრში მცირე ორნამენტი–ხვეული

Rv. იგივე. როზეტი მხოლოდ ორნამენტის მარჯვნივ. ჩარჩოს გარეთ:

سنه احد و ستين و مئة წელსა ექვსასსამოცდა ერთსა.

№ 136 D. 20; P. 2,86

Av. იგივე. ცენტრში ყვავილი

Rv. იგივე. სტრიქონებს შუა ორნამენტი. ჩარჩოს გარეთ:

سنه احد و ستين წელსა [ექვსას]სამოცდა ერთსა.

№ 137 D. 20; P. 2,76

Av. იგივე. ცენტრში მცირე ორნამენტი-ხვეული

Rv. იგივე. როზეტი მხოლოდ ორნამენტის მარჯვნივ. ჩარჩოს გარეთ:

... احد و ستين و ... წელსა [ექვსას]სამოცდა ერთსა.

№ 138 D. 21/20; P. 2,82

Av. იგივე. ცენტრში ყვავილი

Rv. იგივე. როზეტი ორნამენტის მარჯვნივ. ჩარჩოს გარეთ:

تفليس رمضان سنه اثنين و ستين თბილისს რამაზანს წელსა [ექვსას]სამოცდა ორსა (=1263/1264 წ.).

№ 139 D. 20; P. 2,80

Av. იგივე. ცენტრში მცირე ორნამენტი–ხვეული

Rv. იგივე. როზეტი ორნამენტის მარჯვნივ. ჩარჩოს გარეთ:

اثنين و ستين و ستمايه ...ექვსასსამოცდა ორსა.

№ 140 D. 21/20; P. 2,76

Av. იგივე. ცენტრში ყვავილი

Rv. იგივე. როზეტი ორნამენტის მარჯვნივ. ჩარჩოს გარეთ:

سنه اثنين و ستين წელსა [ექვსას]სამოცდა ორსა.

№ 141 D. 20; P. 2,85

Av. იგივე. ცენტრში მცირე ორნამენტი–ხვეული

Rv. იგივე. როზეტი ორნამენტის მარჯვნივ. ჩარჩოს გარეთ:

ثلث و ستين و سـ ე. ი. ექვსასსამოცდასამსა ? წ.

№ 142 D. 22; P. 2,83

Av. იგივე. ცენტრში მცირე ორნამენტი–ხვეული

Rv. იგივე. ორნამენტის აქეთ-იქით როზეტი. ჩარჩოს გარეთ:

ضرب تفليس جمدى الا خر ... ستين و ستمايه

იჭედა თბილისს ჯუმადი-ულ-ახირს... წელსა ექვსასსამოც...

№ 143 D. 22/21; P. 2,75

Av. იგივე. ცენტრში თხზული ორნამენტი

Rv. იგივე. სტრიქონებს შუა ორნამენტი. ჩარჩოს გარეთ:

ضرب تفليس ذى القعده ... وستين و ستمايه

იჭედა თბილისს ძ-ულ-კაადე... ექვსასსამოც.

№ 144 D. 22; P. 2,77

Av. იგივე. ცენტრში თხზული ორნამენტი.

Rv. იგივე. მარჯვნივ თხზული ორნამენტი. ჩარჩოს გარეთ:

ضرب تفليس ... ستين و ستمايه იჭედა თბილისს... ექვსასსამოც....

№ 145 D. 23/22; P. 2,82

Av. იგივე. ცენტრში თხზული ორნამენტი. ჩანს ორჯელნაკრავი სიქის კვალი.

Rv. იგივე. ორჯელნაკრავი სიქის კვალი. გარეთ:

ضرب تفليس ... و ستمايه იჭედა თბილისს. . . .და ექვსას....

№ 146 D. 21; P. 2,81

Av. იგივე. ცენტრში მცირე ორნამენტი – ხვეული.

Rv. იგივე. სტრიქონებს შუა ორნამენტი. ჩარჩოს გარეთ:

ضرب تفليس ... ستمايه იჭედა თბილისს...ექვსას.

№ 147 D. 21; P. 2,83

Av. იგივე. ცენტრში მცირე ორნამენტი – ხვეული.

Rv. იგივე. ორნამენტის მარჯვნივ როზეტი. ჩარჩოს გარეთ:

ضـ رب تفليس .... و ستين و ستمايه იჭედა თბილისს. . . . ექვსასსამოც...

№ 148 D. 21; P. 2,93

Av. იგივე. ცენტრში მცირე ორნამენტი – ხვეული.

Rv. იგივე. ორნამენტის აქეთ და იქით როზეტები. ჩარჩოს გარეთ:

ضرب تفليس ... ستين و ستماي იჭედა თბილისს... ექვსასსამოც...

№ 149 D. 19; P. 2,41

Av. იგივე. ცენტრში მცირე ორნამენტი – ხვეული.

Rv. იგივე. სტრიქონებს შუა მხოლოდ ორნამენტი. ჩარჩოს გარეთ:

ضرب تფ...و ستماي იჭედა თბ... და ექვსას....

№ 150 D. 21; P. 2,74

Av. იგივე. ცენტრში მცირე ორნამენტი – ხვეული

Rv. იგივე. სტრიქონებს შუა მხოლოდ ორნამენტი. ჩარჩოს გარეთ:

ضرب تف.. سنه ستماي იჭედა თბ... წელსა ექვსას...

№ 151 D. 20; P. 2,70

Av. იგივე. ცენტრში ყვავილი.
ვახიშვილი ასეთ შეფასებას აძლევს ვახტანგის მიერ შემონახულ ამ ცნობას: „ამ ამონაწერითგანა ჩანს, რომ სახელოვან მეცნიერს–მეფეს ამ დარგში მცირე ცნობები ჰქონია. საფიქრებელია, რომ მთელი ზემომოყვანილი აზრი ჟურულიანთ სასისხლო სიგლის და ათაბაგ აღბუღას წიგნის ცოდნაზე უნდა იყოს დამყარებული. უცნაურია, რომ ვახტანგ მეფეს ქართული ძველი ფულების შესახებ თითქოს სხვა არაფერი სცოდნია“.[10] ჩემთვის ამჟამად საინტერესო ტერმინის შესახებ ვახტანგ VI-ეს ცნობა აღბუღას წიგნის მიხედვით უნდა მიეღო, ვინაიდან ჟურულიანთ სიგელში მხოლოდ კირმანეულებზეა ლაპარაკი. მაგრამ, როგორც აღბუღას წიგნის სათანადო ადგილიდან დავინახეთ, არც აღბუღას წიგნშია ეს ტერმინი ხმარებული. აღბუღა ამბობს: ვინაიდან ჩემს დროს ყაზანაური ფული აღარ იყო, მე „დიდისა მეფისა გიორგის ჟამისა თეთრი გავაჩინე“-ო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეფის გიორგის დრტის თეთრი შემოვიღე სისხლის საზღაურადაო. აი, ამ გიორგი მეფის დროის ფულისათვის უწოდებია ვახტანგს „გიორგაული“. ჯერჯერობით სხვაგან არსად ეს ტერმინი არ ჩანს. ახლა გადასაწყვეტია საკითხი – შესაძლებელია თუ არა „გიორგაული“ და „გიორგი მეფის ჟამის თეთრი“ გავაიგივოთ? იმ შემთხვევაში, თუ ვახტანგ VI-ეს, როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს, გარდა იმ ორი ზევით დასახელებული წყაროსი სხვა რაიმე ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობი წყარო არ გააჩნდა ძველი ქართული ფულის შესახებ, ასეთ გაიგივებას ნიადაგი არა აქვს. აღბუღა, ცხადია, კარგად იქნებოდა გარკვეული ამ საკითხში. ძნელი წარმოსადგენია, რომ მას სამართლის წიგნის ისეთ პასუხსაგებ დებულებაში, როგორიც სისხლის საზღაურის განსაზღვრა იყო, რაიმე ორაზროვანი გამოთქმა ეხმარა და ამით გაუგებრობა გამოეწვია. იმ შემთხვევაში, თუ მას გიორგი ბრწყინვალის ფულზე ექნებოდა ლაპარაკი, ის, აშკარაა, არ დაარქმევდა ამ ფულს გიორგი მეფის დროის (ჟამის) თეთრს, არამედ გარკვეულად გიორგი მეფის თეთრს უწოდებდა. როგორღა გაჩნდა ტერმინი „გიორგაული“? ამისი ახსნა არც ისე ძნელია. ვახტანგ VI-მ აღბუღას სამართალში ამოიკითხა ყაზან ყაენის ფულის სახელწოდება ყაზანაურის ფორმით. მიიღო რა გიორგი მეფის ჟამის თეთრი ამ მეფის მიერ მოჭრილ ფულად, მან სახელისაგან გიორგი აწარმოა, ყაზანაურის ანალოგიით, ტერმინი გიორგაული. ამგვარად, წყაროების განხილვამ და ურთიერთ შედარებამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ „გიორგაული“ ე. ი., გიორგი V-ის მიერ მოჭრილი ფული და ის ფული რომელიც აღბუღას სამართალშია მოხსენებული, ერთი და იგივე ფული არ უნდა იყოს.

შევეხოთ ამ საკითხს სხვა მხრითაც. როგორ ტარდებოდა ცხოვრებაში სამართლის მიერ დადგენილი ნორმები? ამ საკითხის გადასაწყვეტად ჩვენს ხელთ არის საკმაოდ მნიშვნელოვანი მასალა – თვით გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“ და აღბუღას სამართლის ჩვენამდე მოღწეული ნაწილი.

„ძეგლის დადება“, როგორც ცნობილია, შედგენილია გიორგი V-ის მიერ XIV ს-ის პირველ ნახევარში, ვარაუდით 1325-1338 წლებში. სამართლის ამ წიგნის შედგენა გამოუწვევია იმ საგანგებო მდგომარეობას, რომელიც ამ დროს დამყარებულა საქართველოს ერთს ნაწილში – მთიულეთში. წიგნის შესავალში მოთხრობილია თუ რა პირობებმა გამოიწვია ამ ძეგლის წარმოშობა და რა გარემოებაში მოხდა მასზე მუშაობა. მეფე გიორგის თვით მოუვლია მთიულეთი, შეუკრებია საჭირო ცნობები, წამოუყვანია ადგილობრივი თემების ერისთავნი, ჴევის-თავნი, ჴევის-ბერნი და ჰეროვანნი და თბილისში საგანგებო საკანონმდებლო სხდომა მოუწყვია. „დავსვით წმიდა მეუფე და ქართლისა კ˙ზი ეფთვიმი“, ამბობს კანონმდებელი, „და დავსხით ვაზირნი და ეპისკოპოსნი და მოურავნი და გავიგონეთ, რომელ დიდი უსამართლო და მძლავრებულობა ქმნილ იყო ერთმანეთსა ზედა და სისხლის მსუბუქობისათვის ადვილ ჩნდა ჩუენდა ერთმანერთის ღალატად დასხმა და დაქცევა ციხეთა, სიკუდილი, ცოლის წაგურა და უბრალოდ დაგდება მრავალფერნი ულუსობა და ყოველივე სამართალი აღარ იყო ღა ... და აწ ყუელა გავაჩინეთ, რა რიგად ვის რა ეყოს, ერთმანერთის ავი სისხლი დგეს ანუ სხუა სასაქმო რა გინდა იყოს გარდახდეს... ეს განაჩენი დავდევით“. საეკლესიო

[10] აქვე

და სასჯულო საქმეები კათალიკოზმა და ეპისკოპოსებმა მოარიგონო, „ჩუენ [კი] მსოფლიოსა ამისი სისხლი, პატივი (თუ პატიჟი? თ. ლ.) და სასაქმო გაგუიჩენია. დღეისითგან წაღმა ესრეთ იქმნას“-ო.[11] ამას მოსდევს სხვადასხვა სახის დანაშაულობათა ჩამოთვლა და ამათთვის სამართლის მიერ განსაზღვრული სისხლის ღირებულება. ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა სწორედ ეს უკანასკნელი. მოვიყვან რამდენიმე თვალსაჩინო მაგალითს. **ბ** პუნქტი. „განმგებელი თუ ქუეყანამ მოკლას, ერთმან სოფელმან, გინა ერთმან პირმან“ და სხვ., „ექუსი ათასი თეთრი დაიურვოს სისხლთა ფასით“. **ვ** პუნქტის მიხედვით ჴევის-ბერის მოკვლისათვის სხვა სასჯელის გარდა სისხლის ფასი ექვსი ათასი თეთრი დაუურვოს მკვლელმა. **ზ** პუნქტის მიხედვით ესევე ექვსი ათასი თეთრი ღირდა სისხლი ჴევის-ბერის გაუყოფელი სახლის წევრის მკვლელობისათვის. **თ** პუნქტით 3 ათას თეთრად არის შეფასებული ჴევის-ბერის განაყოფი წევრის და მისი გვარის კაცის სისხლი. **იგ** პუნქტით ციხისთავის მოკვლისათვის სამი ათას სუთასი თეთრი უნდა დაურვებოდა. **ლ** პუნქტიდან ვგებულობთ, რომ ყოფილა კატეგორია ადამიანებისა, რომლებსაც სისხლის ფასი 12 ათასი თეთრი ჰქონიათ. ამისთანა ადამიანის ერთი უარზანგობა (ე. ი. სათანადო პატივის დაუდებლობა) 3 ათას თეთრს ფასობდა და ასე შემდგომ.[12]

ამგვარად „ძეგლის დადების“ მიერ განსაზღვრული სისხლის ფასი თეთრის ამათუიმ რაოდენობით იყო გაანგარიშებული. ეს რაოდენობა ხშირად საკმაოდ დიდ თანხას წარმოადგენდა. მაგრამ სრული წარმოდგენა ამ თანხის შესახებ შესაძლებელია ვიქონიოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გვეცოდინება ფულის იმდროინდელი სისტემა და, კერძოდ, თეთრის ღირებულება. აღმოსავლეთ საქართველო ამ დროს მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიურ კავშირში იყო სპარსეთის ილხანთა სახელმწიფოსთან. ის გარემოება, რომ ამ ხანის ილხანების ფული მრავლად იპოვება განძების სახით საქართველოს მინა-წყალზე, ცხადად გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ ფულს საქართველოს ეკონომიკისათვის. ამაზედვე მიგვითითებს ილხანების მიერ საქართველოსა და ამიერკავკასიაში დაარსებული ზარაფხანები, რომლებიც, როგორც ჩანს, ინტენსიურად მუშაობდნენ და რომელთა პროდუქცია, უწინარეს ყოვლისა, აქვე ვრცელდებოდა.

ილხანთა ფულის ზევით მოყვანილი მოკლე მიმოხილვიდან გამოირკვა, რომ ორმოციოდე წლის განმავლობაში ამ სისტემამ განიცადა რამდენიმე კრიტიკული მომენტი, რომელთა შედეგად ფულის გაჯანსაღება კი არა, პირიქით, მისი თანდათანობითი დაქვეითება იყო. ილხანების ეკონომიკის სფეროში მომწყვდეული აღმოსავლეთ საქართველო ძალაუნებურად ჩათრეული უნდა ყოფილიყო ამ პროცესში, რომლის გამოვლინება მით უფრო მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, რომ დროის მოხსენებული პერიოდის განმავლობაში საკუთარი ქართული ფულის მოჭრა დიდათ შეფერხებულად და შემცირებულად ჩანს. ჯერ ისევ ყაზან ყაენის სიცოცხლეში, XIII ს-ის დამლევს აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც ჩანს, მცირე რაოდენობით, მაგრამ კარგი ღირსების და წონის ვერცხლის ფული იჭრებოდა ვახტანგ III და დავით VIII სახელით. მოხსენებული ქართველი მეფეები სპილენძის ფულსაც სჭრიდნენ. როგორც ვერცხლის, ისე სპილენძის ფულის ტექნიკა საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა.[13] მიუხედავად ამ დადებითი თვისებებისა, ქართველი მეფეების ფული ვერ დააკმაყოფილებდა თავისი შედარებითი სიმცირის გამო ქვეყნის მოთხოვნილებას. ამ ნაკლს ავსებდა ყაზანისა და ულჯაიტუს მიერ, როგორც ჩანს, დიდის რაოდენობით გამოშვებული ვერცხლის ფული. გარდა იმდროინდელი ნუმიზმატიკური განძების მონაცემებისა ამ გარემოებაზე მიგვითითებს ბექას სამართლის ცნობაც ყაზანაური თეთრის შესახებ, რომელიც აღბუღას სამართალშია დაცული. ვახტანგ III 1308 წ. და დავით VIII 1311 წ. სიკვდილის შემდეგ ქართული ფული აღარ ჩანს. 1314 წ. აღ-

[11] ს. კაკაბაძე, ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ, ტფ., 1913, გვ. 4, 5.
[12] ს. კაკაბაძე, op. cit. გვ. 7, 8, 13.
[13] თ. ლომოური, დავით VII-ის და ვახტანგ III-ის ფულები. საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XVB, 1948.

მოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე ასული გიორგი V-ის ფულის საკითხი, როგორც ნათქვამი იყო, ჯერჯერობით გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება. ეს საეჭვო მონეტებიც ამჟამად სულ 2-3 ცნობილი.[14] როგორც ჩანს, ეს ტიპი იმდენად მცირე რაოდენობით ყოფილა გამოშვებული, რომ ამავე პერიოდის ილხანების ფულის რაოდენობასთან შედარებაც კი შეუძლებელია. და აი აქ იბადება საკითხი: რა სახსრებით უნდა განხორციელებულიყო გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადებაში განსაზღვრული ნორმები? შესაძლებელი იყო გვეფიქრა, რომ ფულადი გადასახადის ნაცვლად იქნებ სხვა ექვივალენტით ხდებოდა პრაქტიკაში სისხლის დაურვება, მაგრამ უკვე ის ფაქტი, რომ საკანონმდებლო ძეგლში ფულია დასახელებული, ცხად ჰყოფს, რომ კანონმდებელი გულისხმობდა კანონის აღსრულების პირდაპირ შესაძლებლობას. ე. ი. სწორედ იმ ფულადი თანხის გადახდას, რაც სამართალში იყო აღნიშნული. ასევე დგას საკითხი აღბუღას სამართლის მიხედვითაც.

აღბუღას სამართალი XIV ს-ის მეორე ნახევარშია შედგენილი. კანონდებელს თავისი სამართლის შესავალშივე გადაუწყვეტია საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფულით უნდა გადახდილიყო სისხლის ფასი. როგორც ჩანს, ეს საკითხი მაშინაც ძირითადად მიუჩნევიათ და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მასში სრული გარკვეულობა შეუტანიათ – ვინაიდან პაპიჩემის დროს მოქმედი ყაზანაური ფული მოისპო, ჩვენ წარჩინებული მეფის გიორგის ჟამის თეთრი შემოვიღეთო. ვიმეორებ: აღბუღამ თავის ამ წინადადებაში სიტყვა „ჟამის“ იმიტომ ჩაურთო, რომ აქ გიორგი მეფის ფულს კი არ ჰგულისხმობდა, არამედ იმ ფულს, რომელიც გიორგი მეფის დროს აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედებდა. აღბუღას სამართალში სისხლის ანაზღაურების სასყიდელი ბევრად უფრო დიდი თანხებით გამოიხატება, ვიდრე ეს „ძეგლის დადებაში“ არის. ასე მაგალითად: პუნქტი 1. „... თუ შერისხდეს ღმერთი ეშმაკისა ბირებითა და მანქანებითა კაცმან კაცი მოჰკლას, დიდებულმან დიდებული... და სისხლი 40000 თეთრი იყოს და თუ ვერ ამოვიდოდეს, გარდაეხვეწოს და მისი მამულის გამოსავლის ნახევარი მესისხლეს აჭამონ“. პ. 2. „და თუ დიდებულმან აზნაური მოჰკლას, ასეთი რომე საპატიოთ პატრონს კარგად ჰყვეს და კარგი იყოს და ანუ ტაძრველი (ტაძრიელი? თ. ლ.) აზნაური იყოს, ციხოსანი, მონასტროსანი და მამული დიდი, მისი სისხლი ოცი ათასი თეთრი იყოს და იგი დაუურვოს“. პ. 3. „თუ მას ქვეშეთი მოკლას, ასეთი, რომე ანუ ჟამისაგან მამული დამცროობოდეს, უციხო, უმონასტრო იყოს, თორმეტი ათასი თეთრი დაუურვოს“. პ. 9. „ქოთლოსნისა და აბჟროსნისა და კარვოსნისა და პატრონთან რომ ხელი აქვნდეს ანუ ჰქონებოდეს, მისი სისხლი თორმეტი ათასი თეთრ[15] იყოს“. პ. 11. გლეხისა სისხლი „ოთხასი თეთრი იყოს, მაგრამ თუ კაცმან კაცსა ასეთი ყმა მოუკლას, რომე პატრონნი იცნობდენ სიკეთეზედა, მისიცა ათასივე თეთრი იყოს“[16] და სხვ.

აღბუღას სამართალი კრიტიკულად შესწავლილი და გამოცემული არ არის, მაგრამ იმ საკითხისათვის, რომელიც ამჟამად დგას, ტექსტის ახლანდელი მდგომარეობაც სარგებლობის შესაძლებლობას იძლევა. როგორც მოტანილი ამონაწერებიდან გამოირკვა, კანონმდებელს საკმაოდ დიდი თანხები აქვს დაწესებული საზღაურად ამათუიმ კატეგორიის დანაშაულისათვის. ეჭვს გარეშეა, დამნაშავეს სისხლი იმ ფულით უნდა დაეურვებინა, რომელიც ამ დროს მიმოქცევაში იყო. ეს ფული კი იყო იმდროინდელი ილხანების ფული, ნაწილობრივ აქვე მოჭრილი, ნაწილობრივ შემოტანილი. ასევე უნდა გადაეჭრა გიორგი ბრწყინვალეს მის წინაშე მდგარი ანალოგიური საკითხი. სხვა გამოსავალი მას არც ექნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სამართალი განუხორციელებელი დარჩებოდა. ახლა მხოლოდ იმის გამორკვევაა საჭირო, სახელდობრ, რომელი ილხანების ფული უნდა ვიგულისხმოთ გიორგის „ძეგლის დადებაში“ და აღბუღას სამართალში.

---

[14] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ. 1950, გვ. 76.

[15] ტექსტში შეცდომით „სისხლი“ სწერია.

[16] სამართალი აღბუღასი პირველი. ქართული ქრისტომატია. ნაწ. პირველი, ახლად დაბეჭდილი დავით ჩუბინოვისაგან სანკტ-პეტერბურღს 1863 წელსა. გვ. 209, 210.

გიორგი ბრწყინვალის მეფობა, როგორც ცნობილია, ილხანების მფლობელობის დასუსტება–დაკნინების პერიოდს დაემთხვა. აბუსაიდიდან მოყოლებული უკანასკნელი ილხანის ნუშირვანის გაყაენების პირველი წლებით განსაზღვრულ პერიოდში საქართველოს სათავეში გიორგი იდგა. ამავე დროს ხვდება ილხანთა 9 ყაენი, რომლებიც სხვადასხვა რაოდენობის წლებით ერთი მეორის შემდგომ ან რამდენიმე ერთდროულად ეუფლებოდა ილხანების მერყევ ტახტს. თვითეული მათგანი ილხანების ნუმიზმატიკაში თავის კვალს სტოვებდა. მათ მონეტებს ახასიათებს ერთი გარკვეული ნიშანი: წონის შედარებითი სიმცირე. გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“ შედგენილი უნდა იყოს ვარაუდით XIV ს-ის მეორე მეოთხედში. ამ დროისათვის აბუსაიდის დირჰემმა ორჯელ განიცადა ცვლილება, რამაც ამ ნომინალის წონა 0,75 გრამით შეამცირა. ეს წონა შერჩათ ილხანების დინასტიის შემდგომი წარმომადგენლების დირჰემებსაც ბოლომდე, მოკლე დროის – სულ ხუთიოდე წლის გამოკლებით, როდესაც დირჰემის წონამ ოდნავ აიწია.

თუ ზემონათქვამს გავიხსენებთ, უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ სწორედ ეს შემცირებული წონის დირჰემი უნდა ყოფილიყო გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ და აღბუღას სამართლის ის თეთრი,[17] რომელიც „საქმობდა სისხლშიაც და ისრეც“. ეს გარემოება განსაზღვრავს აღბუღას სამართლის შედგენის დროს. გიორგი მეფის ჟამის თეთრის მოქმედების პერიოდი ამ ფულის ეკონომიური თვისებების გამო არ შეიძლება ხანგრძლივი ყოფილიყო. ილხანთა დინასტიის აღსასრულის შემდეგ აღარც ამ ფულს ექნებოდა ხანგრძლივი სიცოცხლე: XIV ს-ის სამოციანი წლებიდან, როდესაც ილხანთა ზარაფხანები დაიხურებოდნენ, ფულის ახალ-ახალი მარაგის წყაროც მოისპობოდა. სახელმწიფოში დაგროვილი სახსრებიც თანდათანობით გამოვიდოდა ხმარებიდან, და ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში გიორგი მეფის ჟამის თეთრი აღმოსავლეთ საქართველოში იმდენად შემცირდებოდა, რომ აღბუღას სამართალში სისხლის დასაურვებლად დანიშნული თანხების გამონახვა არც ისე ადვილი იქნებოდა. აკად. ივ. ჯავახიშვილის სიტყვით „...აღბუღა... ამ მეფის (ე.ი. გიორგი ბრწყინვალის) ახლო მომდევნო თაობის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო“.[18] ამის მიხედვით შესაძლებელი ხდება აღბუღას სამართლის შედგენის დრო დაზუსტებულ იქნას: XIV ს-ის მეორე ნახევრის ნაცვლად ეს დრო დავიყვანოთ XIV ს-ის მესამე მეოთხედამდე.

დაგვრჩა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა. თავისი შესავლის იმ ნაწილში, რომელშიაც სისხლის დასაურვებელი ფულის რაობას ეხება, აღბუღა ამ ფულის ნიშანდობლივ თვისებებსაც აღნიშნავს: „...დიდისა მეფისა გიორგის ჟამისა თეთრი გავაჩინეთ ორიანი ხუთი დანგი წმინდა ვერცხლი“-ო[19]. აქ მოცემულია 1) წონა იმ ერთეულისა, რომელიც თეთრად იყო წოდებული და 2) მისი ლითონური შემადგენლობა. ამ უკანასკნელის შესახებ ის შეიძლება დავასკვნათ, რომ ვერცხლი კარგი ღირსებისა ყოფილა.

გაცილებით რთულია წონის საკითხი. გამოსარკვევია წონის რა ერთეულია დანგი, რომ ამის მიხედვით აქ მოხსენებული თეთრის წონაც გავიგოთ. დანგი ძირითადად წონის ერთ-ერთი უკნინესი ერთეული იყო და ამავე დროს ფულის ერთეულადაც გამოიყენებოდა. ეს ტერმინი საქართველოში უძველესი დროიდან გვხვდება – ჯერ ისევ სახარების ხანმეტ ქართულ თარგმანში. იგი ცოცხალია XVIII ს-ის დამლევამდე. დანგი, როგორც ფულის ნომინალი, ცალკე არ უნდა არსებულიყო, მაგრამ, ვითარცა წონის ერთეული, შეადგენდა ამათუიმ ნომინალის გარკვეულ ნაწილს. დანგი სპარსული دانگ - ისაგან არის წარმომდგარი. სპარსულში იგი დირჰემის ანუ დრამის ერთ მეოთხედს უდრიდა. საქართველოშიაც დანგი ასევე დრამის ან თეთრის შემადგენელი ნაწილია. ამაზე მიგვითითებს აღბუღას ზემოდმოყვანილი სიტყვები თეთრის შესახებ. მაგრამ ესევე სიტყვები ერთგვარად

---

[17] ვერცხლის ფულის აღმნიშვნელმა ამ ტერმინმა შესცვალა XIV ს-ის პირველ ნახევარში ტერმინი „დრამა“. იხ. ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილის ქართ. საფას. საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა–მეტროლოგია. ტფ. 1925, გვ. 17.

[18] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, ტფ. 1928, გვ. 108.

[19] თ. ჟორდანია, ქრონიკები, წ. II, 256.

აბრკოლებენ იმის გამორკვევას, თუ, სახელდობრ, თეთრის რა ნაწილს შეადგენდა დანგი. აღბუღას მიხედვით თეთრში ყოფილა ორიანი ხუთი დანგი ე. ი. 10 ერთიანი დანგი. სამწუხაროდ, XIV ს-ის სხვა რაიმე საბუთი არ არსებობს ამ საკითხის გამოსარკვევად. ასეთივე მდგომარეობაა ჯერჯერობით მომდევნო საუკუნეების მიმართაც. და მხოლოდ 1787 წლის ერთ ვალის წიგნს შემოუნახავს ცნობა ოთხდანგიანი აბაზის შესახებ.[20] ბექა-აღბუღას სამართლის ხელნაწერი, რომლის თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებული შესავალი აქ რამდენიმეჯერ იყო მოხსენებული, გადაწერილია XVII ს-ის მეორე ნახევარში. იმ ადგილის პირდაპირ, სადაც შესავალია მოთავსებული, აშიაზე ტექსტის, ე.ი. XVII ს-ის, ხელით აწერია: „ორიანი ხუთი დანგი ერთი აბაზია“.[21] ცნობილია, რომ სპარსეთის შაჰის აბას I-ის მიერ გატარებული საფინანსო რეფორმის შედეგად ჩამოყალიბდა ფულის ახალი სისტემა, რომლის ძირითად ნომინალად 8-9 გრამიანი ვერცხლის აბაზი იყო მიღებული. ეს აბაზი იმავე საუკუნის განმავლობაში ჩამოქვეითდა წონაში, მაგრამ შვიდ გრამზე მეტს მაინც იწონიდა. ცხადია, ამ მინაწერში მოხსენებული აბაზი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გავუთანაბროთ წონის თვალსაზრისით იმ თეთრს, რომელიც გიორგი ბრწყინვალის და აღბუღას სამართალშია მოხსენებული. დანგის წონის შესახებ მხოლოდ XVIII ს-ის წყაროებიდან შესაძლებელია მივიღოთ ცოტად თუ ბევრად გარკვეული ცნობები. ამ ცნობების მიხედვით დანგი ოდნავ აღემატება 700 მილიგრამს.[22] აქედან დრამა ან თეთრი 2,848 ან 3,550 გრამს უნდა იწონიდეს. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. მტკიცედ დადასტურებულია, რომ ვერცხლის – ამ შემთხვევაში ჩვენ ვერცხლი გვაინტერესებს – მონეტის წონა, თუნდაც ერთი და იმავე სისტემისა, რომელიმე ერთს სახელმწიფოში მუდამ არ იდგა ერთსადაიმავე დონეზე. სხვადასხვა ისტორიულ გარემოებათა გამო მონეტის წონა თანდათანობით ეცემოდა და ხშირად ძალიან საგრძნობლადაც. ქართული ფულის ისტორიიდან შესაძლებელია, მაგ., გავიხსენოთ XI-XII საუკუნეები, როდესაც ქართული დრამის წონა 3,05 გრამიდან 0,82 გრ-მდე დაეცა. ანალოგიური მდგომარეობა განიცადა, როგორც ვნახეთ, ილხანების ფულმაც XIV ს-ის პირველ ნახევარში. დირჰემის წონა სისტემატურად ეცემოდა 2,15 გრამიდან 1,40 გრამამდე და უფრო ნაკლებამდეც. ამ გარემოებას სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს აღბუღას ზემოაღნიშნული სიტყვების სწორად გაგებისათვის. თვით აღბუღაც ამასვე უნდა ჰგულისხმობდეს, როდესაც ამ წერილში არაერთხელ ციტირებული თავისი სამართლის შესავლის ბოლოში ამბობს: „...გავაჩინეთ ორიანი ხუთი დანგი წმინდა ვერცხლი, და როგორც თეთრი იყოს ანგარიშად, იმა წესითა აიღებოდეს“-ო. აღბუღას ამ სიტყვებით ის უნდა ეთქვა, რომ ვერცხლის ფულს მუდმივი გარკვეული ღირებულება არა აქვს, და სისხლის ფასი იმ კურსით უნდა აუნაზღაურდეს, როგორც მოცემულ მომენტში იქნებაო. საფიქრებელია, რომ აქედანვე უნდა გამომდინარეობდეს თეთრის წონის „ორიანი ხუთი დანგით“ განსაზღვრა.

სხვა რამის თქმა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. საქართველოს ისტორიის მრავალი გაურკვეველი საკითხის სათანადოდ გაშუქება და გადაწყვეტა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც გამოქვეყნდება ჩვენს მუზეუმებში დაგროვილი დოკუმენტალური მასალა.

XIV ს-ის ილხანების ფული, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც დავინახეთ, საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, საქართველოს მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტში მნიშვნელოვანი რაოდენობით არის წარმოდგენილი. ეს ფული მოსულია ჩვენამდე, როგორც განძების, ისე ცალკეული ნაპოვნების სახითაც. საკმარისად მოიპოვება უპასპორტო მასალაც, რომელიც, ცხადია, აქვე, საქართველოს ან მეზობლად მდებარე მხარეების ტერიტორიაზედ იქნებოდა აღმო-

---

[20] საქართველოს სიძველენი, III, ტფ., 1910, 522.

[21] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 256.

[22] ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომთა მცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ტფ., 1925, გვ. 31: 4 ცერცვის მარცვალი = 1 დანგს, გვ. 98: 1 ცერცვის მარცვალი = 1 კერატს, გვ. 98: 1 კერატი = 0,178 გრამს. აქედან 1 დანგი = 0,178 გრ. X 4 = 0,712 გრამს, რის მიხედვითაც ოთხდანგიანი თეთრი იწონის 2,848 გრამს, ხუთდანგიანი 3,560 გრამს.

ჩენილი. აღნიშნული ნუმიზმატიკური მასალიდან ჩვენი მიზნებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ის ფული, რომელიც შესაძლებელია შევუფარდოთ აღბუღას მიერ მოხსენებულს გიორგი ბრწყინვალის ჟამის თეთრს და რომელიც საქმობდა სისხლში როგორც თვით გიორგი მეფის „ძეგლის დადების“, ისე აღბუღას სამართლის მიხედვითაც. ქრონოლოგიურად ამ ფულის მოქმედების პერიოდი განისაზღვრება აბუსაიდიდან მოყოლებული ილხანთა დინასტიის უკანასკნელ წარმომადგენელ ანუშირვანამდე. კაბინეტში დაცული ამ პერიოდის ნუმიზმატიკური მასალა კუთვნილების მხრით თანაბრად არ არის წარმოდგენილი. სამი ყაინის – აბუსაიდის, სულეიმანის და ანუშირვანის – ფული საგრძნობლად სჭარბობს რაოდენობის თვალსაზრისით დანარჩენი ილხანების ფულს. უკანასკნელი ილხანების ფულის რაოდენობა კაბინეტში აბუსაიდიდან მოყოლებული ანუშირვანამდე თვალსაჩინოდ ასე წარმოგვიდგება:

1. აბუსაიდი 1316-1336 წწ. 39 დირჰემი, 71 ორიანი დირჰემი. სულ 181 დირჰემი.[23]
2. არფა ხანი 1335-1336 წწ., – დირჰემი, 1 ორიანი დირჰემი. სულ 2 დირჰემი.
3. მუსა 1336-1337 წწ., – დირჰემი, – ორიანი დირჰემი. სულ – დირჰემი.
4. მუჰამედი 1336-1338 წწ., 5 დირჰემი, – ორიანი დირჰემი. სულ 5 დირჰემი.
5. თულა-თემური 1337-1340 წწ., 5 დირჰემი, – ორიანი დირჰემი.სულ 5 დირჰემი.
6. ჯეჰან-თემური 1339-1340 წწ., – დირჰემი, – ორიანი დირჰემი.სულ – დირჰემი.
7. სათი ბეგი 1339-1340 წწ., 6 დირჰემი, 4 ორიანი დირჰემი.სულ 14 დირჰემი.
8. სულეიმანი 1339-1346 წწ., 118 დირჰემი, – ორიანი დირჰემი.სულ 118 დირჰემი.
9. ანუშირვანი 1344-1353 წწ., 1104 დირჰემი, – ორიანი დირჰემი.სულ 1104 დირჰემი.

სულ 1277 დირჰემი 76 ორიანი დირჰემი. სულ 1429 დირჰემი.

თავისთავად ცხადია, რომ ამ სიას ძალზე პირობითი ხასიათი აქვს და მისი მონაცემები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განზოგადდეს საბოლოო დასკვნების გამოსატანად. ის გვისურათებს ჩვენთვის საინტერესო პერიოდის და საკითხის თანამედროვე მდგომარეობას კაბინეტში. ერთი კი შეიძლება წინასწარ ითქვას: შეიძლება შეიცვალოს ციფრები, მაგრამ მოსალოდნელი არ არის, რომ შეფარდებამ მათ შორის საგრძნობი ცვლილება განიცადოს. საქ. მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტში თავმოყრილია მთელი საუკუნის მანძილზე მონაგროვი ნუმიზმატიკური მასალა. ეს გარემოება კი ზემოთქმულის საბუთიანობის ერთგვარ გარანტიას იძლევა. ერთი მომენტია კიდევ ხაზგასმით აღსანიშნავი: მარტო საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნუმიზმატიკური განძები, საზოგადოდ, ვერ მოგვცემენ ამათუიმ ისტორიული პერიოდისათვის საქართველოში ფულის მიმოქცევის ნამდვილ სურათს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მიწის წიაღში ხვდებოდა და განძად იქცეოდა მიმოქცევაში მყოფი ფულის სულ უმნიშვნელო ნაწილი. ძირითადი ნაწილი კი თავისუფლად გადიოდა უშუალო მეზობლების ტერიტორიაზედ, სადაც ასევე ნაწილობრივ განძად ილექებოდა. ამიტომ ცოტად თუ ბევრად უტყუარი სურათის მისაღებად. საჭიროა შესწავლილ იქნეს მოცემული პერიოდის ილხანების ფულის მარაგი არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ სომხეთის და აზერბაიჯანისაც.

რა მხრით არის მაინც საყურადღებო ზემოდ მოყვანილი სია ილხანების ფულებისა? ეს სია მოგვცემს საშუალებას გავითვალისწინოთ, რომელი ილხანების ფული უფრო შემოდიოდა საქართველოს და მისი მეზობლების ტერიტორიაზე და ამდენად ასეთუისე გამოვარკვიოთ, სახელდობრ, რომელი ფული უნდა ვიგულისხმოთ „ძეგლის დადების“ და აღბუღას სამართლის წიგნებში. ჩვენს სიაში ასეთებად უნდა ვიცნათ აბუსაიდის, სულეიმანის და ანუშირვანის ფული ე. ი. იმ ყაინებისა, რომლებსაც უფრო ხანგრძლივად ეჭირათ ილხანების ტახტი. განვიხილოთ თვითეული მათგანის ფული ნუმიზმატიკის თვალსაზრისით.

---

[23] ორიანი დირჰემები ნაანგარიშევია ერთიან დირჰემებად.

საყურადღებოა, რომ აბუსაიდის ნუმიზმატიკურ მემკვიდრეობაში ორიანი დირჰემები ბევრად სჭარბობს ერთიანებს. მუზეუმის კაბინეტში ამ ყაინის 87 ცალიდან 63 ორიანი დირჰემია. ერმიტაჟის კოლექციებში 132 ორიან დირჰემზე მოდის 13 ერთიანი.[24] მუზეუმის კაბინეტში დაცული აბუსაიდის ვერცხლის ფულიდან 6 ტიპი დადასტურდა. მათი ქრონოლოგიური ფარგლები 1317-1333 წლებია. თითქმის ყველა ტიპი იჭრებოდა თბილისშიაც. გარდა თბილისისა კიდევ გამოირკვა შემდეგი ზარაფხანები: ახლატი (ხლატი), ბაზარი, ბაიბურთი, ბაღდადი, ერზერუმი, ერზინჯანი, თავრიზი, სივასი, სულტანია, შირაზი. ზოგიერთი მონეტის ზარაფხანა ვერ იქნა გამორკვეული მონეტების გაცვეთის გამო.

I ტიპი. აღმ. № 976 D 22/20 მმ. P 3,29 გრ.

Av. ცენტრში: ضرب — იჭედა
السلطان ابوسعيد — სულტანი აბუსაიდი
بهادر خان خلد ملكه — ბეჰადირ ხანი ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
ارزروم — ერზერუმში

ირგვლივ:
في سنه ... و عشرين وسبعماية — წელსა შვიდას ოცდა...

Rv. კვადრატში.
لا اله الا الله — არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა
محمد — მუჰამადი
رسول الله — მისი წინასწარმეტყველი

კვადრატის გარეთ ოთხი ხალიფას სახელები:
ابوبكر عمر عثمان علي — აბუბაქრი, ომარი, ოსმანი, ალი.

II ტიპი. აღმ. № 977 D 20 მმ. P 3,22 გრ

Av. ცენტრში: ضرب — იჭედა
السلطان الاعظم — სულტანი უმაღლესი
ابوسعيد بهادرخان — აბუსაიდ ბეჰადირ ხანი
خلد الله ملكه — ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი.
ارزروم — ერზერუმში

ირგვლივ ბუდეებში: في سنه سبع و عشر و سبعماية — წელსა შვიდას ჩვიდმეტსა

Rv. იგივე, რაც წინა ნომერზე

III ტიპი. აღმ. № 748 D 22 მმ; P 3,53 გრ.

Av. ცენტრში: ضرب — იჭედა
في ايام دولت السلطان — დღეთა უფლებისა სულტნისა
ضرب — იჭედა
الاعظم ابوسعيد — უზენაესისა აბუსაიდისა
تبريز — თავრიზს
خلد الله ملكه — ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი

მარჯვნივ: نعم — ქვევით: الرب
მარცხნივ: الله

ირგვლივ: في سنه اثنين مسبعماية — შვიდას ... ორი

Rv. ცენტრში ჩვეულებრივი სიმბოლო და შემდეგ ოთხი ხალიფას სახელები.
ჩარჩოს გარეთ ირკვევა: السميع العليم

IV ტიპი. აღმ. № 5522 D 23/21; P 3,58 გრ.

Av. ცენტრში:

ضرب ایام	იჭედა
دولت السلطان الا عظم	დღეთა უფლებისა სულტნის
ابوسعید بهادر خان	აბუსაიდ ბეჰადირ ხანისა
خلد الله ملکه	ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი.
فی سنه ثلث عشرین وسبعمایه	წელსა შვიდას ოცდა სამსა

Rv. სუნიტების სიმბოლო და ოთხი ხალიფას სახელები.

V ტიპი. აღმ. № 962 D 20/19 მმ; P 2,85 გრ.

Av. ცენტრში:

سنه ثلث و ثلثین	წელსა ოცდაცამეტსა
ضرب فی	იჭედა
السلطان العالم العادل	სულტანი მეცნიერი სამართლიანი
ضرب	იჭედა
ბუსაიდ (მონღოლ.)	
سلطنیه	სულტანიაში
بهادر خان خلد ملکه	ბეჰადირ ხანი ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი.
الخانیه	ილხანთა ერას

Rv. სუნიტების სიმბოლო და ოთხი ხალიფას სახელები კუთხოვანი დამწერლობით.

VI ტიპი აღმ. № 973 D 23 მმ; P 3,79 გრ.

Av. ცენტრში: ضرب فی	იჭედა
دولت المولی السلطان	უმაღლესი მეუფის
ابوسعید اعظم الا	სულტან აბუ საიდის გამგებლობაში.
خلد الله ملکه	ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი
تبریز	თავრიზში.

ირგვლივ ჩანს მხოლოდ: ضرب

Rv. სუნიტების სიმბოლო, რომლის მარჯვნივ صلب.

მარცხნივ: علیه, ქვევით: سلم

ირგვლივ წარწერა ვერ ირკვევა.

სულეიმანისა მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტში სულ სამი ტიპი გამომჟღავნდა. სამივე ტიპის მონეტები თბილისშიაც იჭრებოდა. ქრონოლოგიური ფარგლები 1339-1343 წლებით განისაზღვრება. გარდა თბილისისა დადასტურდა კიდევ შემდეგი ზარაფხანები: ანისი, ბაზარი, ბაიბურთი, ბარდავი, თავრიზი, სულტანია, შირვანი. არის რამდენიმე გაურკვეველი.

I ტიპი აღმ. № 771 D 17 მმ; P 1,71 გრ.

Av. ცენტრში: السلطان	სულტანი
العادل سلیمان	სამართლიანი სულეიმანი
خلد خلد ملکه	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
تبریز	თავრიზი

ირგვლივ: ضرب فی سنه اربعین وسبعمایه იჭედა წელსა შვიდას ორმოცსა.

Rv. კვადრატულ ჩარჩოში სუნიტების სიმბოლო. ჩარჩოს გარეთ ოთხი პირველი ხალიფას სახელები.

II ტიპი განძი № 7532 D 16/17 მმ; P 1,27 გრ.

Av. ცენტრში: السلطان სულტანი

სულეიმანი (მონღოლურად)

خلد ملكه ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი.

ირგვლივ:

Rv. სუნიტების სიმბოლო და ოთხი ხალიფას სახელები.

III ტიპი. აღმ. № 774 D 17/15 მმ; P 1,40 გრ.

Av. ცენტრში: السلطان იგივე, რაც II ტიპზე

სულეიმანი (მონღოლურად)

خلد ملكه ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი

ირგვლივ: ضرب ... فى سنه ثلث و اربعين و سبعمايه

იჭედა...წელსა შვიდას ორმოცდასამსა

Rv. ცენტრში სუნიტების სიმბოლო. ირგვლივ ოთხი ხალიფას სახელები.

კაბინეტში დაცული ანუშირვანის ფულიდან თერთმეტი ძირითადი და ორი ქვეტიპი გამოიყო.

I ტიპი. აღმ. № 1721 D 18/16 მმ; P 1,46 გრ.

Av. ცენტრში: ضرب იჭედა

السلطان العادل სულტანი სამართლიანი

نوشروان ნუშირვანი

خلد ملكه ხანგრძლივ ჰყოს მეფობა მისი.

ირგვლივ ბუდეებში:

ضرب فى سنه წელსა შვიდას ორმოცდახუთსა

خمس و اربعين و سبعمايه

Rv. ცენტრში სუნიტების სიმბოლო. ირგვლივ ოთხი ხალიფას სახელები ეპიტეტებით: ابوبک صديق – აბუბექრ

عمر فاروق ომარი და სხვ.

II ტიპი. აღმ. № 1694 D 17 მმ; P 1,41 გრ.

Av. ცენტრში: السلطان სულტანი

ნუშირვანი (მონღოლ.)

خلد ملكه ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი

ირგვლივ: ضرب فى سنه اربعين و سبعمايه იჭედა წელსა შვიდას ორმოცსა.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ილხანების სახელმწიფო საბოლოოდ დაიშალა და სწრაფად უახლოვდებოდა თავის აღსასრულს, ამ დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენლის ნუშირვანის დროს, ზარაფხანების რიცხვმაც და, ცხადია, სამონეტო პროდუქციამაც საგრძნობლად იმატა. გამრავლდა ამის მიხედვით ტიპების რაოდენობაც. კაბინეტში დაცული ნუშირვანის ფულისა თერთმეტი ტიპი აღირიცხა ქრონოლოგიურ ფარგლებში 1344-1353 წწ. გარდა თბილისისა დადასტურებულია: ალაგირი, ანისი, ბაზარი, ბარდავი, ბეილაკანი, განჯა, ერევანი, თავრიზი, მარაღა, ნახჭევანი, ყარაღაჯი, შირვანი, ხოი. რამდენიმე ზარაფხანის გამორკვევა ვერ მოხერხდა. ანუშირვანის ფულებმა ერთი საყურადღებო მოვლენა შემოგვინახეს: კაბინეტში დაცულია მოზრდილი კოლექცია, რომლის დამახასიათებელ დეტალს ავერსის სიქის მდგომარეობა წარმოადგენს. ეს კოლექ-

ცია არიცხულია აღმოსავლეთ ფონდის საინვენტარო დავთარში №№1046-1233 და 1248-1430, სულ 371 ცალია და ჩემი კლასიფიკაციის მიხედვით IX ტიპად არის მიჩნეული. ამ მონეტების ავერსის ბეჭედი, როგორც ანაბეჭდებიდან ირკვევა, ძალიან გაცვეთილი, თითქმის მთლად გადალესილი ყოფილა. მონეტებზე ჩანს უმნიშვნელო კვალი ბეჭდისა ან სრულიად არაფერი. საყურადღებოა, რომ რევერსის ბეჭედი, ამასთან შედარებით, დამაკმაყოფილებელია. მიუხედავად ასეთი დიდი დეფექტისა, ბეჭედი მაინც ხმარებაში ყოფილა, და ამ ბეჭდით მოჭრილი, თითქმის უავერსო, ფული მაინც ფულობდა. შეიძლება ასეთი მოვლენა ნუშირვანის მეფობის უკანასკნელ წლებს დამთხვეოდა, ან იქნებ მისი სიკვდილის შემდეგაც ერთხანს კიდევ განაგრძობდნენ მისი გაცვეთილი და უვარგისი ბეჭდით ფულის მოჭრას.

Rv. სამკუთხედის სახით განლაგებული სუნიტების სიმბოლო, შუაში ოთხი ხალიფას სახელი. ირგვლივ: بسم الله الكريم სახელითა მოწყალე ღვთისა.

III ტიპი. აღმ. № 1776 D 18 მმ; P 1,61 გრ.

Av. ცენტრში: السلطان სულტანი
انوشروان ანუშირვანი
خلد ملكه ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
ჩარჩოს გარეთ სეგმენტებში:
ضرب انى فى سنه ჭედა ანისს წელსა შვიდას
و اربعين و سبعماية ორმოცდა შვიდსა.

Rv. ცენტრში სუნიტების სიმბოლო. ჩარჩოს გარეთ სეგმენტებში ოთხი ხალიფას სახელები.

III ა ტიპი. აღმ. № 1618 D 18/17 მმ; P 1,26გრ.

Av. ცენტრში: السلطان იგივე, რაც III ტ.
نوشروان
خلد ملكه
ჩარჩოს გარეთ:... ضرب فى سنه ჭედა წელსა...

Rv. იგივე, რაც III ტიპი

IV ტიპი. აღმ. №816 D 19/17 მმ; P 1,46 გრ.

Av. ცენტრში: ضرب ჭედა
السلطان სულტანი
العادل انوشروان სამართლიანი ანუშირვანი
بردع ბარდავში
خلد ملكه ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
ირგვლივ თარიღი არ ჩანს.

Rv. ცენტრში სუნიტების სიმბოლო. ირგვლივ ოთხი ხალიფას სახელები და თითქოს მათი ეპიტეტები.

V ტიპი. აღმ. № 1792 D 20/16 მმ; P 1,07 გრ.

Av. ცენტრში: السلطان იგივე, რაც II ტიპი
ნუშირვან (მონღოლ.)
خلد ملكه
ჩარჩოს გარეთ ირგვლივ: ضرب الا كير فى سنه خمسين و سبعماية
იჭედა ალაგირში შვიდასორმოცდაათ წელს.

Rv. კვადრატში სუნიტების სიმბოლო; კვადრატს გარეთ ოთხი ხალიფას სახელები.

VI ტიპი. აღმ. № 1477 D 14/13 მმ; P 1,05 გრ.

Av. ცენტრში: ضرب იჭედა
السلطان სულტანი
ნუშირვანი (მონღოლ.)
خلد ملكه ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
مرا غه მარაღაში.
ირგვლივ: فى سنه ثلث و خمسين წელსა (შვიდას) ორმოცდა ცამეტსა.

Rv. ცენტრში სუნიტების სიმბოლო კუთხოვანი დამწერლობით. ირგვლივ ოთხი ხალიფას სახელები.

VII ტიპი. განძ. № 5558 D 17/14მმ; P 1,13 გრ.

Av. ცენტრში: السلطان სულტანი
ضرب იჭედა
انو شروان ანუშირვანი
تبريز თავრიზში
ირგვლივ სეგმენტებში თარიღი.

Rv. ცენტრში სუნიტების სიმბოლო, ირგვლივ ოთხი ხალიფას სახელები.

VIII ტიპი. აღმ. № 1539 D 15/14მმ; P 1,09 გრ.

Av. ცენტრში: السلطان სულტანი
انو شروان ანუშირვანი
خلد ملكه ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
ირგვლივ სეგმენტებში ზარაფხანა და თარიღი გაურკვეველია.

Rv. ცენრტში სუნიტების სიმბოლო; ირგვლივ ოთხი ხალიფას სახელები.

VIII ა ტიპი აღმ. № 1495 D 15/14მმ; P 1,06 გრ.

Av. და **Rv.** წარწერები იგივე, რაც VIII-ზე.

IX ტიპი. აღმ. № 1379 D 17/15 მმ; P 1,04 გრ.

Av. ცენტრში გაბნეულად
السلطان სულტანი
انوشروان ანუშირვანი
ضرب იჭედა
تبريز თავრიზში
خلد ملكه ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
ირგვლივ თარიღი

Rv. იგივე, რაც წინა ნომერზე.

X ტიპი. აღმ. № 1619 D 15/14 მმ; P 1,06 გრ.

Av. ცენტრში: السلطان სულტანი
نوشروان ნუშირვანი
خلد ملكه ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი
ირგვლივ თარიღი და ზარაფხანა.

Rv. იგივე, რაც VII-ზე

XI ტიპი აღმ.

ავერსი VIII ტიპისა, ხოლო რევერსი IX ტიპისა.



№ 976



№ 977



№ 748



№ 5522



№ 962



№ 973



№ 771



№ 7532



№ 774



№ 1721



№ 1694



№ 1776



№ 1618



№ 816



№ 1792



№ 1477



№ 5558



№ 1539



№ 1379



№ 1619

პატარა გომარეთის განძი

1936 წლის 12 ოქტომბერს მოქ. ნიკ. ოქრიაშვილმა წარუდგინა საქართველოს კომ.პარტიის ბაშკიჩეთის რაიკომის მდივანს მის მიერ სოფ. პატარა გომარეთში აღმოჩენილი ნუმიზმატიკური განძი. ოქრიაშვილის თანდართული ცნობიდან ირკვევა, რომ განძის აღმოჩენა შემდეგ გარემოებაში მომხდარა: დიდი წვიმების შემდეგ გადარეცხილ ნიადაგში ოქრიაშვილს შეუნიშნავს რამდენიმე ხელჭურჭელი, რითაც დაინტერესებულა და შემდეგ ამ ადგილს, როგორც თვითონ ამბობს, ჩაუტარებია მუშაობა, ალბათ, გაუთხრია. ამ მუშაობის დროს აღმოჩენილა თიხის პატარა ქილა, რომელშიაც მოთავსებული ყოფილა მოხსენებული ნუმიზმატიკური განძი. მპოვნელს, სამწუხაროდ, ჭურჭელი არ შეუნახავს. მის მიერ მოწოდებულ ცნობაში არც იმის შესახებ არის რაიმე ნათქვამი თუ რა სიღრმიდან არის ეს განძი ამოღებული, იყო კიდევ რაიმე სხვა საგანი ჭურჭელში, ან თვით განძს ხომ არ აკლია რა.[56]

განძი შესდგება 92 ვერცხლის ფულისაგან. მონეტების ქიმიურად გაწმენდის შემდეგ გამოირკვა, რომ განძში შემავალი ფულები XIV საუკუნისაა. და ეკუთვნიან ირანში გაბატონებული მონღოლური დინასტიის ჰულაგუიდების უკანასკნელ წარმომადგენლებს. ღირებულების თვალსაზრისით ყველა დირჰემია. კუთვნილების, დროის, ზარაფხანების და აგრეთვე ზომა-წონის მიხედვით განძი შემდეგ სურათს იძლევა:

№ რიგ.	ყაანი	ზარაფხანა	თარიღი ჰიჯრით	დიამეტ. მმ-ში	წონა გ-ში	ჰიჯრის შესატყვისი წელი ქრისტ. წელთაღრ.
1	2	3	4	5	6	7
1	მუჰამედი 736-738 ჰ = 1335-1338 წწ.	ბაზარი	738	19	2,19	1337/1338
2	„	–	„	18	2,07	„
3	სათიბეგი 739-740 ჰ = 1338-1340 წწ.	თბილისი	739	20/19	2,11	1338/1339
4	„	თბილისი?	739 ?	19/17	1,816	„
5	„	–	739	18/17	2,07	„
6	„	–	„	18/17	1,11	„
7	„	–	–	17/16	1,76	–
8	ტულათემური 737-740 ჰ = 1336-1340 წწ.	–	–	17	1,45	–
9	სულეიმანი 740-747 ჰ = 1339-1346 წწ.	თბილისი	741	18/17	1,37	1340/1341
10	„	„	„	17/16	1,42	„
11	„	„	„	16/15	1,35	„
12	„	„	„	19/18	1,33	„
13	„	„	„	18	1,30	„
14	„	„	„	18/17	1,32	„
15	„	„	„	17/16	1,39	„

1	2	3	4	5	6	7
16	სულეიმანი 740-747 ჰ = 1339-1346 წწ.	თბილისი	741	16/15	1,37	1340/1341
17	„	„	„	18/17	1,32	„
18	„	„	„	17/16	1,40	„
19	„	„	„	17/16	1,26	„
20	„	„	„	19/17	1,36	„
21	„	„	„	17/16	1,24	„
22	„	„	„	18/16	1,41	„
23	„	„	74...წ.	16/15	1,32	–
24	„	„	„	17	1,35	–
25	„	„	„	18/17	1,37	–
26	„	„	„	17/16	1,40	–
27	„	„	„	16	1,24	–
28	„	„	„	18/17	1,37	–
29	„	„	„	17/16	1,34	–
30	„	თავრიზი	741 წ.	17/15	1,28	1340/1341
31	„	„	„	17/16	1,41	„
32	„	„	„	18/16	1,41	„
33	„	„	„	18/16	1,49	„
34	„	„	74...წ.	18	1,07	„
35	„	„	„	18/16	1,42	„
36	„	„	„	20/15	1,29	„
37	„	„	„	18/16	1,20	„
38	„	„	„	17	1,19	„
39	„	„	„	18/17	1,756	„
40	„	შირვანი ?	741 წ.	17	1,33	„
41	„	فعمع	„	17/16	1,28	„
42	„	–	„	18/16	1,33	„
43	„	–	„	17/16	1,37	„
44	„	–	„	17	1,43	„
45	„	–	„	17/16	1,44	„
46	„	–	„	17/15	1,25	„
47	„	–	„	17	1,36	„
48		–	„	17	1,27	„
49	„	–	„	18/16	1,42	„
50	„	–	„	19/17	1,39	„
51	„	–	„	17/16	1,39	„
52	„	–	„	17	1,41	„
53	„	–	„	19/18	1,08	„
54	„	ბარდავი	742	16/15	1,42	1341/1342
55	„	–	„	19/17	1,30	„
56	„	სულტანია	743	17/16	1,38	1352/1343
57	„	ანისი	„	18/16	1,36	„
58	„	„	74...	17/16	1,42	–
59	„	–	„	17/15	1,40	–
60	„	–	„	18/17	1,35	–
61	„	–	„	17/16	1,32	–
62	„	–	„	18/16	1,39	–
63	„	–	„	17/15	1,42	–
64	„	–	„	19/15	1,28	–

1	2	3	4	5	6	7
65	სულეიმანი 740-747 ჰ = 1339-1346 წწ.	–	741	17/14	1,44	–
66	„	–	„	16	1,42	–
67	„	–	„	20/15	1,45	–
68	„	–	„	18/16	1,28	–
69	„	–	„	18/17	1,36	–
70	„	–	„	17/14	1,41	–
71	„	–	„	17/16	1,33	–
72	„	–	„	18/15	1,41	–
73	„	–	„	16	1,40	–
74	„	–	„	17/16	1,27	–
75	„	–	„	17/16	1,21	–
76	„	–	„	20/18	1,12	–
77	„	–	„	18/16	1,376	–
78	„	–	„	16	1,37	–
79	„	–	„	17/16	1,37	–
80	„	–	„	17/16	1,41	–
81	„	–	„	16	1,23	–
82	„	–	„	17	1,44	–
83	„	–	„	18/16	1,39	–
84	სულეიმანი	–	74...წ.	19/18	1,39	–
85	„	–	„	17	1,14	–
86	„	–	„	17/16	1,43	–
87	„	–	„	19/17	1,41	–
88	„	–	–	20/19	1,65	–
89	გაურკვეველი	–	–	18/17	1,75	–
90	გაურკვეველი ორმაგი სიქით	–	–	21/17	1,45	–
91	გაურკვეველი	–	–	17/16	1,31	–
92	„	–	–	18/16	1,39	–

ამგვარად ზემოთქმულის მიხედვით:

მუჰამედ ხანისაა (736-738 წ. ჰიჯრით = 1335-1338 წ.) 2 დირჰემი. ერთი მათგანი მოჭრილია ბაზარში 738 წ.., მეორე ამავე წელს, მაგრამ ზარაფხანის გამორკვევა ვერ მოხერხდა.

ტულა თემურ ხანს (737-740 ჰ. = 1336-1340 წ.) ეკუთვნის I დირჰემი, რომლის თარიღი და ზარაფხანა არ ჩანს.

სათიბეგ ხანისაა (737-740 ჰ. = 1338-1340 წ.), 5 დირჰემი, რომელთაგან 2ც. 739 წელს მოჭრილია თბილისში.

სულეიმან ხანისაა (740-747 ჰ. = 1339-1346 წ.) 80 დირჰემი. უცილობლად მასვე უნდა ეკუთვნოდეს სხვადასხვა ნიშნებით კიდევ სამი ცალი. ამ ფულებიდან მოჭრის ადგილის გარკვევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ 35 ცალისა; აქედან 21 ცალი თბილისის ზარაფხანიდანაა გამოსული, 10 ცალი თავრიზისა, 1ცალი ბარდავისა, 1 ცალი სულტანიისა და 2 ცალი ანისისა. 2 მონეტის ზარაფხანა საეჭვოა–ერთი შირვანის და ერთი ბარდავის. ორ მონეტაზე გარკვევით ჩანს ზარაფხანის აღმნიშვნელი სიტყვა ضعف , მაგრამ რომელ ადგილს აღნიშნავს იგი, ვერ გამოვარკვიე. ამავე ფულების მოჭრის თარიღების გამორკვევაც სავსებით ვერ მოხერხდა[57]. მოხსენებული 80 მონეტიდან 741 წელს მოჭრილია 32 ცალი, 742 წელს 2 ცალი; 743 წ. 2 ცალი. ამგვარად ვერ გამოირკვა ზარაფხანა 41 ცალისა, ხოლო სრული თარიღი 44 ცალისა. ამ გარემოების მთავარი მიზეზია არა

ცუდი შენახულობა მონეტებისა, – მოხსენებული განძის მონეტები საზოგადოდ ცუდ მდგომარეობაში არ არიან ჩვენამდე მოღწეული – არამედ ან წარწერების გაურკვევლობა, ან რაც უფრო ხშირია, სიქისა და სამონეტო ფირფიტის შეუთანაბრობა–სიქა მეტ წილად ვერ ეტევა ხოლმე ფირფიტაზე, რის გამო სიქის გარეგანი ნაწილები, ე. ი. სწორედ ის ადგილები, სადაც ამ ტიპის ფულებზე მოთავსებულია ზარაფხანის და თარიღის გამომხატველი სიტყვები, ფირფიტაზე აღუბეჭდელი რჩება.

ჩვენს განძში შემავალი ყაანის ფული ტიპით განირჩევა ერთი მეორისაგან. ვინაიდან აქ წარმოდგენილია ოთხი ყაანის ფული, ამისდა მიხედვით ოთხი ძირითადი ტიპის ფულებიც უნდა აღინიშნოს, მაგრამ უკანასკნელი ყაანის, სულეიმანის ფულებს შორის, გარდა ერთი მთავარი ტიპისა, რომელიც რიცხობრივად გაცილებით სჭარბობს დანარჩენებს, სამიოდ მონეტით წარმოდგენილია კიდევ ორი განსხვავებული ტიპი.

ამგვარად ჩვენი განძის 88 მონეტა (4 ცალი გაურკვეველი აქ მხედველობაში მიღებული არ არის) მიეკუთვნება 6 სხვადასხვა ტიპს, რომელთა აღწერა ქვემოდ იქნება მოყვანილი.

I ტიპს მიეკუთვნება მუჰამედ ყაანის ორი მონეტა, ჩვენი სიით № 1 (მუზეუმის ინვენტ. № 7492) და 2.[58] მონეტის არეზე მოცემულია მრგვალი მოხაზულობის ფიგურიანი ჩარჩო.

Av. ჩარჩო შესდგება ექვსი ნაწილისაგან, რომლებიც ერთი მეორესთან დაკავშირებული არიან შიგნით მოქცეული ყულფით. თითოეული ამ ექვს ნაწილთაგანი თავის მხრივ სამ-სამ ბუდეს ჰქმნის. ამ ჩარჩოთი შემოფარგლულ არეზე მოთავსებულია:

السلطان العالم	სულტანი მეცნიერი
محمد خلد الله	მუჰამედი ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა
ملكه و دولته	მეფობა მისი და სახელმწიფო მისი.

ამ წარწერის ირგვლივ: ضرب بازرفی سنه ثمان و ثلثین و سبعمایه
იჭედა ბაზარს წელსა შვიდას ოცდათვრამეტსა.

გარშემო ერთი ხაზოვანი რკალი და ერთიც წერტილოვანი.

Rv. მრგვალი ფორმის 16 ბუდიანი ფიგუროვანი ჩარჩოთი შემოფარგლულ არეზე მოთავსებულია:

لا اله الا الله	არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა
محمد	მუჰამედი
رسول الله	წინასწარმეტყველი ალაჰისა.

ირგვლივ ოთხი პირველი მართლმორწმუნე ხალიფას სახელი:

ابوبکر، علی،عثمان،عمر	აბუ-ბექრი, ალი, ოსმანი, ომარი.

გარშემო ერთი ხაზოვანი რკალი და ერთიც წერტილოვანი.

II ტიპი – სათიბეგის მონეტები. განძში წარმოდგენილი ამ ქალი ყაანის 5 მონეტა ერთი და იმავე ტიპისაა, ოღონდ სხვადასხვა სიქისა. მომყავს ამ ტიპის აღწერილობა № 3-ის მიხედვით (ინვენტ. № 7494).

Av. ძირითადად მრგვალი ფორმის ექვსბუდიანი ორმაგი ჩარჩოთი შემოფარგლულ არეზე მოთავსებულია:

السلطنه العادله	სულტანი სამართლიანი
ساتی بک خان	სათი ბეგ ხანი
خلد الله ملكها	ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი.

ირგვლივ: ضرب تفلیس سنه تسع ثلثین سبعمایه
იჭედა თბილისს წელსა შვიდას ოცდაცხრამეტსა.

გარშემო ამ ცალზე ჩანს ერთი ხაზოვანი რკალი. ამავე ყაანის სხვა ცალებზე ხაზოვანი რკალის გარეთ წერტილოვანი რკალია.

Rv. ჯვარის სახით მოხაზულ ოთხბუდიან ჩარჩოში მოთავსებულია:

لا اله الا არ არის ღმერთი გარდა
الله ალაჰისა.

ამ სიტყვებს გარს უვლის წერტილოვანი რკალი, რომლის გარეთ ოთხივე ბუდის სიღრმეში განლაგებულია;

محمد امين رسول الله მუჰამედი ერთგული /?/ ალაჰის წინასწარმეტყველი.

ჩვენს მონეტაზე ფორმულის ამ ნაწილის პირველი სიტყვის محمد შემდეგ მოთავსებულია სიტყვა, რომელსაც ხ. ფრენი مين لا კითხულობს[59]. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ თუ აქ მართლაც ეს სიტყვაა, იგი მაინც ამ ფორმით არ არის მოცემული, არამედ امين. ჩარჩოს გარეთ ოთხი პირველი ხალიფას სახელია. გარშემო ერთი ხაზოვანი რკალი და ერთიც წერტილოვანი.

III ტიპი – ტუღა თემურ ხანის ერთი მონეტა, ჩვენი სიით № 8 (ინვენტ. № 7499). ეს ცალი–, სამწუხაროდ, დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება–სიქა არ მოხვედრილა ფირფიტის ცენტრში, რის გამო ბეჭედი მთლიანად გამოსული არ არის, სამაგიეროდ მონეტის ერთს მხარეზე დარჩენილია სრულიად თავისუფალი განიერი კიდე. იმის მიხედვით, რაც ჩვენს ცალზე აღბეჭდილია, სიქას შემდეგი სახე უნდა ჰქონდეს.

Av. ექვსგვერდიან ორმაგ ჩარჩოში მოთავსებულია:

السلطان [العالم] სულტანი [მეცნიერი]
طغا تمور خان خلد الله ملكه ტუღა თემურ ხანი ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი.

ქვემოთ და ჩარჩოს გარეთ რამდენიმე გაურკვეველი სიტყვა. გარშემო ერთი ხაზოვანი რკალი და ერთიც წერტილოვანი.

Rv. ცენტრში:

لا اله الا الله არ არის ღმერთი, გარდა ალაჰისა
محمد მუჰამედი
رسول الله წინასწარმეტყველია ალაჰისა.

ამ ფორმულის გარშემო ოთხი პირველი ხალიფას სახელიდან სიქის ნაკლულოვანების გამო ჩანს მხოლოდ სამი عمر ،عثمان على ალი, ოსმანი, ომარი. გარშემო ერთი ხაზოვანი რკალი და ერთიც წერტილოვანი.

IV ტიპი – სულეიმან ყაანისა. რაოდენობით წარმადგენს განძის ძირითად მასას–92 მონეტიდან ამ ტიპისაა 77 მონეტა. მისი სახეობა შემდეგნაირად აღიწერება № 15-ის მიხედვით (ინვენტ. № 7506)**:

Av. ძირითადად მრგვალი ფორმის რვაბუდიანი ჩარჩოთი შემოფარგლულ არეზე მოთავსებულია:

السلطان სულტანი
სულეიმან ხანი (მონღოლურად) ملكه خلد ხანგრძლივ იყოს მეფობა მისი.
ჩარჩოს გარეთ ირგვლივ: ضرب تقليس سنه احد و اربعين و سبعمايه
იჭედა თბილისს წელსა შვიდას ორმოცდა ერთსა.

გარშემო ერთი ხაზოვანი რკალი და ერთიც წერტილოვანი.

Rv. მრგვალი ფორმის რვაბუდიან ჩარჩოში:

لا اله الا الله არ არის ღმერთი, გარდა ალაჰისა
محمد მუჰამედი
رسول الله წინასწარმეტყველია ალაჰისა.

ირგვლივ ოთხი პირველი ხალიფას სახელი. გარშემო ერთი ხაზოვანი რკალი და ერთიც წერტილოვანი.

V ტიპი – ამავე სულეიმან ხანისა, წარმოდგენილია ჩვენს განძში ერთი მონეტით №39 (ინვენტ. №7530); ფირფიტაზე სიქა მთლიანად გამოსული არ არის.

Av. ცენტრში: السلطان — სულტანი
العادل سليمان — სამართლიანი სულეიმანი
خان خلد ملكه — ხანი ხანგრძლივ იყოს მეფობა მისი.

გარშემო წერტილოვანი რკალი, რომლის გარეთ ირგვლივ:
ضرب تبريز — იჭედა თავრიზს.
... გარშემო ერთი ხაზოვანი რკალი და ერთიც წერტილოვანი.

Rv. კვადრატულ ჩარჩოში, რომლის თითოეული მხარის შუაგულში წნული ყულფებია:
لا اله الا الله — არ არის ღმერთი, გარდა ალაჰისა
محمد — მუჰამედი
رسول الله — წინასწარმეტყველია ალაჰისა.

ამ ფორმულის ზევით და ქვევით ორ-ორი წნული ორნამენტი. ჩარჩოს ოთხივე მხარეზე ოთხი პირველი ხალიფას სახელი. გარშემო ერთი ხაზოვანი რკალი და ერთიც წერტილოვანი.

ამგვარივე ტიპისა, ოღონდ სხვა შტამპისა, უნდა იყოს ჩვენი სიის № 88. ამ ცალს სწორედ ის მხარე, სადაც ხანის სახელია მოთავსებული, გაცვეთილი აქვს, დანარჩენში გარდა წვრილმანებისა, როგორც ავერსი ისე რევერსი № 39 მსგავსია.

VI ტიპი – ამავე სულეიმან ხანისა. წარმოდგენილია ერთი მონეტით № 57 (ინვენტ. № 7548).

Av. ოვალი ფორმის ორმაგ ჩარჩოში, რომლის ხაზები მარცხნივ და მარჯვნივ ყულფებს ჰქმნიან, მოთავსებულია:
السلطان — სულტანი
სულეიმან ხანი /მონღოლურად/
خلد ملكه — ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი.

ჩარჩოს გარეთ ირგვლივ: ضرب انى فى سنه ثلث اربعين و سبعمايه
იჭედა ანისს წელსა შვიდას ორმოცდა სამსა.

Rv. ცენტრში:
لا اله الا الله — არ არის ღმერთი, გარდა ალაჰისა
محمد — მუჰამედი
رسول الله — წინასწარმეტყველია ალაჰისა.

ამ ფორმულის ოთხივ მხრივ ოთხი პირველი ხალიფას სახელი. გარშემო ორმაგად ხაზოვანი რკალი და ერთიც წერტილოვანი.

მოკლედ უნდა შევეხო იმ ოთხ მონეტასაც /№№ 89-92/, რომლებიც ჩვენ სიაში გაურკვევლებად არიან აღნიშნულნი. ერთი მათგანი № 90 (ინვენტ. № 7581) ორჯელ სიქა ნაკრავია. ამასთან ავერსის სიქა სრულიად გაურკვეველია, რევერსის სიქის ჩარჩოს მიხედვით კი, თითქოს, ჩვენი განძის სულეიმან ხანის IV ტიპის მონეტებს უნდა ეკუთვნოდეს. №№ 91 და 92 ასევე გარეგანი ნიშნების მიხედვით სულეიმანის ამავე ტიპის ფულებს ჰგვანან. დაბოლოს ეს მეოთხე ცალი №89 (ინვენტ. №7580) ჩვენი განძის არც ერთ მონეტას არ უდგება და სრულიად უცხო ფულს უნდა წარმოგვიდგენდეს. სამწუხაროდ ნაწილობრივ მონეტის გაცვეთა და ნაწილობრივ სიქის ნაკლულევნად აღბეჭდვა ფირფიტაზე საშუალებას არ გვაძლევს, გამოვარკვიოთ რა დროს, რა ადგილს და ვის მიერ არის ეს ფული მოჭრილი. მონეტა თავისი მთლიანი სახეობის მიხედვით არ უნდა სცილდებოდეს იმავე ქრონოლოგიურ ფარგლებს, რომლებშიაც თავსდება ჩვენი განძი.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ჩვენ განძში შემავალი მონეტებიდან უადრესია მუჰამედ ხანისა (1335-1338 წ.), უგვიანესია სულეიმანისა (1339-1346 წ). ამგვარად მთელი განძის დაგრო-

ვება მომხდარა XIV ს-ის ოცდაათიან ორმოციან წლებში, სულ ერთი ათეული წლების მანძილზე. ასეთი შემადგენლობა ჩვენი განძისა სავსებით ადასტურებს იმ დაკვირვებას, რომელიც არსებობს საზოგადოდ ჰულაგუიდური განძების შესახებ. გამოსთქვამს რა აზრს ზოგადად განძად ქცეული ფულების სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ, ცნობილი მკვლევარი – ნუმიზმატი ე. პახომოვი აღნიშნავს: Клады арабских монет нередко дают сотни лет между первыми и последними монетами своего состава, джудчиские ограничиваются несколькими десятками, а гулагуидские и некоторые другие часто охватывают не более 5-10 лет.[60]

იმ ერთი ათეული წლების მანძილზე, რომელშიაც გროვდებოდა ჩვენი განძი, ჰულაგუიდების ტახტზე გამოიცვალა 5 სულტანი: 1. მუჰამედი 736-738 წლ,. ჰიჯრით; 2. ტუღა–თემური 737-740 წ; 3. სათიბეგი 739-740 წ; 4. ჯეჰან თემური 740-741 წ; და 5. სულეიმანი 740-747 წლ. მოხსენებულ პირთა მმართველობის წლებზე უბრალო დაკვირვებაც კი ცხადჰყოფს იმ პოლიტიკურ ანარქიას და პარტიათა ბრძოლას, რომლებიც ამ დროისათვის დამყარდა ჰულაგუიდების ფართო სამფლობელოში.

სახელმწიფოს რღვევამ აშკარად იჩინა თავი ჯერ ისევ აბუ საიდის (717-736 წლ. ჰიჯრით=1317-1335 წწ.) დროსვე. მისი სიკვდილის შემდეგ ჰულაგუიდების სახელმწიფოს მოსპობამდე სულტნების ტახტი გადაიქცა მძლავრი ამირების სათამაშოდ. განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა მოიპოვა ამ დროს რამდენიმე გვარმა. ჩობანის გვარის ამირებმა ტახტზე აიყვანეს არპა ხანი. ამავე დროს ბაღდადში ოირატების გვარის მეთაურმა ყაანად გამოაცხადა ბაიდუ ყაანის შვილიშვილი მუსა. მაგრამ საქმე ამ ორი პრეტენდენტით არ დამთავრებულა. ამავე 736 წელს ჯალაირების ტომის მეთაურმა ჰასან ბუზურგმა ხელში ჩაიგდო სამფლობელოს მნიშვნელოვანი ნაწილი – არაბული ერაყი ბაღდადით და აზერბაიჯანი თავრიზით – და ჰულაგუიდების ტახტზე თავის კანდიდატად წამოაყენა ჰულაგუიდების შთამომავალი მუჰამედი. მუსასი და მუჰამედის შეტაკება მუსას დამარცხებით დამთავრდა, თავრიზში მუჰამედი გამეფდა. ბრძოლაში ჩაერია კიდევ ერთი მონაწილე – ხვარასნის ამირამ შეიხ ალიმ ქ. ბესტამში ყაანად გამოაცხადა ჩინგიზ ხანის შორეული შთამომავალი, მაზანდერანის მმართველი ტუღა თემური. 737 წელს ტუღა თემურის მომხრეებსა და ჰასან ბუზურგის შუა მომხდარ ბრძოლაში გაიმარჯვა უკანასკნელმა. მაგრამ უკვე 738 წელს მას ძლიერი მეტოქე გამოუჩნდა ჩობანის შვილიშვილის ჰასანის სახით. ჰასან ბუზურგისაგან (ე. ი. დიდისაგან) გასარჩევად ამას ჰასან ქუჩუკს (ე. ი. მცირეს) ეძახდნენ. მათ შორის მომხდარი ბრძოლის დროს ჰასან ბუზურგი დამარცხდა, ხოლო მის მიერ დაყენებული ყაანი მუჰამედი დაიღუპა. ქუჩუკმა დასვა ტახტზე თავისი კანდიდატი, ამჯერად ქალი, ოლჯაიტუ ყაანის ასული და აბუსაიდის და სათიბეგ ხათუნი. ბრძოლა ამ ორ მძლავრ ამირას შორის კვლავ გრძელდებოდა ერთხანს, მაგრამ შემდეგ ისინი მორიგდნენ. ამ მორიგების საფუძველზე ჰულაგუიდების სახელმწიფოში შემავალი ქვეყნები დანაწილდა 12 წვრილ-წვრილ სამფლობელოდ იმ ამირებს შორის, რომლებიც მონაწილეობდნენ ორი ჰასანის ბრძოლაში. თვით სამეფოში ორი ნომინალური ყაანი არსებობდა-საათიბეგი და ტუღა-თემური, ნამდვილი ძალა-უფლება კი მოხსენებული ორი ჰასანის ხელში იყო. მყუდროება მალე კვლავ დაირღვა. 740 წელს ჰასან ბუზურგმა ჩამოაგდო ტუღა-თემური და სულტნად ჰულაგუიდი ჯეჰან – თემური დააყენა, ჰასან ქუჩუკმა კი საათიბეგი მისცა ცოლად ჰულაგუიდების ამირას სულეიმანს, რომელიც ყაანადაც გამოაცხადა.

ჩვენი განძის მონეტები უშუალო მოწმეები და მონაწილენი არიან იმ შფოთით და სისხლით სავსე ათეული წლისა, რომლებზედაც ზევით იყო ლაპარაკი. მუჰამედიდან მოყოლებული სულეიმანის მეფობამდე, ჰულაგუიდების ტახტის გარშემო ატეხილი ბრძოლის ყველა მონაწილის, გარდა ერთის, ჯეჰან თემურის, ფულია აქ წარმოდგენილი. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამგვარი გააფთრებული ბრძოლის და ანარქიის დროსაც კი ეკონომიკური ურთიერთობა საქართველოსა და ერანს შორის მაინც არსებულა, რის მცირე ილუსტრაციასაც წარმოადგენს ჩვენი განძი.

მონღოლური ფულის განძები იშვიათი არ არის საქართველოსა და ამიერკავკასიაში. მონ-

ღოლთა ბატონობის დასაწყისიდან მოყოლებული ჰულაგუიდების დინასტიის დაცემამდე აღმ. საქართველოში ადგილობრივი მფლობელების ფულთან პარალელურად სრული უფლებებით იყო აღჭურვილი მონღოლური ფულიც. ეს უკანასკნელი არა მარტო შემოდიოდა დიდის რაოდენობით უცხოეთიდან არამედ ადგილობრივაც იჭრებოდა. პოლიტიკურ-ეკონომიური ცენტრებიდან ეს ფულები მოკლე დროში გადიოდა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში, საიდანაც ნაწილი კვლავ წავიდოდა სხვაგან, ხოლო ნაწილი, შესაძლებელია, განძის სახით ჩარჩენილიყო ადგილობრივ ნიადაგში. ერთ-ერთი ასეთი განძი უნდა იყოს პატარა გომარეთში აღმოჩენილი განძიც.

პატარა გომარეთი, სადაც ჩვენი განძი აღმოჩნდა, მდებარეობს ქციის მარჯვენა შენაკადის ზურტაკეტის (ყარა-ბულახის წყლის) ტაფობში. პატარა გომარეთი სამიოდე კილომეტრით დაშორებულია უფრო მსხვილი ცენტრის დიდი გომარეთისაგან. ამჟამად ორივე გომარეთი დმანისის რ-ში შედის. ვახუშტის გეოგრაფიის ტექსტში მოხსენიებულია მხოლოდ ერთი პუნქტი-გომარეთი, რომლის შესახებაც ის ამბობს: „დაბა გომარეთი, ვითარცა მცირე ქალაქი.“[61] გომარეთი, რომელიც XVIII ს-შიაც კი, მართალია მცირის, მაგრამ მაინც ქალაქის ტიპის პუნქტს წარმოადგენდა, ძველადაც მნიშვნელოვანი ცენტრი ყოფილა. ამაზე მიგვითითებს ის ისტორიული ხასიათის არქიტექტურული ძეგლები, რომელთა ნაწილი ჩვენ დრომდეც შემონახულა. მათ შორის აღსანიშნავია რამდენიმე ტაძარი, რომლებიც XI ს-ით არიან დათარიღებული. ამავე საუკუნის ერთი ტაძარი პატარა გომარეთის ტერიტორიაზეც არსებობს.[62]

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ გომარეთი უკვე ძველი დროიდან მჭიდროდ დასახლებული პუნქტი ყოფილა. თავისი მნიშვნელობა მას საუკუნეთა განმავლობაშიაც არ დაუკარგავს – ვახუშტი მას იცნობს, ვითარცა დიდ დაბას ან მცირე ქალაქს. გომარეთის მიწა-წყალზე XIV ს-ის თავისი შემადგენლობის სპეციფიურობით მეტად საინტერესო ნუმიზმატიკური განძის აღმოჩენა იმის ნიშანია, რომ ამ ხანებშიაც გომარეთი განზე არ დარჩენილა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან და ჩაბმული ყოფილა მსხვილ ცენტრებთან ურთიერთობაში. აკად. ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით შედგენილი რუკიდან ჩანს, რომ გომარეთიდან ხუთიოდ კილომეტრის მანძილზე გადიოდა საურმე გზა, რომელიც მიიმართებოდა საქართველოს შუაგულიდან სამხრეთისაკენ, კერძოდ გუმბრისაკენ.[63] შესაძლებელია, სწორედ ეს გზა იყო ის მთავარი ძარღვი, რომელმაც გადააქცია გომარეთი და მისი გარემო ამ რაიონის მნიშვნელოვან ცენტრად.

1945 წელი



№ 1



№ 3



№ 8



№ 16



№ 39



№ 66



№ 84

საქართველოსა და ოქროს ურდოს შორის ურთიერთობის საკითხისათვის XIV ს. (ალის განძის ჯუჩიდური ფულები)

1925 წ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის ნუმიზმატიკის კაბინეტში შემოვიდა ვერცხლის წვრილი ფულების მოზრდილი განძი. განძი აღმოჩენილია ს. ალის (ხაშურის რ.) ჩრდილო-აღმოსავლეთით 1 კილომეტრის მანძილზე, გორაკზე, საკირე ქვის თხრის დროს ნახევარი მეტრის სიღრმეზე. განძი ქილაში ყოფილა მოთავსებული. თხრის დროს ქილა გატეხილა.

განძი შესდგება 471 ვერცხლის წვრილი ფულისაგან;[1] იგი შერეული ხასიათისაა. მისი ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, სახელდობრ 202 მონეტა, ოქროს ურდოს ჯუჩიდებს ეკუთვნის. მეორე ასეთივე თვალსაჩინო ნაწილი – 243 მონეტა – აჰმედ ჯალაირს (1382-1410 წწ.) და საქარველოს მეფეს გიორგი VII (1393-1407 წწ.) განეკუთვნება და მოჭრილი უნდა იყოს XIV-XV სს-ის მიჯნაზე. დანარჩენი 26 ცალი ამ ორი ძირითადი დაჯგუფებისაგან განსხვავებულია. ამათგან ერთი ცალი, სახელდობრ, XVII ს-ის ერანული მაჰმუდი აშკარად ამ განძის შემადგენლობას არ უნდა ეკუთვნოდეს. იგი ამ განძთან ქრონოლოგიურად დაკავშირებული არ არის და შემთხვევით მოხვედრილა მასში. მეორე ცალი ქართული კირმანეულია, მოჭრილი იოანე II-ის (1280-1297 წწ.) სახელით. მართალია, ჩვენი განძის დანარჩენ ფულებზე ეს ცოტა ადრინდელია, მაგრამ კირმანეულები ბრუნვაში იყო არა მარტო XIII ს., არამედ XIV ს-შიც და, შესაძლებელია, უფრო გვიანაც. დანარჩენი 22 ცალიდან 10 ც. გაურკვეველი ქართულია,[2] 7 ცალი ეჭვით გიორგი VII-ს მიეწერება, 4 ც. ოვეის და აჰმედ ჯალაირებისა უნდა იყოს, 3 ცალიც გაცვეთილია.

განძი ძირითადად XIV ს-ს განეკუთვნება. ჩემი ეს მცირე ნაშრომი მიზნად ისახავს მოხსენებული განძის ჯუჩიდური ფულების შესწავლის შედეგების და ქართული საისტორიო წერილობით ძეგლების ცნობების ურთიერთშევსების გზით წარმოგვიდგინოს XIV ს. საქართველოსა და ოქროს ურდოს შორის ურთიერთობის სურათი. ვინაიდან დასახული მიზნისათვის განძში შემავალ დანარჩენ ფულებს, გარდა ჯუჩიდებისას, მნიშვნელობა არ ჰქონდა, მე იმათ აქ არც შევხებივარ. უნდა კი აღვნიშნო, რომ მეორე ძირითადი ნაწილი ამ განძისა, სახელდობრ, აჰმედ ჯალაირის და გიორგი VII-ის 243 მონეტა განხილულია ჩემს ცალკე წერილში, ხოლო ამავე განძის 10 გაურკვეველ ქართულ ფულს ეხება, როგორც აღვნიშნე, დ. კაპანაძე ერთ-ერთ ნაშრომში.

ამ ზოგადი მიმოხილვის შემდეგ გადავდივარ ალის განძის ჯუჩიდური ფულების აღწერილობაზე. დროისა და მომჭრელთა ვინაობის მიხედვით ესენი შემდეგნაირადაა განაწილებული:

1. თოგთოგუ ხანისაა (1291-1313 წ.) 5 ცალი; 2. უზბეკისა (1313-1341 წ.) 22 ცალი; 3. ჯანიბეკ I-ის (1341-1357 წ.) 73 ცალი; 4. ბირდიბეკისა /1357-1359 წ.) 6 ცალი; 5. კულნასი (1359-1360 წ.) 1 ცალი; 6. ხიზრისა (1360-1361 წ.) 6 ცალი; 7. გილდიბეკისა (1361-1362 წ.) 2 ცალი; 8. მიურიდისა (1362-1364 წ.) 2 ცალი; 9. აბდალლაჰისა (1367-1369 წ.) 14 ცალი; 10. ჯანიბეკ II-ისა (1367 წ.) 5 ცალი; 11. მუჰამედ ბულაკისა (1370-1376 წ.) 44 ცალი; 12. თოთხამიშისა (1377-1406 წ.) 15 ცალი; 13. ორმაგი სიქით 1 ცალი; 14. ცალმხრიანი 1 ცალი; 15. გაურკვეველი 5 ცალი. სულ – 202 ცალი.

ამ მონეტების დიამეტრი მერყეობს 13-19 მილიმეტრს შუა, ხოლო წონა 1.01-1.63 გრამს შუა.

---

[1] ამჟამად ეს განძი დაცულია საქ.სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის კაბინეტში. იხ. საინვენტ. დავთარი „განძები“ №№ 743-1213.

[2] ამ მონეტებს ეხება დ. კაპანაძე თავის წერილში „ზოგიერთი გაურკვეველი ქართული ფულის დათარიღებისათვის“. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე XI – B, 1941.

აღწერილობა:

თოგთოგუ ხანის 5 მონეტა (**№№ 743-747**), ყველა ერთი და იმავე ტიპისაა. ოთხზე ირკვევა: თარიღი 710 წ. (=1310/1311 წ.) და ზარაფხანა სარაი ღვთივ დაცული (المخروسه سراى). ხუთივე ცუდად არის შენახული.

Av. ოთხსტრიქონად:

السلطان الا عظم	სულტანი უმაღლესი
غياث الدنيا	ღიას ედ-დუნია

თოგთოგუ /მონღოლურად/

العادل	სამართლიანი

Rv. კვადრატულ ჩარჩოში:

ضرب سراى	იჭედა სარაის
المخروسه	ღვთივდაცულს
سنه ٧١٠	წელსა 710

უზბეკ ხანის 22 მონეტა /**№№ 748-769**/ განიყოფება 6 სახედ.

ა) 4 ც. **№№ 766-769**

Av. ფიგუროვან ჩარჩოში, რომელსაც წერტილოვანი რკალი უვლის

السلطان الا عظم	სულტანი უმაღლესი
محمد	მუჰამედ
اوزبک خان	უზბეკ ხანი

ზევით: ضرب იჭედა. ქვეშ: سراى სარაის.

სამს ცალზე სიტყვა ضرب მოთავსებულია ლეგენდის მარჯვნივ, ხოლო سراى – ზევით

Rv.	لا اله الا الله	არა არს ღმერთი, გარდა ალლაჰისა
	محمد	მუჰამედი
	رسول الله	წინასწარმეტყველი ალლაჰისა
	سنه ٧١٧	წელსა 717 (= 1317/1318 წ.)

№ 767-ს დაკრული აქვს დამღა, რომელიც აბრკოლებს ლეგენდის ამოკითხვას.

ბ) 2 ცალი **№№ 763-764**

Av. ფიგუროვან ჩარჩოში, რომლის გარეთ წერტილოვანი რკალია.

السلطان محمد	სულტანი მუჰამედ
اوزبک خان	უზბეკ ხანი
العادل	სამართლიანი

Rv.	ضرب سراى	იჭედა სარაის
	المخروسه	ღვთივდაცულს
	سنه ٧٢٢	წელსა 722 (= 1322 წ.)

გარშემო ხაზოვანი რკალი, რომელსაც გარს უვლის წერტილოვანი რკალი.

გ) 5 ცალი **№№ 758-762**. წარწერა ავერსზე არც ერთ ცალზე არ ჩანს სრულად. ირკვევა მხოლოდ:

Av.	ضرب	იჭედა
	السلطان الا عظم	სულტანი უმაღლესი

არეზე ორი თხზული ორნამენტი.

Rv. სიმბოლო. არეზე სიტყვა محمد -ის ზევით და ქვევით ოთხი თხზული ორნამენტი.

დ) 5 ცალი **№№ 748-752**. ამ ხუთი მონეტიდან თარიღი ჩანს გარკვევით მხოლოდ ერთ ცალზე, ზარაფხანაც აგრეთვე ერთ ცალზე. მეორეზე ასოების ნარჩენების მიხედვით იგივე ზარაფხანა უნდა იყოს აღბეჭდილი.

Av. კვადრატულ ჩარჩოში:

السلطان الا عظم	სულტანი უმაღლესი
اوزبک خان	უზბეკ ხანი

ჩარჩოს გარეთ: ზევით ضرب; მარჯვნივ ٧٣٤; მარცხნივ سرای, ე. ი. იჭედა სარაის 734 წ. (=1333/1334 წ.).

Rv. წერტილოვან რკალში სიმბოლო. ირგვლივ ოთხი პირველი ხალიფას სახელი, რომლებიდანაც ჩანს ერთ ცალზე მარჯვნივ علی ალი, ხოლო სამზე მარცხნივ عمر ომარი.

ცალკე უნდა შევჩერდეთ **№ 749**. ამ ცალზე, როგორც ავერსის ისე რევერსის მხრივ ერთი და იგივე შტამპი ორმაგად არის დაკრული. ავერსის მხარეზე თარიღის შერჩენილი ნაწილების მიხედვით თითქოს 737 წ. უნდა იყოს. ოთხი ხალიფას სახელიდან რევერსზე აქ ჩანს გარდა ომარისა عمر , ზევით بکر ბექრი.

ე) 1 ცალი **№ 765**, თარიღი და ზარაფხანა ვერ ირკვევა.

Av.	السلطان	სულტანი
	العادل اوزبک	სამართლიანი უზბეკ
	خان ضرب	ხანი იჭედა

Rv. სიმბოლო, მოთავსებული კვადრატულ ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის წერტილოვანი რკალი. ჩარჩოს გარეთ ოთხი ხალიფას სახელი უნდა იყოს – ბუნდოვნად ჩანს მარცხნივ عمر ომარი.

ვ) 5 ცალი **№№ 753-757**

Av. კვადრატულ ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის წერტილოვანი რკალი

السلطان	სულტანი
الا عظم	უმაღლესი
اوزبک	უზბეკი

ჩარჩოს გარეთ სეგმენტებში, როგორც ჩანს, მოცემულია თარიღის და ზარაფხანის აღმნიშვნელი სიტყვები, მაგრამ ჩვენს ცალებზე მხოლოდ ორზეა შერჩენილი ზარაფხანა سرای (სარაი), ხოლო ერთზე თარიღის ერთი ციფრი ٧ (7).

Rv. სიმბოლო, მოთავსებული ფიგუროვან ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის წერტილოვანი რკალი. ერთ ცალზე, **№ 757**, მარჯვენა ქვედა კუთხეში ჩანს მეორე უცნობი შტამპის ნაწილი.

ჯანიბეკ I-ისაა 73 ცალი. ზარაფხანების მიხედვით ესენი ორ ჯგუფად განიყოფებიან: 15 ც. მოჭრილია გულისტანში, ხოლო დანარჩენი 58 ც. ახალ სარაიში. ეს უკანასკნელნი სახეობის და თარიღების მიხედვით არ წარმოადგენენ თანაბარ და ერთნაირ მასას. აქაც ჩვენ გვაქვს რამდენიმე ძირითადი დაჯგუფება, რომლებიც განირჩევიან დანარჩენებისაგან, როგორც ლეგენდების შინაარსით, ისე ზოგადი გაფორმებითაც.

ა) ჯგუფი ყველაზე მრავალრიცხოვანია, შეიცავს 30 მონეტას 742, 745, 746, 747, 750, 754 და 755 წლებისა. ამათვე უნდა მიემატოს 12 ც. რომელთა თარიღის გამორკვევა ვერ მოხერხდა, და კიდევ 3 ც., რომლებიც აგრეთვე გაურკვევლებია თარიღის თვალსაზრისით და, გარდა ამისა, ტექნიკურადაც ნაკლულოვანნი არიან (№№ 770, 773-779, 795, 796, 803-809; 813-817; 820-842).

Av. ხაზოვან რკალში, რომელსაც გარს უვლის წერტილოვანი

السلطان العادل	სულტანი სამართლიანი
جانی بک خان	ჯანიბეკ ხანი

არეზე ერთი ან მეტი თხზული ორნამენტი, იშვიათად ვარსკვლავი ან წერტილებია.

Rv. ფიგუროვან ორმაგ ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის ჯერ ხაზოვანი რკალი და შემდეგ წერტილოვანი.

ضرب سرای	იჭედა სარაის
الجدید	ახალს

თარიღის ციფრები გაბნეულია ხოლმე სხვადასხვა ადგილს, მომეტებულ შემთხვევებში კი – ქვევით ასეულების აღმნიშვნელი ციფრი ٧ (7), მარცხნივ ათეულების მაგ. ۴ (4) და ზევით ერთეულების მაგ., ۶ (6). მთელი თარიღი ამ შემთხვევაში იძლევა ٧۴۶ (746) წელს.

ბ) 5 მონეტა (№№ 797-801) 743 და 744 წლებშია მოჭრილი.

Av. ფიგუროვან ჩარჩოში, რომელსაც გარს წერტილოვანი რკალი უვლის

السلطان العادل	სულტანი სამართლიანი

ჩამბეკ ხან (მონღოლურად)

جلال الدین محمود	ჯელალ ედ-დინ მაჰმუდ
سلطان	სულტანი

Rv. ფიგუროვან ორმაგ ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის ერთი ხაზოვანი რკალი და ერთიც წერტილოვანი.

ضرب السرای	მოიჭრა სარაის
الجدید فی	ახალს
سنه ٧۴٣	წელსა 743 (= 1342/1343 წ.)

ამგვარიცეა № 801, მხოლოდ 744 წელს მოჭრილი.

გ) 2 ცალი (№№ 818, 819). 1 ც. სრულიად წესიერია. რევერსზე კარგად ირკვევა ზარაფხანა (سرای الجدید) და თარიღი (٧۴٢). მეორე ცალი გაფუჭებულია შტამპის ორმაგი კვრით, რის გამო როგორც ავერსის, ისე რევერსის სახე შელახულია.

Av. მონეტის ცენტრში:

جانی بک	ჯანიბეკ
خان	ხანი

გარშემო ხაზოვანი რკალი, ხოლო რკალს გარეთ ირგვლივ:

الحاقان العادل جلال الدین محمود سلطان – ხაკანი სამართლიანი ჯელალ ედ-დინ მაჰმუდ სულტანი.

გარშემო ერთი ხაზოვანი რკალი და ერთიც წერტილოვანი.

Rv. ხაზოვან რკალში:

ضرب سرای	იჭედა სარაის
الجدید	ახალს
٧۴٢	742 (= 1341/1342 წ.)

დ) 2 ცალი (№№ 780, 781) სრულიად ერთნაირებია. თარიღის ნიშნებიდან გარკვევით ჩანს მხოლოდ ٧ (7) რევერსის ზედა არეში. საფიქრებელია, რომ მარცხნივ ۴ (4) უნდა იყოს

Av. ხაზოვან რკალში:

السطان جانی	სულტანი ჯანი
بک	ბეკ
العادل	სამართლიანი

Rv. ფიგუროვან ორმაგ ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის ხაზოვანი რკალი:

٧	7
ضرب سرای	იჭედა სარაის

۴ الجديد	4 ახალს

თარიღი საეჭვოა. შესაძლებელია ასე თუ ისე ამოვიკითხოთ 74...

ე) 4 ცალი გაერთიანებულნი არიან რევერსის მსგავსებით, მაგრამ არა იგივეობით. ამიტომ მე მათზე შევჩერდები თითოეულზე ცალ-ცალკე. № 771 თარიღის ორი პირველი, ე.ი. ასეულისა და ათეულების აღმნიშვნელი ნიშნები კარგად ირკვევა ٧ ٥ მესამე ნიშანი ან ٣ ან ۴ უნდა იყოს.

Av. ფიგუროვან ჩარჩოში, რომელსაც თითქოს წერტილოვანი რკალი უნდა უვლიდეს.:

السلطان العادل	სულტანი სამართლიანი
جانى بک خان	ჯანიბეკ ხანი
خلد ملکه	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი.

Rv. კვადრატულ ჩარჩოში, რომლის გარეთ ორ მხარეზე ორნამენტი, დანარჩენი ორი მხარე არ ჩანს. ჩარჩოს გარს უვლის წერტილოვანი რკალი.

ضرب سرای	იჭედა სარაის
الجديد	ახალს
٧٥	75...

№ 802 თარიღის ნიშნებიდან ირკვევა მხოლოდ ٧ (7). მონეტის ცენტრში რევერსის მხრიდან უკრავთ დამღა, რის გამო დამღის ქვეშ მოხვედრილი სიტყვა გაფუჭებულია. დამღას ავერსზედაც მოუხდენია ცენტრის დეფორმაცია.

Av. იგივეა, რაც ზევით აღწერილი. მხოლოდ ჩარჩო არ ჩანს და ფაქტურაც სხვაა.

Rv. წერტილოვან კვადრატში იგივე ლეგენდა, რაც ზევით აღწერილს.

№ 794.

Av. السلطان الاعظم	სულტანი უმაღლესი
جلال الدين محمود	ჯელალ ედ-დინ მაჰმუდი
جانى بک خان	ჯანიბეკ ხანი

Rv. ხაზოვან კვადრატში, რომლის გარეთ ბუნდოვნად ჩანს ორნამენტები:

ضرب السرای	იჭედა სარაის
الجديد	ახალს
٧٥٣	753 (= 1352/1353 წ.)

№ 772 ავერსის მხრივ ცენტრში უკრავთ სიქა, რომელსაც გაფუჭებია მის ქვეშ მოხვედრილი სიტყვები ავერსზე და გავლენა მოუხდენია რევერსის შესატყვის არეზედაც.

თარიღი არ ჩანს, რადგანაც რევერსის ბეჭდის ქვედა ნაწილი, სადაც მოთავსებული იქნებოდა თარიღი, მონეტის დისკოზე არ დატეულა.

Av. იგივე, რაც ზევით აღწერილზე.

Rv. ხაზოვან კვადრატში, რომლის გარეთ ზევით თითქოს რაღაც სიტყვა ან ორნამენტი უნდა იყოს და რომელსაც გარს უვლის წერტილოვანი რკალი, მოთავსებულია ზევით აღწერილი მონეტის რევერსის ლეგენდა.

ჯანიბეკის მონეტების მეორე ჯგუფი 15 ცალისაგან შემდგარი, მოჭრილია გულისტანში და აგრეთვე რამდენიმე სახეობას იძლევა. ძირითადი მასა 11 ცალი 753 წელს უნდა იყოს მოჭრილი. ამათგან №№-ზე 785, 791 და 793 ეს თარიღი სრულად ჩანს. ხუთ ცალზე №№ 784, 787, 788, 789 და 790 ერთეულების აღმნიშვნელი ციფრი ველარ დატეულა დისკოზე, პირველი ორი კი 75... კარგად ირკვევა. ყველა დანარჩენი დეტალების შეხვედრის საფუძველზე შესაძლებელია ესენიც

ამავე 753 წელს მივაკუთვნოთ. ამგვარივეა კიდევ 3 ცალი **№№ 782, 783, 786**, რომლებზედაც თარიღი სულ არ ჩანს.

Av. ხაზოვან რკალში, რომელსაც გარს უვლის წერტილოვანი:

السلطان العادل	სულტანი სამართლიანი
جانی بک خان	ჯანიბეკ ხანი

არეზე აქა-იქ ვარსკვლავი და წერტილები.

Rv. ფიგუროვან ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის ერთი ხაზოვანი რკალი და ერთიც წერტილოვანი: ضرب کلستان سنه ٧٥٣

მოიჭრა გულისტანს წელსა 753.

მონეტების მოხსენებულ ჯგუფში **№ 788** დამღანაკრავია, დაუდამღიათ რევერსიდან, რის გამო შესატყვისი ადგილები როგორც ავერსისა, ისე მეტადრე რევერსისა დეფორმირებულია.

ბ) 2 ცალი **№№ 792** და **811**. ამ ორ მონეტას აერთიანებს როგორც ავერსების, ისე რევერსების იგივეობა, მხოლოდ არა იდენტიურობა – ორი სხვადასხვა ბეჭდით არიან მოჭრილი. ორივე 753 წლისაა.

Av. ხაზოვან რკალში:

السلطان العادل	სულტანი სამართლიანი
جانی بک خان	ჯანიბეკ ხანი

არეზე ერთი წერტილი და თხზული ორნამენტი.

Rv. ფიგუროვან ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის ერთი ხაზოვანი რკალი და ერთიც წერტილოვანი: ضرب کلستان ٧٥٣

იჭედა გულისტანს 753 (= 1352/1353 წ.).

№ 811-ის რევერსის არეზე და აქა-იქ რამდენიმე წერტილია გაბნეული.

გ) №№ 810, 812

Av.	السلطان العادل	სულტანი სამართლიანი
	جلال الدین محمود	ჯელალ ედ-დინ მაჰმუდ
	جانی بک خان	ჯანიბეკ ხანი

Rv. ფიგუროვან ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის ერთი ხაზოვანი რკალი და ერთიც წერტილოვანი. არეზე გაბნეულია რამდენიმე წერტილი.

ضرب کلستان ٧٥٣	იჭედა გულისტანს 753.

ბირდიბეკისაა 6 მონეტა. ყველანი, რომლებზედაც თარიღი ირკვევა, 759 წლისანი არიან. ერთი მოჭრილია ახაკში, დანარჩენები გულისტანში.

ა) ოთხი ცალი **№№ 851, 853, 855, 856** ერთი სახისანი არიან, თუმცა სხვადასხვა შტამპით მოჭრილი.

Av. ხაზოვან რკალში:

السلطان العادل	სულტანი სამართლიანი
بردبک خان	ბირდიბეკ ხანი
خلد ملکه	ხანგრძლივ იყოს მეფობა მისი.

Rv. ფიგუროვანი ჩარჩოში:

ضرب ببلد کلستان فی سنه ٧٥٩	იჭედა ქალაქ გულისტანს წელსა 759 (=1357/1358 წ.)

არეს ქვედა ნაწილში თხზული ორნამენტი.

ბ) № 854

Av. ფიგურიანი ჩარჩოში:

السلطان	სულტანი
العادل بردی بک	სამართლიანი ბირდი ბეკ
خلد ملکه	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი.

Rv. ფიგურიანი ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის ერთი ხაზოვანი რკალი და ერთიც წერტილოვანი:

ضرب ببلد کلستان فی سنه ٩	იჭედა ქალაქ გულისტანს წელსა..... 9

რევერსის არეზე ნაკრავია დამღა, რომელსაც დაუფარავს თარიღის ორი პირველი ციფრი ٧٥, დამღის გავლენით დეფორმირებულია ავერსის შესატყვისი ადგილი. დამღაზე აღბეჭდილია ⅄₀.

გ) № 852 ზევით აღწერილებთან შედარებით ეს მონეტა განსხვავებული სახისაა.

Av.	بردی	ბირდი
	بک خان	ბეკ ხანი
Rv.	سنه	წელსა
	ضرب ازاق	იჭედა აზაკს
	٧٥٩	759

კულნა ხანისაა 1 მონეტა **№ 843**

Av. ხაზოვან რკალში, რომელსაც გარს უვლის წერტილოვანი:

السلطان العادل	სულტანი სამართლიანი
قولنا خان	კულნა ხანი
خلد ملکه	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი.
ضرب	იჭედა
Rv. ببلد کلستان	ქალაქ გულისტანს
سنه ٧٦٠	წელსა 760 (= 1358/1359 წ.)

ა) **ხიზრი ხანი** წარმოდგენილია 6 მონეტით: **№№ 845, 847, 849**, მოჭრილებია გულისტანში.

Av. ხაზოვან რკალში:

السلطان العادل	სულტანი სამართლიანი
خضر خان	ხიზრ ხანი
خلد ملکه	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი.
Rv. ضرب فی	იჭედა
بلد کلستان	ქალაქ გულისტანში
٧٦١	761 (= 1359/1360 წ.)

№ 845-ის ავერსზე დაკრულია დამღა, რომელსაც დაუფარავს სიტყვა ﺧﺎﻥ-ი.

ბ) **№№ 844, 846, 848** მოჭრილებია ახალ სარაიში.

Av. ხაზოვან რკალში:

السلطان العادل	სულტანი სამართლიანი
خضر خان	ხიზრ ხანი
خلد ملکه	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი.

Rv. ფიგურიანი ჩარჩოში:

ضرب سرای	იჭედა სარაის
الجدید	ახალს
٧٦٢	762 (= 1360/1361 წ.)

გილდიბეკისა №№ 850, 857. ერთი მოჭრილია 762 წ., მეორეზე ერთეულები არ ჩანს. ორივე ახალ სარაის ზარაფხანიდანაა.

Av. ხაზოვან რკალში:

السلطان العادل	სულტანი სამართლიანი
كلتى بك	გილთი ბეკ...
خلد ملكه	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი...

Rv. ფიგუროვან ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის ერთი ხაზოვანი რკალი და ერთიც წერტილოვანი:

الجديد	ახალს
٧۶٢	762

ეს ცალი მიეკუთვნება გილდიბეკს პირობით. სახელი ხანისა არ ჩანს მთლიანად. თარიღიც ვერ იძლევა დასაყრდენს.

Av.	السلطان العادل	სულტანი სამართლიანი
	خان ...	... ხანი
	خلد ملكه	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი.

Rv. ფიგუროვან ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის ხაზოვანი რკალი

ضرب	იჭედა
سراى	სარაის
الجديد	ახალს
٧۶ ..	76..

მიურიდ ხანი წარმოდგენილია 2 მონეტით. (**№№ 858, 859**). ორივე მოჭრილია გულისთანში – ერთი 763, ხოლო მეორე 764 წ.

Av. ხაზოვან რკალში:

السلطان العادل	სულტანი სამართლიანი
مريد خان	მჲურიდ ხანი
خلد ملكه	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი.

არეზე წერტილი და ყვავილის მსგავსი ორნამენტი.

Rv. ფიგუროვან ჩარჩოში:

ضرب	იჭედა
فى كلستان	გულისთანს
٧۶٣	763 (= 1361/1362 წ.)

არეზე გაბნეულია წერტილები.

აბდ-ალლაჰ-ხანი წარმოდგენილია 14 მონეტით, რომლებიც 3 სახეობას იძლევიან. აქედან 1 ც. იანგი-შეჰრშია მოჭრილი 765 წ., 13 – ურდოში 770 წ.

ა) 1 ც. **№ 861**

Av. ხაზოვან რკალში:

الله	
السلطان العادل	სულტანი სამართლიანი
عبد خان	აბდ-ალლაჰ-ხანი

Rv. ხაზოვან რკალში:

ضرب	იჭედა
المخروسه	ღვთივ დაცულს
يانكى شهر	იანგი-შეჰრს
٧۶۵	765 (=1363/1364 წ.)

ბ) № 860

Av. ფიგურიანი ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის წერტილოვანი რკალი:

السلطان العادل	სულტანი სამართლიანი
عبد الله خان	აბდ-ალლაჰ ხანი
خلد ملكه	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი.

Rv. ფიგურიანი ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის ერთი ხაზოვანი რკალი და ერთიც წერტილოვანი:

ضرب أور	იჭედა ურ
دو سنه	დოს წელსა
٧٧٠	770 (= 1368/1369 წ.)

გ) 12 ცალი №№ 862-865, 867-874

Av. ფიგურიანი ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის წერტილოვანი რკალი:

السلطان العادل	სულტანი სამართლიანი
عبد الله خان	აბდ-ალლაჰ ხანი
خلد ملكه	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი.

Rv. ფიგურიანი ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის ჯერ ხაზოვანი რკალი და შემდეგ წერტილოვანი:

ضرب أور	იჭედა ურ
دو سنه	დოს წელსა
سبعين	შვიდას სამოც-
٧	დაათსა.

ჯანიბეკ II წარმოდგენილია 5 მონეტით.

№№ 875-879. თარიღი და ზარაფხანა არც ერთ მონეტას არა აქვს. ეს 5 მონეტა განიყოფება 2 სახედ.

ა) 2 ცალი №№ 875, 877

Av.

ამ სახის მონეტებს ეხება საველიევი და ამგვარად ამოშიფრავს მათ:

خلد الله ملكه / جانى بك خان / السلطان العادل , ე. ი. სულტანი სამართლიანი ჯანი-ბეკ ხანი ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი.[3]

ბ) 3 ცალი: № 879, № 876, № 878

ამ მონეტების ზედწერილები საველიევის მიხედვით ასე იკითხება:

خلد / الله / العادل / السلطان ე. ი. სულტანი სამართლიანი ხანგრძლივ ჰყოს ღმერთმა მეფობა მისი.[4]

რევერსი ორივე ჯგუფს ერთნაირი აქვთ: კვადრატში მოთავსებულია სუნების სიმბოლო. ხუთივე ცალის რევერსი სხვადასხვა შტამპით არის მოჭრილი.

მუჰამედ ბულაკ ხანი წარმოდგენილია 44 მონეტით, რომლებიც იძლევიან 7 სახეს.

---

[3] П. Савельев, Монеты Джучидов, Джагатаидов, Джелаиридов и другие, обращавшиеся в Золотой Орде в эпоху Тохтамыша, вып. 2, СПБ., 1858, გვ. 207, e ლიტერით აღნიშნული აბზაცი.

[4] იქვე, გვ. 204.

ა) 1 ცალი № 904

Av. ფიგურიანი ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის წერტილოვანი რკალი:

السلطان العادل	სულტანი სამართლიანი
محمد خان	მუჰამედ ხანი
خلد ملكه	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი.

Rv. ფიგურიანი ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის ერთი ხაზიანი რკალი და ერთიც წერტილოვანი:

ضرب [اورد]	იჭედა...
دو سنه	ურდოს წელსა
٧٧١	771 (= 1369/1370 წ.)

ბ) 3 ცალი №№ 906-908

Av. ფიგურიანი ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის წერტილოვანი რკალი, იგივე წარწერა, რაც ზევით აღწერილში.

Rv. ფიგურიანი ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის ერთი ხაზიანი რკალი და ერთიც წერტილოვანი:

ضرب اورد	იჭედა ურდოს
و	წელსა შვიდას
سبعين	
٢	
سنه	
٧	სამოცდა თორმეტსა (= 1370/1371 წ.)

№ 907-ის რევერსი განირჩევა ორი დანარჩენისაგან იმით, რომ ყველა წარწერები მოცემულია უკუღმა, შებრუნებით.

გ) 15 ცალი. ამათგან: № 905 არეზე თხზული ორნამენტი.

Av. السلطان العادل	სულტანი სამართლიანი
غياث الدين و الد [نيا]	ღიას ედ-დინ ვე ად-დუნია
محمد خان [خلد ملكه]	მუჰამედ ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი.

Rv. კუთხოვანი შრიფტით ფიგურიანი ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის ხაზიანი რკალი:

ضرب الا ورد	იჭედა ურდოს
سنه	წელსა
٧٧٢	772

ამ წლის მონეტა ამ სახისა საველიევს მოხსენებული არა აქვს არც ეკატერინოსლავის განძის და არც ტეტიუშის გაძის აღწერისას.

№№ 909-922. 7 ცალს თარიღი კარგად აქვთ შერჩენილი, 7 ცალზე ვერ ირკვევა ან ირკვევა ნაწილობრივ.

Av. ფიგურიანი ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის ერთი ხაზიანი რკალი და ერთიც წერტილოვანი, მოთავსებულია იგივე წარწერა, რაც ზევით აღწერილზე.

Rv. იგივე, მხოლოდ თარიღი ٧٧٣ 773 (= 1371/1372 წ.).

დ) 6 ცალი №№ 880-885. ოთხ ცალზე თარიღი 774 წ. კარგად ირკვევა.

Av. ფიგურიანი ჩრაჩოში, რომელსაც გარს უვლის წერტილოვანი რკალი:

السلطان العادل	სულტანი სამართლიანი
محمد خان خلد	მუჰამედ ხან ხანგრძლივ ჰყოს
الله ملكه	ღმერთმა მეფობა მისი.

წარწერა დამახინჯებულია – მეორე სტრიქონი ასეა წარმოდგენილი:
حا جا محمد. მესამე სტრიქონი: لله قل V.V.V
Rv. კვადრატში, რომელსაც გარს უვლის ორნამენტი.
ე. ი. ٧٧۴ الحديد ماجر ضرب იჭედა ახალ მარიჯს 774 (= 1372/1373 წ.)
ცენტრში მოთავსებულ ფიგურას ახასიათებს დეტალების სხვაობა: ორი ცალი იძლევა
1 ც. სამი ც.

ე) 18 ცალი **№№ 886-903**. ამათგან 8 ცალზე გარკვევით ჩანს თარიღი 777. ყველანი მოჭრილია ურდოში, ე.ი. ლაშქრობის დროს.

Av. ფიგუროვან ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის წერტილოვანი და ზოგჯერ ხაზოვანი რკალი, მოთავსებულია წარწერა, ანალოგიური ამავე მფლობელის გ ჯგუფის მონეტების ავერსის წარწერისა.

Rv. ფიგუროვან ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის წერტილოვანი რკალი

ضرب	იჭედა
الملك لله	მეუფება ღმერთსა
وردو	ურდოს 777 (=1375/1376 წ.)

არეზე გაბნეულია წერტილები. ზოგჯერ წერტილებს ემატება თხზული ორნამენტიც სამკუთხედის ფორმისა. ამ ჯგუფში შემავალი ერთი მონეტა № 897 აღსანიშნავია იმით, რომ მას ავერსის სიქა არა აქვს. შერჩენილი ნიშნების მიხედვით ჩანს, რომ სიქა უკრავთ, მაგრამ ანაბეჭდი ვერ აღნიშნულა დისკოზე. რევერსი იგივეა, რაც ზევით აღწერილებისა.

ვ) 1 ც. **№ 923.**

Av.	السلطان	სულტანი
	اعظم بولاك	უმაღლესი ბულაკ
	ملك خان خلد	ხანი ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი

Rv. სიმბოლო და თარიღი ..٨٧ ..87. პირველი ციფრი ჩვენს მონეტაზე ხეირიანად არ ჩანს. შეიძლება ეს ციფრი ٧ (7) იყოს. საველიევის ხელთ მყოფ ცალზე ეს ციფრი ٢ (2) ყოფილა. თარიღი აშკარად მცდარია. ზემოდ მოხსენებული ნუმიზმატის აზრით 772 წ. უნდა ვიგულისხმოთ.[5]

ორმაგავერსიანი 1 ც. **№ 940** ორიგინალურია. აქვს ორივე მხრიდან ავერსის სიქა ორი სხვადასხვა ხანისა – აბდ-ალლაჰისა და მუჰამედ ბულაქისა. აბდ-ალლაჰისაა ჯგუფ გ-ში მოცემული ავერსის სიქა, ხოლო მუჰამედ-ბულაქისა ამ ხანის გ და ე ჯგუფებში აღწერილი მონეტების ავერსის სიქა. მონეტა, ცხადია, მოუჭრიათ ამ უკანასკნელი ხანის დროს.

თოთხთამიშ ხანისა 15 ცალია. აქ მოცემული მონეტები უჭრიათ სარაიში (ახალი სარაი, სარაი ღვთივდაცული) 9 ცალი, აზაკში (ქალაქი აზაკი, აზაკი ღვთივდაცული) 4 ც., ჰაჯი თარხანში 1 ც., ქალაქ ყირიმში 1 ც. თარიღები: 782, 783, 785 და 786 წწ.

ა) 1 ც. **№ 931**

Av. ხაზოვან რკალში:

	السلطان	სულტანი
	العادل توقتا	სამართლიანი თოხთა
	ميش خان	მიშ ხანი
	ضرب	იჭედა
Rv.	سراى	სარაის
	الجديد ٧٨٢	ახალს 782 (= 1380/1381 წ.)

[5] Савельев, op. cit. გვ. 57, № 87.

ბ) 6 ც. №№ 924, 926, 932, 935, 937, 938.

Av. السلطان العادل — სულტანი სამართლიანი
نا صر الدين — ნასირ ედ-დინ
توقتاميش خان — თოხთამიშ ხანი

გარშემო ერთი ხაზოვანი რკალი და ერთიც წერტილოვანი.

Rv. ფიგუროვან ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის წერტილოვანი რკალი:

ضرب سراى — იჭედა სარაის
الجديد — ახალს
٧٨٢ — 782

ავერსის და რევერსის ცენტრში თხზული ორნამენტი. ამავე სახისაა მონეტები 783 (=1381/1382 წ.) და 786 (=1384/1385 წ.) წლებისა.

გ) 1 ც. № 927

Av. ხაზოვან რკალში:

السلطان العادل — სულტანი სამართლიანი
توقتا — თოხთა
ميش خان — მიშ ხანი

Rv. ფიგუროვან ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის ხაზოვანი რკალი:

ضرب سراى — იჭედა სარაის
الجديد — ახალს
سنه ٧٨٥ — წელსა 785 (=1383/1384 წ.)

დ) № 933

Av. ხაზოვან რკალში:

السلطان ال ... — სულტანი
ناصر ال ... — ნასირ
توقتا ... — თოხთა

მარჯვნივ ვარსკვლავი.

Rv. ფიგუროვან ჩარჩოში:

ضرب سراى — იჭედა სარაის
المخروسه فى — ღვთივდაცულს
سنه ٧٨٢ — წელსა 782

ცენტრში თხზული ორნამენტი.

ე) №№ 925, 928.

Av. ფიგუროვან ჩარჩოში:

السلطان العادل — სულტანი სამართლიანი
توقتميش خان — თოხთამიშ ხანი
خلد ملكه — ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი

Rv. ფიგუროვან ჩარჩოში:

ضرب — იჭედა
المخروسه ازاق — ღვთივდაცულს აზაკს
سنه ... — წელსა...

ვ) №№ 930, 936

Av. ხაზოვან რკალში:

السلطان	სულტანი
الا عظم	უმაღლესი
توقتميش خان	თოხთამიშ ხანი

Rv. ფიგურიანი ორმაგ ჩარჩოში, რომელსაც გარს უვლის ხაზოვანი რკალი:

ضرب	იჭედა
بلد ازاق	ქალაქ აზაკს
سنه ٧٨٢	წელსა 782

ზ) № 934

Av. ხაზოვან რკალში, რომელსაც გარს უვლის წერტილოვანი:

السلطان العادل	სულტანი სამართლიანი
ناصر الدين تو	ნასირ ედ-დინ თო
قتاميش خان	ხთამიშ ხანი

Rv. ფიგურიანი ორმაგ ჩარჩოში:

ضرب حاجى	იჭედა ჰაჯი
ترخان فى	თარხანს
سنه ٧٨٢	წელსა 782

თ) № 929

Av. ფიგურიანი ჩარჩოში:

السلطان العادل	სულტანი სამართლიანი
غياث الدين و الدنيا	ღიას ედ-დინ ვედდუნია
توقتاميش خان	თოხთამიშ ხანი
خلد ملكه	ხანგრძლივი იყოს მეფობა მისი.

Rv. ფიგურიანი ჩარჩოში:

ضرب	იჭედა
فى بلد قريم	ქალაქ ყირიმს

ამ მონეტაზე უნდა შევჩერდეთ: იგი მოხსენებული აქვს საველიევს.[6] საყურადღებოა ამ მონეტის რევერსი. წარწერა ჯერჯერობით დამაკმაყოფილებელად არ არის ამოკითხული. პირველი ორი სტრიქონი ითარგმნება „იჭედა ქალაქ ყირიმს“. შემდეგი სიტყვები გაუგებარია. ამ სიტყვების ამოკითხვასა და ახსნას შეეცადა საველიევი. შედარებით ხეირიანად მოჭრილი და შენახული ცალების წარწერების უკანასკნელი სიტყვები, მისი აზრით, იძლევიან ფორმულას, რაც ნიშნავს: „დე, დაცულ იქნეს ჭირთაგან“. ამისდა მიხედვით ამ მონეტის რევერსის წარწერა შემდეგი სახით უნდა წარმოვიდგინოთ:

ضرب	იჭედა
فى بلد قريم	ქალაქ ყირიმს
عن	გან
حميت	დე, დაცულ იქნეს
فات [الا]	ჭირთა

ალის განძის ამ მონეტაზე თარიღი არ არის. საველიევის მიერ აღწერილ ზოგიერთ ამგვარ მონეტებზე თარიღად არის 786 და 787 წელი.

---

[6] Савельев, op. cit. გვ. 113 № 254.

ცალმხრივი მონეტა. ალის განძში მოხვედრილია ერთი მონეტა **№ 939**, რომელსაც ნაჭედი აქვს მხოლოდ ერთი მხარე, სახელდობრ რევერსი. მეორე მხარეზე ავერსის სიქა არ არის აღბეჭდილი, არამედ მოცემულია იგივე რევერსის სიქა უკუღმა და ჩაჭდევით. მიუხედავად ამისა ეს მონეტა ბრაკტეატად არ შეიძლება მივიჩნიოთ. სიქის ნაკვთები ერთი მეორეს არ ხვდება, არამედ უკუღმა მოცემულისა ოდნავ დაბლაა გამოსული. ეს მოვლენა შემდეგნაირადაც უნდა აიხსნას: ჭედვის დროს ხელოსანს ჩარჩენია ბეჭედში უკვე გამზადებული მონეტა რევერსით ზევით. შემდეგ მას ჩაუდვია ამავე ბეჭედში ახალი ფირფიტა და უკრავს. შედეგად მიუღია ერთს მხარეზე წესიერი რევერსი, ხოლო იმ მხარეზე, რომელზედაც უნდა ავერსი აღბეჭდილიყო, აღნიშნულა ჩარჩენილი მონეტის რევერსი ჩაჭდეულად და უკუღმა. მხოლოდ ამგვარად შეიძლება აიხსნას ის, რომ შტამპის სრულიად ერთგვარი ნაკვთები მეორე მხარეზე ოდნავ დაბლა არიან განლაგებული.

Rv. ფიგურიანი ორმაგ ჩარჩოში:

ضرب سراى — იჭედა სარაის

الجديد — ახალს

ასო ج-ს ზევით თხზული ორნამენტი. რევერსის დეტალების მიხედვით ეს მონეტა ჯანიბეკ I-ისა უნდა იყოს და ეკუთვნოდეს 747 (= 1346/1347 წ.) წელს (შეად. ამავე განძის მონეტებს №№ 804, 807, 813).

და ბოლოს, 5 მონეტა ამ განძისა №№ 866, 941, 942, 943, 944 ჯერჯერობით გაურკვეველ მონეტათა ჯგუფში უნდა მოვათავსოთ.

ჯუჩიდების ის ფულები, რომლებიც ჩვენ ზევით განვიხილეთ, არაფერს არაჩვეულებრივს ან ახალს, ნუმიზმატიკური თვალსაზრისით, არ წარმოადგენენ. ყველა ეს მონეტები უკვე დიდი ხანია ცნობილი და გამოქვეყნებულია. მიუხედავად ამისა, საქართველოსა და ოქროს ურდოს შორის ურთიერთობათა საკითხისათვის ამ განძის პოვნის ფაქტს მნიშვნელობა მაინც აქვს. ე. პახომოვს საქართველოში აღმოჩენილ ნუმიზმატიკურ განძებზე დაკვირვებათა შედეგად მიუღია დასკვნა, რომ „северяные джучидские монеты, битые золотоордынскими ханами вне Закавказья, в последнем совершенно не встречаются."[7] ალის განძის ჯუჩიდური ფულების არმოჩენის ფაქტი არღვევს პახომოვის ამ დასკვნას. ამ განძში, როგორც დავრწმუნდით, სრულიად არ არის წარმოდგენილი ის ზარაფხანები, რომლებიც ჯუჩიდებს ამიერ კავკასიაში ჰქონდათ. ეს ფაქტი კი უნდა მიგვითითებდეს იმ გარემოებაზედ, რომ ალის განძში შემავალი ჯუჩიდების ფულის საქართველოში შემოსვლა სხვა ამბებთან უნდა იყოს დაკავშირებული.

უკიდურესი ქრონოლოგიური მიჯნები ალის განძის ამ ნაწილისა ჰფარგლავენ XIV ს-ის 76 წელს – 1310 წლიდან 1386 წლამდე. ამ წლების განმავლობაში ოქროს ურდოში მყოფი 23 ხანიდან ჩვენს განძში წარმოდგენილია 12 ხანი, მათ შორის ისეთი შესანიშნავები, როგორებიც იყვნენ უზბეკი, ჯანიბეკ I, მუჰამედ ბულაკი, დაბოლოს თოხთამიში. XIV ს-ის ქართული საისტორიო წერილობითი ძეგლების დაღუპვის გამო ცნობებს ამ ხანის საქართველოსა და ოქროს ურდოს შორის ურთიერთობათა შესახებ ჩვენამდე არ მოუღწევიათ. მით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ნივთიერ ძეგლებს, რომლებიც ამ ურთიერთობას ამჟღავნებენ და ამითი ცოტად თუ ბევრად ავსებენ შექმნილ ხარვეზს. ასეთ ნივთიერ ძეგლებად უნდა მივიჩნიოთ ალის განძში დაცული ჯუჩიდური ფულები. აი, სწორედ ამ თვალსაზრისით მათ ენიჭებათ განსაკუთრებული მნიშვნელობა.

ოქროს ურდოსა და საქართველოს შორის პოლიტიკური ურთიერთობა დაიწყო ურდოს პირველი ხანის ბათოს დროიდან. პირველი პირი, რომელიც ოქროს ურდოში გაემგზავრა საქართველოდან, მწიგნობართუხუცესი არსენი ყოფილა.[8] მას დავალებული ჰქონია რუსუდან მეფისაგან საბ-

[7] Пахомов, Монетные клады Азербайджана, вып. I, 1926, стр. 29, 30.

[8] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, თბილისი 1941 წ., გვ. 23.

ოლოოდ გამოერკვია ბათო ყაანთან მონღოლ-ქართველებს შორის საზავო შეთანხმების საკითხები. 1243/1244 წლებში **ყივჩაყეთში** გამგზავრებულა ამალით დავით რუსუდანის ძე. მას იქ ორ წლამდე დაუყვია. შემდეგ ამავე გზას გასდგომია დავით ლაშას ძეც. ბათოს ორივე უფლისწული „კეთილად შეუწყნარნია“.[9] ჩვენ საისტორიო წყაროებს, სამწუხაროდ, არ შეუნახავთ ცნობა იმის შესახებ, თუ რა გზით გამგზავრებულან ზემოხსენებული პირები **ყივჩაყეთში**, დარიალანის თუ დარუბანდის კარით (ამათგან უფრო ჩვეულებრივი და შედარებით უშიშარი უკანასკნელი იყო). ორივე უფლისწული დაბრუნდნენ ყარაყორუმიდან 1247 წ. უკვე სამხრეთის გზით, ე. ი. ჰულაგუს სამფლობელოზე გავლით.[10] უფრო გვიან ბათო ყაანს ელჩი წარმოუვლენია დავით ულუსთან და დაუბარებია იგი თავისთან. „და წარვიდა წინაშე ბათოისა მეფე დავით ნიჭითა უზომოთა“.[11] აქედან წასვლის გზას ისტორიკოსი არ იხსენიებს, დაბრუნებისას კი დავითს, როგორც ჩანს, დარუბანდზე უნდა გამოევლო, ვინაიდან ჯერ ჰერეთში მისულა და შემდეგ უკვე თბილისში.

საქართველოს მეფეების ასეთი ურთიერთობა **ყივჩაყეთთან** სრულიად ბუნებრივი იყო. თავდაპირველად საქართველო ჩრდილოეთ ულუსს ექვემდებარებოდა და მის უშუალო მბრძანებლად ბათო ყაანი ითვლებოდა. მდგომარეობა შეიცვალა 1256 წლიდან, როდესაც დიდი ყაანის განკარგულებით საქართველო ჰულაგუ ყაანისა და მისი მემკვიდრეების სამფლობელოში შევიდა. ამიერიდან ჩრდილოეთის ულუსთან მეგობრულ კავშირსა და ურთიერთობას საფუძველი ეცლებოდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ჰულაგუსა და ბათოს მემკვიდრე ბერქა ყაანს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და შუღლი ჩამოვარდა, ასეთი განწყობილება საქართველოს მეფეს მტრულ აქტადაც კი ჩაეთვლებოდა. ისტორიული აუცილებლობით შექმნილმა ვითარებამ სწორედ ამ უკანასკნელი მიმართულებით წარმართა საქართველოს ბედი. ურთიერთობა ჩრდილოეთის ულუსთან შემდეგშიაც გრძელდებოდა და ხშირად განსაზღვრავდა კიდეც ამათუიმ ქართველი მეფის პოლიტიკას.

ულუ დავითსა და მონღოლებს შორის წარმოშობილ კონფლიქტში, რომელსაც ჟამთააღმწერელი ხოჯა აზიზის ირგვლივ ატეხილ დავას მიაწერს, ჩრდილოეთ ულუსთან ურთიერთობის საკითხმა გადამწყვეტი როლი ითამაშა. ჰულაგუ ყაანს მისი დაახლოებული და ერთგული მრჩეველი ენუქ არქუნი უმტკიცებს, რომ იგი დათმობაზე უნდა წავიდეს ულუ დავითის მიმართ: „ესეცა უწყოდე, რომელ ძმა შენი დიდისა ყაენისაგან ბათოს შვილ[12] მრავალსა მოციქულსა უგზავნის (ულუ დავითს) და დიდთა ნიჭთა აძლევს, რათა მისცეს გზა დარიალანისა და დასავლეთისა, რამეთუ ორივე ჴელთა შინა მისთა არს“.[13] დაუთმე ხოჯა აზიზი, თორემ თუ „ბათოს ულუსი და მეფე შეიერთნეს, დიდნი შფოთნი აღსდგებიანო“.[14] ჩვენი ისტორიკოსის სიტყვით, ჰულაგუ იძულებული იყო დაეთმო. უფრო მეტად იყენებდა თავის მიზნებისათვის ორ ულუსს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას დიმიტრი II-ის ძე დავით VIII (1293-1311 წწ.). ის სრულის უნდობლობით ექცეოდა ილხანების აღთქმა-დაპირებებს, ალბათ თვალწინ უდგა თავისი მამის ტრაღიკული ბედი და ის მწარე წუთები, რომლებიც თვითონ მან განიცადა მონღოლთა ხელში. დარიალანის კარი მის სრულ მფლობელობაში იყო და ეს აძლევდა მას შესაძლებლობას ილხანების წინააღმდეგ დაუბრკოლებლად მიემართნა ჩრდილოეთი ულუსისათვის. ასე მოიქცა ის 1297 წელს. მან გაგზავნა ოქროს ურდოს თოხთოგუ ყაანთან თავისი ძმა ვახტანგი და „უქადა გზა გამოსვლად ყაანს ზედა და მან კეთილად შეიწყნარა“.[15] რამდენიმე თვის შემდეგ 1298 წ. დავითს კვლავ მიუვლენია თოხთოგუსთან უკვე მეორე ძმა ბაადური იმავე მისიით.[16]

---

[9] მონღოლთა დროის ქართველი ჟამთააღმწერელი, გამოც. ე. თაყაიშვილისა, გვ. 621, 642.

[10] მონღოლთა დროის ქართვ. ჟამთააღმწერელი, გამოც. ე. თაყაიშვილისა, გვ. 651.

[11] აქვე, გვ. 656.

[12] აქ ბერქა ყაანზეა საუბარი, რომელიც შვილი კი არა, ძმა იყო ბათოსი.

[13] ჟამთააღმწერელი, გვ. 680, 681.

[14] ჟამთააღმწერელის თხზულებაში ამ ყაანის სახელი დამახინჯებულია – იგი წოდებულია ხან ითხად, ხან ოთახად და თხოთუდ, გვ. 756-758.

[15] იქვე, გვ. 755.

[16] იქვე, გვ. 756.

ამრიგად XIII ს-ის დამლევამდე ოქროს ურდოსა და აღმოსავლეთ საქართველოს შორის მუდმივი, შეიძლება ითქვას, ტრადიციად გადაქცეული ურთიერთობა დადასტურებულია ეჭვშეუტანელი ფაქტებით. ერთადერთი გზა ზემოხსენებული ელჩების მისვლა-მოსვლისა, ცხადია, დარიალანი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან სხვა გზით, ე. ი. დარუბანდის კარით ილხანების მიმართ სამტრო მისიით წარვლენილი აუცილებლად ხიფაშთი ჩავარდებოდა და ვერც მიაღწევდა დასახულ მიზანს.

XIV ს-თვის ასეთი ფაქტები აღარა გვაქვს. ჩვენი მეტად მცირე საისტორიო წყაროები ამ დროისა სდუმან ამის შესახებ. ერთი კი საფიქრებელია: დავით VIII, როგორც ვიცით, სიკვდილამდე არ დამორჩილებია ილხანებს. მრავალჯერ სისხლისმღვრელ ბრძოლებამდეც მიდიოდა საქმე, დავითის სამფლობელოს ბარი და ხშირად მთაც წიოკდებოდა და ნადგურდებოდა ილხანების ჯარების შემოსევათა წყალობით, მაგრამ დავითი ისე მოკვდა (1311 წ.), რომ ურჩობაზე და მტრობაზე ილხანების მიმართ ხელი არ აუღია. მოსალოდნელი უნდა იყოს, რომ ამ პერიოდშიაც დავითი ძველ გზას არ უღალატებდა და ოქროს ურდოსთან ურთიერთობას არ გასწყვეტდა, მით უმეტეს, რომ იქ იგივე თოგთოგუ ანუ თოხთა განაგრძობდა მმართველობას.

სულ სხვანაირად იქცეოდა დავითის ძმა ვახტანგ III, რომელიც დავითის ურჩობით და გაუტანლობით თავმობეზრებულმა ყაზან ილხანმა მასთან თანადროულად აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ დასვა. ვახტანგის ხანმოკლე მეფობის განმავლობაში (გარდაიცვალა 1308 წ.) მონღოლებთან მისი მშვიდობიანი ურთიერთობა არ დარღვეულა. გიორგი V-ის მეფობაში (1318-1346 წწ.) ოქროს ულუსის საკითხი, საზოგადოდ, არც წამოჭრილა. გიორგი V-ის საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო სამხრეთისაკენ. ირანის მმართველ ჩობანთან გიორგი განსაკუთრებულად კარგ და მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა. მეორეს მხრით ილხანთა დაძაბუნებული და მოშლილი სახელმწიფო ველარ ახერხებდა თავისი ძველი პოლიტიკის გატარებას მოღონიერებული და გაერთიანებული საქართველოს მიმართ. ამ პირობებში გიორგი V-ეს არავითარი საბაბი არ ექნებოდა მიემართნა თავისი წინაპრების მსგავსად ოქროს ურდოსათვის ილხანების საწინააღმდეგოდ. მაგრამ სხვაფრივ ურთიერთობა ოქროს ულუსთან, როგორც ჩანს, არ შეწყვეტილა. ალის განძში საკმაოდ ბლომად არის დაგროვილი გიორგი V-ის თანამედროვე ოქროს ურდოს ხანების უზბეკის (1313-1341 წწ.) და ჯანიბეკ I-ის (1341-1357 წწ.) ფულები. ჩვეული გზით, დარიალანის კარით, ჩრდილოეთის მფლობელების ფული მშვიდობიანი ურთიერთობის ვაჭრობის, მიმოსვლის – შედეგად უნდა შემოსული იყოს ჩვენში.

ასეთივე მდგომარეობა, როგორც ამაზე ჩვენი განძის შემადგენლობა მიგვითითებს, შემდეგშიაც გაგრძელებულა: ჯანიბეკ I-ის მთელი მეფობის განმავლობაში და მის მომდევნო ხანების, ხოლო საქართველოში დავით VIII (1346-1360 წწ.) და ბაგრატ V-ის (1360-1393 წწ.) დროსაც ჯუჩიდების ფული ნელ-ნელა და ცვალებადი რაოდენობით მაინც შემოდის საქართველოში და აღწევს მის ცენტრალურ პუნქტებს. თუ ზოგიერთი ხანისა ალის განძში თითო-ოროლა მონეტა მოხვედრილა, მაგ. ბირდი ბეკისა, კულნასი, გილდი ბეკისა და სხვ., ზოგისა ათეულებსაც კი ითვლის, მაგ. აბდალლაჰისა (14 ც.) და მუჰამედ ბულაკისა (44 ც.).

ოქროს ურდოს ჯუჩიდების ინტერესები სამხრეთის მიმართ კვლავ გაცხოველებულა XIV ს-ის ორმოცდაათიანი წლებისათვიის. 1356 წელს ჯანიბეკ I-ს გაულაშქრია ირანის აზერბაიჯანის ემირების მიწვევით თავრიზში მჯდომი აშრაფ ჯალაირის წინააღმდეგ, დაუმარცხებია აშრაფი, თავრიზი დაუკავებია და აქაურ ზარაფხანაში საკუთარი ვერცხლის ფულიც მოუჭრეინებია. 2 წლის შემდეგ ჯუჩიდების მფლობელობას თავრიზში ბოლო მოჰღებია. გარდა თავრიზისა ჯანიბეკს ამ ლაშქრობისას ამიერკავკასიის აღმოსავლეთი მხარეც დაუპყრია. ჩვენამდე მოსულა 758 წლის (1356 წ.) ჯანიბეკის და ბირდიბეკის ფულები, მოჭრილი ბაზარსა, ბარდავსა, ყარა-აღაჯსა, განჯასა და ნახჭევანში.[17] ჩრდილოეთის ულუსის მძლავრმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა ინტერესმა

[17] Е. Похомов, Монетные клады Азербайджана..., вып. II, Баку, 1938, №№ 472, 473.

სამხრეთის – კერძოდ ამიერკავკასიის და ირანის აზერბაიჯანის მიმართ – განსაკუთრებულად იჩინა თავი ოქროსი და თეთრი ურდოების გამაერთიანებელის თოხთამიშ ხანის დროს (1379-1396 წწ.). თემურ-ლენგის მიერ ჩრდილოეთ სპარსეთის პროვინციების დაპყრობით შეშფოთებულმა თოხთამიშ ხანმა 1385 წ. 90000 კაცისაგან შემდგარი ლაშქარი გამოგზავნა ქ. თავრიზის დასაპყრობად. ლაშქარი დარიალანის და დარუბანდის გზით წამოსულა, შირვანზე გაუვლია და იქიდან აზერბაიჯანს შესევია.[18] თავრიზის აღების და გაძარცვის შემდეგ ლაშქარი უკან გაბრუნებულა.

ჩვენთვის საყურადღებოა თოხთამიშის ამ ლაშქრობის მარშრუტის ერთი უბანი. ჩრდილოელ დამპყრობელს თავისი უზარმაზარი ლაშქარი ორი გზით წამოუყვანია – დარიალანის და დარუბანდის კარით. დარიალანის კარი ამ დროსაც საქართველოს მეფეს ბაგრატ V-ის ხელში იყო. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით ამ კარით გამოსვლა თოხთამიშს შეეძლო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მესვეურებს შეუთანხმდებოდა.[19] თუ ალის განძში მოხვედრილ თოხთამიშის 1380, 1382 და 1384 წლების მონეტებს მივიღებთ მხედველობაში, საქართველოსა და ოქროს ურდოს შორის ურთიერთობა და მიმლოსვლა თოხთამიშის დროს ამ ლაშქრობამდეც უნდა არსებულიყო. ამ ლაშქრობასთან ყოფილა დაკავშირებული თოხთამიშის მიერ ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის დაპყრობა ჯალაირებისაგან და 1386 წლიდან მოყოლებული 1390 წლამდე დარუბანდსა, შემახასა, შაბურანსა, გუშტასპსა, ბაქოსა და მაჰმუდ-აბადში ვერცხლის ფულის მოჭრა.[20]

ზემოთქმული ცხადჰყოფს, რომ ოქროს ულუსის ჯუჩიდები XIII-XIV ს-ის განმავლობაში მხედველობიდან არ უშვებდნენ სამხრეთს და ყოველ შემთხვევას იყენებდნენ, რათა აქეთკენ მოემართათ თავისი იარაღი. ამ ურთიერთობის ერთ-ერთი მეტყველი ნაშთი ჯუჩიდების ფული ორნაირი თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას: 1) ადგილობრივ ნიადაგში აღმოჩენილი და 2) ადგილობრივ ზარაფხანებში მოჭრილი აქნობამდე დადასტურებულია ამიერკავკასიაში ჯუჩიდების ფულის სულ ათი განძის პოვნა. ესენი მთლიანად შესდგებიან ჯუჩიდების ფულისგან ან ნარევი ხასიათისანი არიან.[21] ამ განძებში შემავალი ჯუჩიდური ფულები, რამდენადაც მათ-შესახებ ცნობები დასკვნის შესაძლებლობას იძლევიან, ალის განძის მსგავსად იფარგლებიან თოხთოგუ-თოხთამიშის მეფობის ხანით. მეორეს მხრით უნდა აღინიშნოს ამიერ კავკასიის ზარაფხანებში ჯუჩიდების მიერ მოჭრილი ფულის მასიური გავრცელება ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე მხარეებში. ყველა სხვა ფაქტებსაც რომ თავი დავანებოთ, საველიევის მიერ გამოქვეყნებული განძის აღწერილობაც მეტად საყურადღებო სურათს გვიხატავს: 1851 წ. ეკატერინოსლავის გუბერნიაში აღმოჩენილა უზარმაზარი განძი 14350 მონეტის შემადგენლობით, თითქმის მთლად ჯუჩიდებისა. ამ რაოდენობიდან ნახევარზე მეტი, სახელდობრ 7992 ც. მოჭრილი ყოფილა ამიერკავკასიის ქალაქებში თოხთამიშ ხანის დროს.[22]

ამგვარად: მრავალი მონაცემებით მტკიცდება, რომ ამიერკავკასიისა (კერძოდ საქართველოსა) და ოქროს ურდოს შორის XIII-XIV ს. ცხოველი ურთიერთობა არსებობდა. მთავარი გზა ამ ურთიერთობისა იყო დარუბანდის კარი. ამ კარით ხდებოდა დიდი ლაშქრების შემოსვლა ამიერ კავკასიაში. ეს გზა ბევრად უფრო მოსახერხებელი და ადვილად დასაძლევი იყო მეორე კარზე, სახელდობრ დარიალანისაზე, მაგრამ ამ უკანასკნელს კერძოდ საქართველოსათვის ჰქონდა ძალიან დიდი მნიშვნელობა და, როგორც ზევით იყო აღნიშნული, ხშირად განსაზღვრავდა კიდეც ხოლმე ჩრდილოეთის და სამხრეთის მეზობლების მიმართ წარმოებულ პოლიტიკას. საფიქრებელია, რომ ის მუდმივი მისვლა-მოსვლა, რომელიც გარკვეულ ხანაში აღმოსავლეთ საქართველოსა და ოქროს

---

[18] ივ. ჯავახიშვილი, op. cit. გვ. 182.

[19] აქვე, გვ. 184.

[20] П. Савельев, op. cit. გვ. 9 და 11

[21] Е. Пахомов, op. cit. вып. I, №№ 155, 158, 163, 165, 169.
вып. II, №№ 472-474: вып. III, №№ 867, 869.

[22] П. Савельев, op. cit. გვ. 8, 9.

ურდოს შუა არსებობდა, თუ ყოველთვის არა, უფრო მომეტებულად სწორედ ამ კარით სწარმოებდა. კერძოდ ჩვენ განძში შემავალი ჯუჩიდური ფულები ამავე გზით უნდა შემოსულიყო. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი მოსაზრებანი: ჯანიბეკ I-ის ფულებში, რომლებიც საკმაოდ დიდი რაოდენობითაა მოცემული ჩვენს განძში (77 ცალი. საერთო რაოდენობიდან 202 ც.), არ მოიპოვება არც ერთი მოჭრილი 1) თავრიზში და 2) 755 წლის შემდეგ, ე. ი. წარმოდგენილი არ არის ხანა ჯანიბეკ I-ის მიერ თავრიზისა და ამიერკავკასიის ქალაქების დაჭერისა. თოხთამიშის ფულებშიაც, ამის მსგავსად, არ არის არც ერთი მოჭრილი 1) თავრიზში ან ამიერკავკასიის ქალაქებში და 2) 786 წლის შემდგომ, ე. ი. ისევე, როგორც ჯანიბეკის ფულებში, აქაც წარმოდგენილი არ არის ის ხანა, როდესაც თოხთამიშს ხელთა ჰქონდა თავრიზი და, რაც მთავარია, ამიერ კავკასიის ზემოხსენებული ქალაქები.

თუ მივიღებთ ამ მეტყველ გარემოებას მხედველობაში, გავიხსენებთ აგრეთვე, რომ დარიალანის კარი ქართველი მფლობელების ხელთ იყო და მითი სარგებლობა ჯუჩიდებთან ურთიერთობისას დადასტურებულია ისტორიული ხასიათის არაერთი მოწმობით, მგონია, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ალის განძის ჯუჩიდური ფულები, მოყოლებული 710 წლიდან 786 წლამდე ჰიჯრით (1310-1384 წწ ჩვ. ერათი), უნდა შემოსულიყვნენ ჩვენში არა დარუბანდის, არამედ დარიალანის კარით იმ მუდმივი ურთიერთობის დროს, რომელიც ამ ხანებში არსებობდა საქართველოსა და ოქროს ურდოს შორის.

1946 წელი



№ 743



№ 746



№ 766



№ 763



№ 748



№ 749



№ 798



№ 801



№ 818



№ 853



№ 852



№ 854



№ 843



№ 844



№ 858



№ 859



№ 869



№ 875



№ 877



№ 879



№ 876



№ 878



№ 923



№ 882



№ 936



№ 934



№ 926



№ 929

აჰმედ ჯალაირის და გიორგი VII-ის მონეტა

